სახელმძღვანელო

ქართული საკვირაო სკოლებისათვის

მასწავლებლის გზამკვლევი

პირველი საფეხური

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

2018 წელი

პირველი საფეხურის სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული საკვირაო სკოლების 6-14 წლის ასაკის მოსწავლეებისათვის. სახელმძღვანელოს ახლავს კალიგრაფიის რვეული და მასწავლებლის რეკომენდაციები. სახელმძღვანელო შეიქმნა საქართელოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

სახელმძღვანელო ეძღვნება საქართველოს პირველი
დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილეს.

100 წელი
საქართველოს პირველი
დემოკრატიული რესპუბლიკის
დაარსებიდან

ავტორი:
მაია მელიქიძე

რედაქტორი:
მაია ბოჯორიშვილი

მხატვარი:
მაკა ჭებირაშვილი

დიზაინერ-დამკაბადონებელი:
ლევან ლაცაბიძე

ISBN 978-9941-8-0784-8

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

2018 წელი

წინასიტყვაობა

საქართველოდან ემიგრაციაში წასული ჩვენი პატარა თანამემამულეების დიდი ნაწილი უკიდურესად დაბალი ენობრივი კომპეტენციების გამო ვერ ახერხებს, სრულფასოვნად ეზიაროს არა მხოლოდ მშობლიურ ლიტერატურას, არამედ მშობლიური ქვეყნის ისტორიასა და კულტურას.
ამ ფაქტის გათვალისწინებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც მშობლიური ენის სწავლებასთან ერთად – ქართული ენის კურსის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ქართული კულტურის საკითხების ათვისებას გაერთიანებული სწავლების პრინციპით.

პირველი საფეხურის სახელმძღვანელოები (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის გზამკვლევი და კალიგრაფიის რვეული), რომლებიც შეიქმნა ქართული საკვირაო სკოლებისათვის, გამიზნულია სუსტი ან საშუალოზე დაბალი ენობრივი კომპეტენციის მქონე მოზარდებისათვის და ეყრდნობა ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამის **I მოდულის** მოთხოვნებს.

სარჩევი

შესავალი 6

სახელმძღვანელოს ზოგადი დიდაქტიკური საფუძვლები 7

პირველი საფეხურის სახელმძღვანელოს კომპონენტები 8

სახელმძღვანელოს კომპონენტების ზოგადი დახასიათება 9

მეთოდოლოგიური საკითხები:

1. პირველი საფეხურის სწავლების პრიორიტეტული მიზნები 15
2. პედაგოგიური პრინციპები და მიდგომები 15
3. ძირითადი რეკომენდაციები:
   - საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარება 19
   - ლინგვისტური კომპეტენციების დაუფლება 27
   - პოსტერები, დიაგრამები და სქემები სწავლების პროცესში 29

ტიპური დავალებები და გასათვალისწინებელი რეკომენდაციები 33

ცალკეული თემების ძირითადი აქცენტები 48

1. პირველი ნაწილი – ვისწავლოთ წერა-კითხვა 49
2. მეორე ნაწილი – ზოგადი განმარტებები და რეკომენდაციები:
   - **პირველი თემა** – ჩემი საოჯახო ალბომი 62
   - **მეორე თემა** – ჩემი საქართველო! 70
   - **მესამე თემა** – ვინ ცხოვრობს ამ სახლში? 75
   - **მეოთხე თემა** – ქალაქის ამბები 82
   - **მეხუთე თემა** – წელიწადის დროები 87
   - **მეექვსე თემა** – ახალი წელია! 94
   - **მეშვიდე თემა** – ცხოველთა სამყაროში 97
   - **მერვე თემა** – ორშაბათიდან ორშაბათამდე 101

მოსწავლის შეფასება და შეფასების რუბრიკები 112

დანართი

1. პროექტები 118
2. დამატებითი რესურსები 121
3. ცალკეულ დავალებათა პასუხები 141

შესავალი

პირველი საფეხურის სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული საკვირაო სკოლების 6-14 წლის იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც ძალიან სუსტად ან საერთოდ ვერ ფლობენ მშობლიურ ენას და მიზნად ისახავს, უზრუნველყოს ისინი იმგვარი ცოდნით, რომ შეძლონ ქართულ ენაზე მარტივი კომუნიკაცია.

სახელმძღვანელო შეესაბამება საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული საკვირაო სკოლებისათის სპეციალურად შექმნილი ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამის I საფეხურის მოთხოვნებს, რომელიც ეყრდნობა ევროსაბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილების მიერ დადგენილ ენის ფლობის A1 (გასაღები) დონის ძირითად მოთხოვნებს (იხ. „უცხოური ენების ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები; შესწავლა, სწავლება, შეფასება“, უცხოური ენების დეპარტამენტი, სტრასბურგი, 2000 წ.).

სახელმძღვანელო მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სთავაზობს ისეთ სასწავლო მასალას, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო ენობრივ / კომუნიკაციური კომპეტენციების ათვისება-განვითარებასა და I საფეხურის მიზნების მიღწევას.

სახელმძღვანელოს ზოგადი დიდაქტიკური საფუძვლები

ქართული ენის სახელმძღვანელო აგებულია თანამედროვე დიდაქტიკური პრინციპების გათვალისწინებით. სახელმძღვანელო ხელს უწყობს მოსწავლის საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებასა და ენობრივი ცოდნის ათვისებას. ის ითვალისწინებს როგორც რეცეფციული, ისე პროდუცირებაზე ორიენტირებული სამეტყველო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. სათანადო ადგილი ეთმობა როგორც მოსმენასა და კითხვას, ისე ლაპარაკსა და წერას.

გრამატიკული მასალა ისწავლება ფუნქციურად, საკომუნიკაციო კონტექსტების გათვალისწინებით. მოსწავლეს საშუალება ეძლევა დააკვირდეს, გაიაზროს და ისე გამოიყენოს ესა თუ ის გრამატიკული ფორმულა ან კონსტრუქცია. გრამატიკული სტრუქტურები წარმოდგენილია მარტივად აღქმადი და ფუნქციურად დასაბუთებული ნაწილების სახით.

გრამატიკული მასალის მსგავსად, სახელმძღვანელოს ფარგლებში არსებული ლექსიკური მასალის მიწოდების პრინციპიც ასათვისებელი კონტექსტებიდან გამომდინარეობს.

სახელმძღვანელოს აგებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ქართული და უცხო სოციოკულტურული რეალიების ინტეგრაცია სასწავლო მასალის საკომუნიკაციო მიზნებთან.

პირველი საფეხურის სახელმძღვანელოს კომპონენტები

სახელმძღვანელო შედგება 4 კომპონენტისაგან:



მოსწავლის წიგნი, რომელშიც წარმოდგენილია როგორც საანბანო პერიოდის, ისე ანბანის შემდგომი პერიოდის სასწავლო მასალა, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო ენობრივ / კომუნიკაციური კომპეტენციების ათვისება-განვითარებას. მოსწავლის წიგნს დანართის სახით ახლავს გრამატიკული გზამკვლევი და ზმნური ლექსიკონი.



მოსწავლის რვეული, რომელიც შეიცავს როგორც საანბანო პერიოდის, ისე ყველა თემატური ერთეულისათვის საჭირო დამატებით სავარჯიშოებს და ხელს უწყობს მოსწავლის წიგნში წარმოდგენილი მასალის ათვისებას.



„დედანი“, რომელიც ემსახურება საანბანო პერიოდში კალიგრაფიული ჩვევების გამომუშავებასა და ქართული ასოების მოხაზულობის დაუფლებას.



მასწავლებლის გზამკვლევი, რომელშიც მოცემულია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო რეკომენდაციები და მითითებები; დამატებითი რესურსები და ა.შ.

კომპონენტების ზოგადი დახასიათება

1. მოსწავლის წიგნი

<u>სტრუქტურა და შინაარსი</u>

მოსწავლის წიგნი შედგება 3 ნაწილისაგან.

პირველი ნაწილი („ვისწავლოთ წერა-კითხვა“) მოიცავს საანბანო პერიოდს და, ძირითადად, წერა-კითხვის ათვისებას ეთმობა. თუმცა, წერა-კითხვის სწავლებასთან ერთად საანბანო პერიოდშივე პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა სათანადო სამეტყველო ქცევის ჩამოსაყალიბებლადაც - მოსმენისა და ლაპარაკის უნარების გასავითარებლად.

მეორე ნაწილი მოიცავს 8 თემატურ ერთეულს, ესენია:

1. „ჩემი საოჯახო ალბომი“

2. „ჩემი საქართველო!

3. „ვინ ცხოვრობს ამ სახლში?“

4. „ქალაქის ამბები“

5. „წელიწადის დროები“

6. „ახალი წელია!“

7. „ცხოველთა სამყაროში“



8. „ორშაბათიდან ორშაბათამდე“

თითოეულ თემას გამოკვეთილი შინაარსობრივი და ენობრივ-საკომუნიკაციო მიზნები გააჩნია. თემა იხსნება დასურათებული ე.წ. თემატური სარჩევით, რომელიც ეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეებს, გაიგონ – რას შეისწავლიან ისინი მოცემულ თემატურ ერთეულში. იქვეა მოცემული თემის ძირითადი ენობრივ-საკომუნიკაციო მიზნებიც. სწორედ ამ ენობრივ-საკომუნიკაციო მიზნებს ემსახურება თემაში მოცემული კომუნიკაციური და ენობრივი სავარჯიშოები.

თემაში შემოტანილ ახალ ენობრივ მასალას, საჭიროებისამებრ, იქვე ახლავს სხვადასხვა ტიპის ენობრივი თვალსაჩინოება – გრამატიკული ფორმულები და კონკრეტული ენობრივი კონსტრუქციები, რომელთა დანიშნულებაც არის საკომუნიკაციო სიტუაციებში მათი ფუნქციური გამოყენება; წარმოდგენილია ცალკეულ ზმნათა უღლების ნიმუშები; საორიენტაციო შეკითხვები და ა.შ.

ახალი ენობრივი მასალის უკეთ გასააზრებლად წიგნშივეა ჩადებული შესაბამისი სავარჯიშოები გარკვეული რაოდენობით, დამატებითი ვარჯიშისათვის კი აქტივობათა ძირითადი პაკეტი მოცემულია მოსწავლის სამუშაო რვეულში.

შეძენილი ენობრივი ცოდნის განსამტკიცებლად წიგნი ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩაბმას ზეპირ ინტერაქციაში, რაც გულისხმობს შესატყვისი საკომუნიკაციო სიტუაციების შექმნას, დიალოგების გათამაშებას, საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირებასა და სხვა ტიპის აქტივობების განხორციელებას. შესაბამისად, წიგნში მოცემულია მთელი რიგი კომუნიკაციური სავარჯიშოები, რომელთა მიზანია სამეტყველო აქტების განხორციელება. ეს სავარჯიშოები მთლიანად არის აგებული იმ ლექსიკური და გრამატიკული ფორმებითა თუ ენობრივი კონსტრუქციებით, რომლებიც მნიშვნელოვანია მოცემულ საკომუნიკაციო სიტუაციებში.

რაც შეეხება ტექსტურ მასალას, მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებთან ერთად სახელმძღვანელო მოიცავს სასწავლო მიზნებით შედგენილ (დიდაქტიზებულ) ტექსტებსაც, კერძოდ:

- **მხატვრული ლიტერატურიდან** – ენისგასატეხები და გამოცანები, საბავშვო ლექსები, ნაწყვეტები ადაპტირებული მოთხრობებიდან და ზღაპრებიდან;
- **არამხატვრული ლიტერატურიდან** – ა) პრაგმატული ტექსტები – გაკვეთილების ცხრილი, განრიგი, რეცეპტი, ანკეტა; ბ) მარტივი კორესპონდენცია – ღია ბარათი; გ) მარტივი საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები;
- **სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები** – თემატური დიალოგები, მარტივი თხრობითი და აღწერითი ტექსტები.

მესამე ნაწილი – დანართი, სადაც მოცემულია გრამატიკული გზამკვლევი და ზმნური ლექსიკონი.

გრამატიკული გზამკვლევის ფუნქცია:
გზამკვლევში თავმოყრილია ის ძირითადი გრამატიკული საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია ენის ფლობის მოცემულ დონეზე კომუნიკაციის ხელშესაწყობად. საკითხები წარმოდგენილია მარტივი და ადვილად აღსაქმელი სქემების, თვალსაჩინოებებისა და ცხრილების სახით, რაც ეხმარება მოსწავლეს ენის სტრუქტურის გააზრებაში.

ზმნური ლექსიკონის შედგენის პრინციპები:
ზმნურ ლექსიკონში ზმნები დალაგებულია არა მორფოლოგიური ტიპის, არამედ სინტაქსური ყალიბის მიხედვით (ამოვდივართ სუბიექტის ბრუნვიდან). ამგვარი პრინციპით დალაგებული ფორმებით მოსწავლეს გაუადვილდება სინტაქსური მოდელის სწორად აგება.

შესაბამისად, გამოყოფილია ზმნის ორი ძირითადი ჯგუფი, რომელთაც აქვთ:

1. სახელობითში მდგარი სუბიექტი (ვხატავ (მე – ბიჭი მას); ვდგავარ/ვდგები (მე – ბიჭი)
2. მიცემითში მდგარი სუბიექტი (მიყვარს (მე – ბიჭს ის).

ცალკეა გატანილი თავისებური ზმნები.

ლექსიკონში ზმნების დალაგებისას ჩვენთვის ამოსავალია ზმნის საწყისი, რომელსაც ახლავს ზმნისწინი (ზმნისწინის შერჩევა ხდება იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რომელი ზმნისწინია წარმოდგენილი სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტებში ამა თუ იმ ზმნასთან. განსხვავებული ზმნისწინების შემთხვევაში დაფიქსირებულია ყველა, მაგალითად, წასვლა/მოსვლა. საწყისები დალაგებულია ანბანის რიგზე).

თავად ზმნისწინის დართვა მოსწავლეს უიოლებს მყოფადის წრის მწკრივთა წარმოებას.

ობიექტური პირები ჩასმულია ფრჩხილებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს პირები ზმნას შეიძლება შეეწყოს და შეიძლება – არა, შესაბამისად, ზმნა, შესაძლოა, იყოს ერთპირიანი, ორპირიანი ან სამპირიანი. კონკრეტულ ფორმასთან ფრჩხილებში მოცემული ციფრი კი მიუთითებს იმაზე, თუ რამდენ პირს შეიწყობს კონკრეტულად ეს ზმნა.

ვინიანი ზმნები წარმოდგენილია მესამე პირის ფორმით (ფრჩხილებში მითითებულია მრავლობითი რიცხვიც), ხოლო მანიანი ზმნები – პირველი პირის ფორმებით.

ვინიანი ზმნები:

საწყისი	აწმყო (რას აკეთებს?) S O O ის (მას) (მას)	უწყვეტელი (რას აკეთებდა?) S O O ის (მას) (მას)	წყვეტილი (რა გააკეთა?) S O O ის (მას) (მას)	წყვეტილი (რა გააკეთა?) S O O ის (მას) (მას)
დაბანა გაკეთება ცხოვრება	იბანს (ენ) (2) აკეთებს (ენ) (2) ცხოვრობს (ენ) (1)	იბანდა (ნენ) (2) აკეთებდა (ნენ) (2) ცხოვრობდა)ნენ) (1)	დაიბანა (ეს) (2) გააკეთა (ეს) (2) იცხოვრა (ეს) (1)	დაიბანს (ენ) (2) გააკეთებს (ენ) (2) იცხოვრებს (ენ) (1)

მანიანი ზმნები:

საწყისი	აწმყო (რას აკეთებს?) S O მე (ის)	უწყვეტელი (რას აკეთებდა?) S O მე (ის)
მოწონება სიყვარული	მომწონს (მოგვწონს) (2) მიყვარს (გვიყვარს) (2)	მომწონდა (მოგვწონდა) (2) მიყვარდა (გვიყვარდა) (2)

თავისებური ზმნები:

საწყისი	აწმყო (რას აკეთებს?) S O ის (მას)	წყვეტილი (რა გააკეთა?) S O ის (მას)	მყოფადი (რას გააკეთებს?) S O ის (მას)
ყოფნა წასვლა ჯდომა	ვარ / არის (1) მივდივარ / მიდის (1) ვზივარ / ზის (1)	ვიყავი/ იყო (1) წავედი / წავიდა (1) ვიჯექი / იჯდა (1)	ვიქნები / იქნება (1) წავალ / წავა (1) ვიჯდები / იჯდება (1)

2. მოსწავლის რვეული

რვეული შეიცავს მრავალფეროვან კომუნიკაციურ და ენობრივ სავარჯიშოებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეს წიგნში მოცემული მასალის ათვისება-განმტკიცებაში. რვეულში მოცემული მასალა მიჰყვება წიგნის თემატიკას. ყოველ განშლას (ცალკეული გამონაკლისის გარდა) ახლავს რუბრიკა – „ჩემი ლექსიკონი“, რომელიც განკუთვნილია უშუალოდ მოსწავლისათვის და გულისხმობს, საჭიროებისამებრ, მის გამოყენებას.

მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, თავად შექმნან საკუთარი ლექსიკონი კონკრეტულ საკითხთან, ტექსტთან თუ დავალებასთან მიმართებაში.

3. მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნის ფუნქციაა, კონკრეტული რჩევებით, რეკომენდაციებითა და ცალკეული თემის ფარგლებში არსებული მეთოდური კომენტარებით გაუადვილოს მასწავლებლებს მუშაობა დასახული მიზნებისა თუ დასმული ამოცანების გადასაჭრელად.

რჩევებისა და რეკომენდაციების გარდა, წიგნი ცალკეულ შემთხვევებში მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სთავაზობს აგრეთვე სწავლა/სწავლების კონკრეტულ სტრატეგიებს ამა თუ იმ საკითხის მიწოდებისა თუ ათვისების გასაიოლებლად. დეტალურად არის აღწერილი ისეთი სავარჯიშოები თუ ენობრივი საკითხებიც, რომლებიც გარკვეულ სირთულეებს შეიცავს როგორც მოსწავლისთვის, ისე მასწავლებლისთვისაც. ასევე ცალკეული საჭიროებებისათვის, დამატებითი რესურსის სახით, მასწავლებლის წიგნში ჩადებულია მთელი რიგი აქტივობები, რომლებიც შეუძლია გამოიყენოს მასწავლებელმა სწავლების პროცესში, აგრეთვე საჭირო თვალსაჩინოებები სქემებისა და ცხრილების სახით და შედარებით რთული სავარჯიშოების პასუხები.

შესაბამისად, მასწავლებლის წიგნი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- სახელმძღვანელოს ზოგადი დიდაქტიკური საფუძვლები და კონკრეტულად პირველი საფეხურის სწავლების პრიორიტეტული მიზნები;
- პირველი საფეხურის სახელმძღვანელოს კომპონენტები და მათი ზოგადი დახასიათება;
- მეთოდოლოგიური საკითხები, სადაც მიმოხილულია ზოგადი პედაგოგიური პრინციპები და მიდგომები; ასევე მოცემულია ძირითადი რეკომენდაციები საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარებისა და ლინგვისტური კომპეტენციების დასაუფლებლად;
- პოსტერების, დიაგრამებისა და სქემების როლი და ფუნქცია სწავლების პროცესში;
- ტიპური დავალებების ჩამონათვალი და მათი განხორციელების პროცესში გასათვალისწინებელი რეკომენდაციები;
- ცალკეული თემების ძირითადი აქცენტები;
- მოსწავლის შეფასების რუბრიკები;
- დანართი, რომელიც მოიცავს დამატებით რესურსებს, მინიპროექტებსა და შედარებით რთულ დავალებათა პასუხებს.

მეთოდოლოგიური საკითხები

1. პირველი საფეხურის სწავლების პრიორიტეტული მიზნები

მოცემულ საფეხურზე სწავლა-სწავლების მნიშვნელოვანი ამოცანაა თითოეული მოსწავლის მოტივაციის გაძლიერება. მოზარდებმა უნდა შეიყვარონ მშობლიური ენის სწავლის პროცესი და თვით ქართული ენა და კულტურა.
რაც შეეხება ამ ეტაპზე ენის სწავლების საგანმანათლებლო მიზანს, სწავლის ამ ეტაპზე პრიორიტეტული ადგილი უჭირავს ქართულ ენაზე ზეპირმეტყველებას (მოსმენა-ლაპარაკი) და განსხვავებული ენობრივი და კულტურული სამყაროს აღმოჩენას.

- წერა-კითხვის დაწყება/ ათვისება;
- აქტიური ლექსიკური მარაგის ათვისება;
- ზეპირმეტყველების კულტურის გამომუშავება საწყის დონეზე (მშობლიური ენის მართლმეტყველების ძირითადი ნორმების დაუფლება);
- მარტივი ინტერაქცია განსხვავებულ კონტექსტებში (ნაცნობ თემებზე საუბარი, დიალოგის წარმართვა ან სხვების საუბარში ჩართვა).

2. პედაგოგიური პრინციპები და მიდგომები

შევჩერდებით მხოლოდ იმ რამდენიმე მეთოდზე, რომელთა აქტიური გამოყენებაც საგაკვეთილო პროცესში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, განსაკუთრებით, მოცემულ ეტაპზე მისაღწევი შედეგების უზრუნველსაყოფად. ესენია:

<u>დემონსტრირების ხერხი,</u> ანუ თვალსაჩინოებების გამოყენება.

აქ საუბარია ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენაზე, რომელიც შედეგის მიღწევის თვალსაზრისით, საკმაოდ ეფექტურია. ამ მეთოდის გამოყენებას მასწავლებლებს განსაკუთრებით ახალი ენობრივი (როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული) საკითხების სწავლებისას ვურჩევთ. ამ შემთხვევაში საუბარია დამატებით პოსტერებისა და სქემების შექმნა და გამოყენება, რომელთა კონკრეტულ ნიმუშებსაც მოგაწვდით გზადაგზა ცალკეული თემების განხილვისას.

სასწავლო მასალისა და ინფორმაციის მიწოდებისას უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ბუნება, ასაკი და მათი განსხვავებული უნარები და ცოდნის დონე.

ინფორმაცია აუცილებლად უნდა მივაწოდოთ სხვადასხვა არხით – ეს იქნება ვიზუალური, სამეტყველო თუ ჟესტიკულაციური.

ენის ზოგიერთი ელემენტის სწავლება რთული არ არის, ვინაიდან ადვილია მათი დემონსტრირება რეალურ გარემოში მიმიკა-ჟესტიკულაციით, მითითებითა და ა.შ., მაგალითად: კუთვნილების აღმნიშვნელი სიტყვები და ფრაზები (ვისია ეს? ეს ჩემია / შენია / მისია); თანდებულები და ზმნისწინები; გრძნობა/აღქმის გამომხატველი ზმნები (მიყვარს / არ მიყვარს...) და ა.შ.

რაც შეიძლება აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენ ხელთ არსებული ყველა რესურსი, კერძოდ:

- ვიზუალური (თვალსაჩინოებები; თემატური პოსტერები, გრამატიკული ცხრილები თუ სქემები, დაფაზე ან „ფლირჩატებზე“ გაკეთებული ჩანაწერები, კომპიუტერული მასალა და ა.შ.).
- სმენითი – როგორც აუდიოჩანაწერების სახით, ისე მასწავლებლის მხრიდან.

<u>კეთებით ანუ პრაქტიკით სწავლება.</u>

კეთებით სწავლა ეხმარება მოსწავლეს, აქტიურად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში. ეს გულისხმობს როგორც როლურ და სიტუაციურ თამაშებს, ისე სხვადასხვა მინიპროექტის განხორციელებასაც; აგრეთვე სწავლებას ბარათებითა და ა.შ. კეთებით სწავლების დროს უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- პირველ რიგში, აქტივობის შესრულებამდე, მოსწავლეებს ზუსტად უნდა მივაწოდოთ საჭირო ინსტრუქცია და დავრწმუნდეთ იმაში, რომ მოსწავლეებმა ზუსტად გაიგეს შესასრულებელი ამოცანის პირობა;
- ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამგვარ როლურ თუ სიტუაციურ თამაშებს (მით უფრო, მინიპროექტების განხორციელებას) წინ უნდა უძღოდეს გავარჯიშების ფაზა. უნდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ მოსწავლეებს აქვთ სათანადო ენობრივი კომპეტენციები მათ შესასრულებლად.
- როლური თამაშის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო თემატიკას, მოსწავლეთა ცოდნის დონეს, ინტერესებსა და საჭიროებებს.

<u>ინტერაქტიული სწავლება.</u>

კომუნიკაციურობის პრინციპი არსებითია ინტერაქტიული სწავლებისას. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ გავზარდოთ კომუნიკაციური სიტუაციების რიცხვი, რათა მოსწავლეს კომუნიკაციის მეტი საშუალება მივცეთ, რაც ხელს შეუწყობს ენის უფრო სწრაფად ათვისებაში.

რას იძლევა ასეთი სიტუაციები? – მოსწავლე კონკრეტულ კონტექსტთან მიმართებაში ირჩევს მზა ფრაზებს (კლიშეებს, ფორმულებს) და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის საკმარისად ფლობს ენას. ეს ზრდის მის მოტივაციასაც და უზრუნველყოფს შედეგსაც. ასეთი სიტუაციები იძლევა გამეორებული გამონათქვამების ხშირი გამეორების საშუალებასაც, რაც მოსწავლეს გამოუმუშავებს ალღოს გრამატიკული წესების მიმართ.

<u>თანამშრომლობითი სწავლება.</u>

ამ მეთოდის გამოყენება მიზნად ისახავს მოსწავლეთა ერთობლივ ძალისხმევას დავალებების შესასრულებლად. თანამშრომლობითი სწავლებისას უნდა გამოვიყენოთ როგორც წყვილური, ისე ჯგუფური მუშაობის ფორმები.

წყვილებში შეგვიძლია წარვმართოთ დიალოგები, მინიინტერვიუები; მოსწავლეები დავაწყვილოთ კონკრეტული საკითხავი, წერილობითი თუ ენობრივი ამოცანების გადასაჭრელად. სასურველია, მოსწავლეთა დაწყვილება შედარებით სუსტი მოსწავლის დახმარების მიზნითაც ხდებოდეს.
რაც შეეხება ჯგუფურ მუშაობას, მისი მიზანია, ჯგუფის ყველა წევრმა ერთობლივად მიაღწიოს მიზანს. ეფექტურობისთვის აუცილებელია, წინასწარ განვსაზღვროთ ჯგუფის კომპოზიცია და ისე შევადგინოთ დავალება, რომ ჯგუფის თითოეულ წევრს კონკრეტული ამოცანა ჰქონდეს შესასრულებელი.
ჯგუფური მუშაობისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- მოსწავლეთა დაჯგუფებისას ერთ ჯგუფში არ უნდა მოვახვედროთ მხოლოდ თანაბარი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები. ასეთ შემთხვევაში, სუსტი ძალების მქონე მოსწავლეები კარგავენ ჯგუფური მუშაობის აზრსა და ინტერესს და, შესაბამისად, სწავლის მოტივაციასაც.
- ფუნქციების გადანაწილებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა შესაძლებლობები.
- აუცილებელია, მუდმივად ვაკონტროლოთ ჯგუფის მუშაობა.

<u>დიფერენცირებული სწავლება და ინდივიდუალური მიდგომები.</u>

დიფერენცირება არის ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეებ შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინებაზე და მოითხოვს სასწავლო პროცესის მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებას. შესაბამისად, დიფერენცირების საგანს წარმოადგენს შინაარსი, რესურსები და პროცესი. სწავლების დიფერენცირებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სამი მნიშვნელოვანი საკითხი, ესენია:

1. სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლის თანაბარი ჩართულობა;
2. მოსწავლეთა ფსიქოემოციური მხარის, უნარებისა და ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინება;
3. მოსწავლეთა თავდაჯერებულობისა და თვითშეფასების გაზრდის ხელშეწყობა.

არის სიტუაციები, როდესაც მიზანშეწონილი არ არის ზოგიერთი მოსწავლის უშუალოდ ჩართვა ამა თუ იმ აქტივობაში, ან მათთვის შეკითხვების დასმა. ცოდნა იმისა, რა სიტუაციაში როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მასწავლებელმა, ეს თავად მან უნდა განსაზღვროს მოსწავლეთა დინამიკაში დაკვირვების საფუძველზე.

უფრო გამართლებულია, რომ უფრო ძლიერ მოსწავლეს ვთხოვოთ, გაუძღვეს კონკრეტულ აქტივობას, ხოლო შედარებით სუსტს დავაკისროთ მეორეხარისხოვანი როლი, რაც თავის მხრივ, გულისხმობს ამ უკანასკნელის უფრო უმტკივნეულო ჩართვას სამუშაო პროცესში.

როდესაც ბავშვი, ზოგადად, ზედმეტადაა დამოკიდებული სხვა ბავშვების ქცევაზე, მუდმივად არის იმის მოლოდინი, რომ ის საკუთარი ინიციატივით ვერ იმოქმედებს, ან სწორად ვერ უპასუხებს, ან ვერ მიიღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებას და ა.შ.

მოსწავლე მუდმივად უნდა ჩავაყენოთ აქტიურ მდგომარეობაში. ეს მისცემს მას აზროვნების, ნებისყოფისა და ყურადღების ერთგვარი კონცენტრაციის საშუალებას.
არსებობს საფრთხე იმისა, რომ მასწავლებელმა არასწორად შეაფასოს ბავშვის უნარი. რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ეს?

- ერთ შემთხვევაში, მოსწავლის მოჩვენებითმა წარმატებამ შეიძლება გამოიწვიოს მასწავლებლის გადაჭარბებული შეფასება, რაც უბიძგებს მოსწავლეს, მუდმივად დარჩეს ვიღაცის ჩრდილქვეშ;
- მეორე შემთხვევაში, ეს შეიძლება მართლაც იყოს მოსწავლის წარმატება, მაგრამ ამ ბავშვის ბუნებიდან გამომდინარე, მასწავლებელმა არ ჩათვალოს ეს წარმატებად, რაც უთუოდ გამოიწვევს მოსწავლეში საკუთარი თავისადმი რწმენის უფრო დაკარგვას და შესაბამის პროტესტსაც.

ეს საფრთხეები განსაკუთრებით ჩნდება ჯგუფური მუშაობისას. ამიტომ მუდმივად უნდა ვაკონტროლოთ ამ ტიპის ბავშვების ჩართულობის ხარისხი და მათ ისეთი დავალებები მივცეთ, რომლებიც არ (ან ნაკლებად) ითხოვს მათი მხრიდან გაუაზრებელ დამოკიდებულებას პარტნიორზე ან დამხმარეზე. როგორც წესი, ამ ტიპის ბავშვების პრობლება არის ის, რომ მათ ან საერთოდ არ აქვთ, ან დაკარგული აქვთ საკუთარი თავისადმი რწმენა.

<u>მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომები.</u>

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ:

- გამოვიჩინოთ ინტერესი მოსწავლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე;
- შეცდომის მიუხედავად, გავამხნევოთ და შევაქოთ მოსწავლე;
- არ დავატანოთ ძალა მოსწავლეს, ილაპარაკოს ქართულად, ვიდრე ამას თვითონ არ გააკეთებს;
- მთავარია, დავინახოთ მოსწავლის მცდელობა და მის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯი.

<u>მოსწავლის სწავლების ენის ფაქტორი ენის სწავლების პროცესში.</u>

ქართული ენის სწავლებისას სწავლების ენის ჩართვა სასწავლო პროცესში კატეგორიულად არ უნდა გამოვრიცხოთ. მართალია, მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ მისი გამოყენება, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, პირიქით, აუცილებელიც არის სწავლების ენაზე წარვმართოთ გაკვეთილი. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს:

1. მეტ სტიმულს აძლევს მოსწავლეებს სწავლების პროცესში;
2. ზრდის მათ მოტივაციას;
3. საშუალებას იძლევა, მოსწავლემ შეადაროს ეს ორი ენა ერთმანეთს; შექმნას კონკრეტული ქვესისტემები;
4. ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციული მიგნებების ძიებაში განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორ ენაში არსებობს ერთი და იმავე ბგერებისაგან შემდგარი სიტყვები (საუბარია, ძირითადად, საერთაშორისო და ნასესხებ ლექსიკაზე და ა.შ.);
5. სწავლების ენის ჩართვა მოსწავლეს უადვილდებს ასევე იმ ზეწოლის დაძლევას, რომელიც განპირობებულია „ერთი კულტურიდან მეორე კულტურაში გადასვლით“.

ბოლოს, მოკლედ გვინდა შევეხოთ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვასა და მასალის საათობრივი განაწილების საკითხს.
ზოგადად, სასწავლო პროცესის, ისე როგორც კონკრეტული აქტივობის, ხანგრძლივობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, კერძოდ, როგორია:

- მასწავლებლის პროფესიული გამოცდილება;
- მოსწავლეთა მოტივაცია;
- მზაობა;
- სასწავლო პროცესში ჩართულობა;
- მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესში განსახორციელებელი მიზნები და ამოცანები და ა.შ.

მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებაც. აქედან გამომდინარე, დროის თვალსაზრისით შეზღუდვა არ არსებობს მით უფრო, რომ საკვირაო სკოლებისათვის არ არსებობს განსაზღვრული საათობრივი ბადე.

3. ძირითადი რეკომენდაციები

ვინაიდან ამ სამიზნე ჯგუფისთვის მშობლიური ენა არ წარმოადგენს პირველ ენას, მათ ქართული უნდა ვასწავლოთ, როგორც მეორე ენა და ამისათვის უნდა დავეფუძნოთ მეორე ენის სწავლების მეთოდიკას.

❖ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწავლის ამ ეტაპზე პრიორიტეტული ადგილი უჭირავს ქართულ ენაზე ზეპირმეტყველებას (მოსმენა-ლაპარაკს), რაც გულისხმობს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენას ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციებში; მარტივ ინტერაქციას განსხვავებულ კონტექსტებში (ნაცნობ თემებზე საუბარი, დიალოგის წარმართვა ან სხვების საუბარში ჩართვა); აქტიური ლექსიკის მარაგის ათვისებასა და მის ფუნქციურ გამოყენებას; მშობლიური ენის მართლმეტყველების ძირითადი ნორმების დაუფლებას.

1. ზეპირმეტყველების კულტურის გამომუშავება:

სამეტყველო ქცევა გულისხმობს სამეტყველო აქტში მონაწილე პირების (მთქმელისა და მსმენელის) ქმედებას, რომელიც მოიცავს არა უბრალოდ ინფორმაციის გაცვლას (აღქმას, გაგებასა და გადაცემას), არამედ მსმენელზე გარკვეული ეფექტის მოხდენასაც, რაც ვერბალურთან ერთად არავერბალური ენის საშუალებით მიიღწევა. შესაბამისად, კომუნიკაციის პროცესში ლაპარაკთან ერთად მნიშნელოვან როლს ასრულებს მოსმენაც. მთქმელი და მსმენელი თანაბრად მონაწილეობენ კომუნიკაციის რთულ პროცესში, რომელიც გარკვეული მიზნის მისაღწევად ხორციელდება. ამ პროცესის წარმატება სხვადასხვა ფაქტორთან ერთად დამოკიდებულია სათანადო ენობრივი კომპეტენციების ფლობასა და აგრეთვე კონკრეტული სტრატეგიების გამოყენებაზე.

არსებობს სამეტყველო ქცევის (საუბარია ზეპირმეტყველებაზე) ზოგადი პარამეტრები, რომლებიც ნებისმიერ საკომუნიკაციო სიტუაციებში თანაბრად მნიშვნელოვანია, ესენია:

- მკაფიოდ და გარკვევით საუბარი;
- აზრის ჩამოყალიბება გასაგებად და თანმიმდევრულად;
- ლოგიკური მახვილების / ინტონაციის დაცვა; ინტონაციის გამოყენება სასვენი ნიშნების ფუნქციით;
- არავერბალური ენის ადეკვატური გამოყენება;
- ეტიკეტის დაცვა.

<u>მოსმენის უნარის განვითარება:</u>

საკომუნიკაციო უნარების განვითარების თვალსაზრისით, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება მოსმენას, როგორც ენის ათვისების მთავარ არხს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბგერების, სიტყვებისა და მარტივი წინადადებების სმენით გარჩევას.
ვინაიდან ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფისთვის გაგების უნარისა და სწორი გამოთქმის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია ქართული ენისათვის დამახასიათებელ ჟღერადობებზე სმენის გამახვილება, ამიტომ სასურველია, სწავლების საწყის ეტაპზე ნებისმიერი ასაკის მოსწავლესთან სათანადო დრო დავუთმოთ ფონემატური სმენის განვითარებისაკენ მიმართულ აქტივობებს (იხ. ფონოლოგიური სავარჯიშოები, გვ. 31). ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია ლექსების, ენის გასატეხების, რეპეტიტული ხასიათის ტექსტების გამოყენება, რომელთა ხშირი მოსმენა და ზეპირად დასწავლა ავითარებს ფონემატურ სმენას, გამოთქმას. ასევე ამდიდრებს სემანტიკურ მეხსიერებას, რაც აუცილებელი პირობაა მეტყველების გასავითარებლად.

მნიშვნელოვანია, რომ ტექსტები არ იყოს გადატვირთული უცნობი ლექსიკითა და გრამატიკული კონსტრუქციებით.

<u>ლაპარაკის უნარის განვითარება:</u>

ზეპირმეტყველება გულისხმობს ორი ტიპის უნარ-ჩვევას: პროდუცირებას (ანუ მონოლოგურ და დიალოგურ მეტყველებას) და რეპროდუცირებას (ანუ სიტყვის, ფრაზის სათანადო გამოთქმით, ლოგიკური მახვილების დაცვითა და სათანადო ინტონაციით გამეორებას).
სწავლების პირველ ეტაპზე ძირითადი აქცენტი რეპროდუცირებასა და დაზეპირებაზე (მარტივი ფრაზები, ენის გასატეხები...) უნდა გაკეთდეს. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია გამოთქმის დამუშავება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება.

პირველ ეტაპზე მოსწავლის ალაპარაკება გაჭირდება და არც უნდა დავატანოთ მას ძალა. თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიავაქციოთ სწორი გამოთქმის ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვანი ლექსიკური მარაგის ათვისებაზე მუშაობას.

მკაფიოდ და გარკვევით საუბარი მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარებაზე. ფონოლოგიურ უნარებში, ძირითადად, იგულისხმება ბგერების იდენტიფიცირება, მსგავსი ბგერების ერთმანეთისაგან გარჩევა, ბგერების ერთმანეთზე გადაბმა, სიტყვის ბგერებად ან მარცვლებად დანაწევრება და სხვა.

ამიტომ ფონოლოგიური უნარების განვითარებაზე მუშაობა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სწავლების საწყის ეტაპზე. მოსწავლემ უნდა შეძლოს: ბგერების / მარცვლების მკაფიოდ გამოთქმა სიტყვაში; მსგავსი ჟღერადობის მარცვლების / სიტყვების გარჩევა; ბგერების ერთმანეთისაგან პაუზით გამოყოფა და ა.შ.
ბგერების ერთ სიტყვად გამთლიანება, ანუ სიტყვის ხმოვანი ხატის სინთეზი უმნიშვნელოვანესი უნარია, რომელსაც მოსწავლე უნდა დაეყრდნოს სიტყვების წაკითხვისას – კითხვის დროს მოსწავლე ასოებს ახმოვანებს ბგერებად, ბგერებს აერთიანებს მარცვლებად და მარცვლებს ამთლიანებს სიტყვებად. ამიტომ ამ უნარის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ და მასზე მუშაობასაც სათანადო დრო დავუთმოთ.

სახელმძღვანელოში მოცემული აქტივობები ხელს უწყობს როგორც რეპროდუცირების უნარ-ჩვევის განვითარებას (ანუ სწორი გამოთქმის ჩამოყალიბებასა და ლექსიკური მარაგის განმტკიცება / განვითარებას), ისე უზრუნველყოფს მოსწავლის ალაპარაკებას (მისი მონოლოგური თუ დიალოგური მეტყველების განვითარებას).

2. წერა-კითხვის უნარის დაუფლება:

ცალკე გვინდა შევჩრდეთ წერა-კითხვის უნარის დაუფლებაზე, რაც პირველ რიგში, გულისხმობს ანბანური პრინციპის ცოდნას, კერძოდ:

- წერილობითი კოდის გაშიფვრას (ასო-ბგერითი მიმართებების გაცნობიერება, ასოთა ცოდნა);
- მთლიანი სიტყვების ცნობას (სიტყვის ორთოგრაფიული ხატის „ამოკითხვა“);
- გამართულ/გაწაფულ კითხვას;
- წერის მოტორიკის დაუფლებას (ნატიფი მოტორული უნარების განვითარება);
- სიტყვების / წინადადებების / ტექსტების წერას.

წერა-კითხვის ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენია ანბანის ცოდნა, რომელიც გულისხმობს ასო-ბგერითი მიმართებების გაცნობიერებას, წერილობითი კოდის გაშიფრვას – ასოს ბგერად ქცევასა და, პირიქით, ბგერის ასოდ გარდაქმნას.
წერა-კითხვის ტექნიკის დაუფლებაზე მუშაობა, ძირითადად, წინასაანბანო და საანბანო პერიოდებში მიმდინარეობს (თუმცა, კონკრეტულ მოსწავლეთა სასწავლო მიზნებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით, შესაძლებელია, ეს პროცესი მათთვის ანბანის შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდეს პარალელურად).

მართალია, ანბანზე მუშაობას წინ უძღვის ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარება, თუმცა კითხვის სწავლის დაწყების შემდეგაც ეს ორი კომპონენტი პარალელურად ვითარდება.
ფონოლოგიური უნარი, რომელიც ზეპირი სიტყვების მარცვლებად და ბგერებად დაშლასა და მათ გამთლიანებას გულისხმობს, ხელს უწყობს კითხვის დაუფლებას. ცნობილია, რომ ბავშვები, რომელთაც ჩამოყალიბებული აქვთ ფონემური ცნობიერება, მარტივად ეუფლებიან კითხვას.

წერა-კითხვის სწავლება პარალელური პროცესია, რომელიც მოიცავს 3 ეტაპს: წინასაანბანო, საანბანო და ანბანის შემდგომ პერიოდებს. წერა-კითხვის ტექნიკის დაუფლებაზე მუშაობა, ძირითადად, წინასაანბანო და საანბანო პერიოდებში მიმდინარეობს (თუმცა, კონკრეტულ მოსწავლეთა სასწავლო მიზნებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების გათალისწინებით, შესაძლებებლია, ეს პროცესი მათთვის ანბანის შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდეს პარალელურად).

წინასაანბანო პერიოდი – ეს არის მოსამზადებელი ეტაპი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, წიგნთან მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ანბანის შესასწავლად მათ მომზადებას – ფონოლოგიური უნარ-ჩვევებისა და ნატიფი მოტორიკის (ვიზუალურ-სივრცითი გარჩევისა და ვიზუალური-მოტორული უნარის) განვითარებას.

საანბანო პერიოდი – ამ ეტაპზე მიმდინარეობს წერა-კითხვის ტექნიკის დაუფლებაზე ინტენსიური მუშაობა: ოპერირება ასოებით, მარცვლებითა და სიტყვებით, ასო-ბგერითი მიმართებების გაცნობიერება, სიტყვებისა და მოკლე წინადადებების გაშიფრვა-წაკითხვა, ასოების გამოყვანა, სიტყვების გამოწერა/გადაწერა და ა.შ.

ვინაიდან სწავლების საწყის ეტაპზე წერის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია კითხვის უნარის გაუმჯობესებაა, ამიტომ სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს ისეთი დავალებები შესთავაზოს, სადაც მათ ერთი და იმავე ენობრივი მასალის წაკითხვაც მოუწევთ და წერაც.

<u>საანბანო პერიოდის პრიორიტეტები კითხვასა და წერაში:</u>

კითხვა	წერა
ასო-ბგერითი მიმართებები: ასოების ამოცნობა და მათი დაკავშირება შესაბამის ბგერებთან.	ნატიფი მოტორიკა: ასოების ნაწილების გააზრება (რკალი, რგოლი, სწორი ხაზი და ა.შ.) და მათი გამოსახვა.
სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ამოცნობა, ასოების გამონაწევრება (რაც გულისხმობს სიტყვის ასოებად დაშლის, ანუ ანალიზისა და ასოების სიტყვებად გამთლიანების, ანუ სინთეზის უნარს).	ბადიანი რვეულის სივრცითი მიმართებების ბადიან რვეულში ორიენტირება და სივრცითი მიმართებების გააზრება – შუა/ზედა/ქვედა.
სიტყვების, მოკლე წინადადებების გაშიფვრა-წაკითხვა: ეს არის ნაწერი სიტყვის (ორთოგრაფიული ხატის) ხმოვან ხატად გარდაქმნა / კონვერტირება.	ასოების წერა: ასოთა გამოყვანა ოთხხაზოვან და ორხაზოვან სისტემებში, ცალხაზიან სისტემაზე გადასვლა.

კითხვის მოქნილობა: ნაწერი / ნაბეჭდი სიტყვების ავტომატური დეკოდირების უნარი.	სიტყვების, წინადადებების, მიკროტექსტების წერა: სიტყვების გადაწერა/ჩაწერა ინსტრუქციის მიხედვით, მაგ., მითითებულ ასოზე დაწყებული სიტყვები, ოთხასოიანი სიტყვები, თემატური სიტყვები და ა.შ. წინადადებების გადაწერა; კარნახით / დამოუკიდებლად წერა და ა.შ.

კითხვის სწავლება: სახელმძღვანელოში საანბანე პერიოდში კითხვა მინიმალიზირებულია და ის მოიცავს მხოლოდ წიგნში მოცემული საანბანე ტექსტების, ნაცნობი სიტყვებისა და მარტივი წინადადებებისა თუ მინირეპლიკების წაკითხვას.

კითხვის სწავლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ მოსწავლის ასაკობრივი უნარები და შესაძლებლობები. იმ მოსწავლეებს, რომელთაც უკვე ათვისებული აქვთ კითხვის უნარები სწავლების ენაზე, უკვე თავისუფლად არის შესაძლებელი მათთვის კითხვის სისტემური კურსის შეთავაზება, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, მაინც გარკვეული დოზით უნდა მოხდეს.

აქვე შევნიშნავთ, რომ სწავლების საწყის ეტაპზე მაინც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია წერილობითი ნიშნების გახმოვანებაზე ანუ დეკოდირებაზე სათანადო მუშობის წარმართვა (მით უფრო, როცა საქმე ეხება ქართულისათვის დამახასიათებელ ბგერებსა და ბგერათშეთანხმებებს. ამის შესახებ იხ. ქვემოთ, ფონეტიკის სწავლების ნაწილში). შესაძლებელია დამატებით გარკვეული ფონოლოგიური სავარჯიშოების შეთავაზებაც იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც ექმნებათ პრობლემები კითხვაში.

კითხვის მთლიანობითი მეთოდის გამოყენება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კითხვის სწავლების შემამზადებელ ეტაპზე. მოსწავლე ვიზუალურად იმახსოვრებს სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს და პირდაპირი გზით ამოიცნობს მის მნიშვნელობას. კითხვის მთლიანობითი მეთოდი ხელს უწყობს მხედველობითი მეხსიერების განვითარებასა და ხედვითი აღქმის გაუმჯობესებას. ამ მეთოდით კითხვის სწავლებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- სიტყვების გაშიფრვის წინმსწრებად მნიშვნელოვანია ფონოლოგიურ უნარებზე, განსაკუთრებით კი ბგერების გამთლიანებაზე მუშაობა;
- ასაკობრივთან ერთად თუ გავითვალისწინებთ მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ და ფიზიოლოგიურ თავისებურებებსაც, ამ მეთოდით კითხვის სწავლებისას ყველას თანაბარი მოთხოვნები არ უნდა წავუყენოთ.

ცალ-ცალკე წარმოვადგენთ კონკრეტულ რეკომენდაციებს ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით:

6-9 წლის მოზარდები	მათთვის სისტემური კურსის შეთავაზება პრიორიტეტული არ არის. გარდა ამისა, კითხვის სწავლება ამ ეტაპზე თავისებური მეთოდოლოგიით უნდა წარიმართოს. პირველ რიგში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფონოლოგიური უნარების განვითარებას, რათა მოსწავლეს განუვითარდეს ფონემური ცნობიერება (ზეპირი მარცვლების, ბგერების აღქმისა და გამოყენების უნარი). რაც შეეხება წაკითხულის გაგებას, მათ მოეთხოვებათ ისეთი მარტივი საკითხავი ამოცანების გადაჭრა, როგორებიცაა: დასმული შეკითხვის პასუხის, ნახატის შესატყვისი წინადადების პოვნა ტექსტში; მთლიანი ტექსტის (დიალოგის, აბზაცის...) ან ცალკეული ინფორმაციის დაკავშირება სურათთან; ტექსტში მოძიებული ინფორმაციით მარტივი სქემებისა და ცხრილების შევსება; შეკითხვების პასუხებთან დაკავშირება; არეული რეპლიკების თანამიმდევრობით დალაგება; სავარაუდო ვარიანტებიდან სწორი/არასწორი ვარიანტის შემოხაზვა, მონიშვნა, მითითება; ტექსტის მიხედვით სურათების დანომრვა; მოცემული კულტურული თვალსაჩინოებების მითითება / დასახელება (ილუსტრაციებზე ასახული ზღაპრის გმირები, ტანსაცმელი, ნუგბარი – ჩურჩხელა, გოზინაყი და სხვა); კონკრეტული კულტურული მსგავსებებისა და განსხვავებების პოვნა და დასახელება (დღესასწაულები, საკუთარი სახელები, ბგერები, ზღაპრების პერსონაჟები...) და ა.შ;
10-14 წლის მოზარდები	მათი ასაკობრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით (მით უფრო, რომ სწავლების ენაზე ისინი უკვე ფლობენ წერა-კითხვისათვის აუცილებელ უნარებსაც), შეუძლიათ უფრო სწრაფი ტემპებით დაძლიონ კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები. შესაბამისად, მასწავლებელს შეუძლია მათთვის კითხვის სისტემური კურსის შეთავაზება. თუმცა, სწავლების საწყის ეტაპზე კარგი იქნება, თუკი საკმარისი დრო დაეთმობა წერილობითი ნიშნების გახმოვანებაზე სათანადო მუშაობის წარმართვასაც (მით უფრო, როცა საქმე ეხება ქართულისათვის დამახასიათებელ ბგერებსა და ბგერათშეთანხმებებს). მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეები ავარჯიშოს როგორც უცნობი სიტყვებისა და წინადადებების დეკოდირებაზე, ასევე შესთავაზოს მათ უცნობი მიკროტექსტების დეკოდირებაც. რაც შეეხება წაკითხულის გაგებას, ამ ასაკობრივ ჯგუფს ენის ფლობის I დონეზე მოეთხოვება: მარტივი საკითხავი ამოცანების შესასრულებლად ტექსტში კონკრეტული ინფორმაციის მოძიება; დასმული შეკითხვების პასუხების, ნახატის შესატყვისი წინადადების, ერთი სემანტიკური ველის სიტყვების ტექსტში პოვნა; შემოწმება, სწორია თუ არა ესა თუ ის მოცემული ინფორმაცია; ტექსტიდან სხვადასხვა ინფორმაციის ამოკრება (მაგ., რეცეპტიდან – ინგრედიენტების, მოქმედებების; ანკეტიდან საცხოვრებელი ადგილის, პროფესიის და ა.შ.); ცხრილის შევსება მსგავსი ტიპის ტექსტების მონაცემებით (მაგ., სხვადასხვა ანკეტიდან, განცხადებებიდან, ღია ბარათებიდან, პირადი წერილებიდან და ა.შ.); ილუსტრაციებზე / ტექსტებში ასახულ სიმბოლურ, სოციოკულტურულ, საყოფაცხოვრებო რეალიებზე მითითება / დასახელება (მაგ. ჯვარი, ჩურჩხელა, მეჩეთი, ხალხური საკრავი, ტანსაცმელი და სხვა); სოციოკულტურული ნიშნით მსგავსება-განსხვავებების ჩვენება (მაგ., დღესასწაულები, პერსონაჟები, დროშა, ნუგბარი, საკუთარი სახელები) და ა.შ.

ხმამაღალი და ჩუმი კითხვა: აუცილებელია, რომ მასწავლებელმა იმუშაოს როგორც ხმამაღალ კითხვაზე, ისე ჩუმ კითხვაზეც. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს ხმამაღლა უკვე მოსმენილი და ზეპირმეტყველებში დამუშავებული ტექსტები შევთავაზოთ. ტექსტის ხმამაღლა კითხვა არის სწავლების მეთოდი, რომელიც ხორციელდება გამართული, გაწაფული კითხვის ხელშესაწყობად. ხმამაღალი კითხვის შემოწმების ზოგადი კრიტერიუმებია:

- კითხულობს უშეცდომოდ და შეუფერხებლად;
- სიტყვებს გამოთქვამს მკაფიოდ და გარკვევით;
- კითხულობს გამომსახველობით - ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებს;
- ინტონაციას იყენებს სასვენი ნიშნების ფუნქციით.

ხმამაღალ კითხვაზე მუშაობისას მნიშვნელოვანია შემდეგი სტრატეგიების გამოყენება (მით უფრო, 6-7 წლის მოსწავლეებთან აუცილებელია გუნდური და წყვილებში კითხვა):

- <u>გუნდური კითხვა</u> – მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად ხმამაღლა კითხულობენ ტექსტს რამდენჯერმე: ჯერ მასწავლებელი კითხულობს ნელა და გარკვევით და შემდეგ მოსწავლეები ერთად კითხულობენ იმავე ტექსტს რამდენჯერმე;
- <u>წყვილებში კითხვა</u> – მოსწავლეები ერთად ან რიგრიგობით კითხულობენ ტექსტს ხმამაღლა (წყვილებში მუშაობის დროს კარგი იქნება, თუკი მასწავლებელი დააწყვილებს ძლიერი-სუსტის პრინციპით);
- ინდივიდუალური კითხვა – როცა ერთი მოსწავლე კითხულობს ტექსტს თავიდან ბოლომდე, ან კითხულობს მითითებულ ადგილს. აქვე შემოდის გაგრძელებებით წაკითხვაც, როცა მასწავლებელი აწყვეტინებს მოსწავლეს კითხვას და აგრძელებინებს მეორეს.

რაც შეეხება ჩუმ კითხვას, ეს არის წაკითხულის შინაარსის გაგების უნარი და მას საკითხავი ამოცანების შესრულებისას უნდა მივმართოთ. სახელმძღვანელო ამ კუთხით საკითხავი ტექსტის ტიპებისა და საკითხავი ამოცანების მრავალფეროვან სპექტრს სთავაზობს მოსწავლეებს.

წერის სწავლება: მოსწავლეები საანბანო პერიოდში იწყებენ ასოების, სიტყვებისა და მარტივი წინადადებების წერას. ძირითადი აქცენტი გადადის ბადიან რვეულზე (კალიგრაფიის რვეულზე). რაც შეეხება მოსწავლის რვეულში საანბანე თემაში მოცემულ ე.წ. წერით დავალებებს (ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, სიტყვაში გამოტოვებული ასოების ჩასმა, ცალკეული სიტყვის გადაწერა, წინადადებაში დაშვებული შეცდომის მოძებნა და გამოსწორება და სხვა), ისინი ემსახურება არა ასოების გამოყვანის ტექნიკის დაუფლებას, არამედ მათ იდენტიფიცირებას, ასოებისა და სიტყვების ამოცნობას, ასევე ემსახურება გარკვეულ ენობრივ მიზნებსაც – კონკრეტული ლექსიკისა თუ გრამატიკის სწავლებას.

ვინაიდან სწავლების საწყის ეტაპზე წერის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა კითხვის უნარის გაუმჯობესება, ენობრივი მასალის დამახსოვრება და მოსწავლეთა მომზადება ტექსტების პროდუცირებისათვის, ამიტომ სახელმძღვანელო მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ დავალებებს, სადაც მათ ერთი და იმავე ენობრივი მასალის კითხვაც უწევთ და წერაც.

კითხვის მსგავსად, წერის უნარის განვითარებაც განსხვავებულია ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით. აქაც ცალ-ცალკე წარმოვადგენთ კონკრეტულ რეკომენდაციებს ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით:

6-9 წლის მოზარდები	წერის უნარის განვითარება აუჩქარებელი ტემპით უნდა წარიმართოს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წერის ტექნიკურ-მოტორული უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას. მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ არა მხოლოდ ცალკეული სიტყვების გადაწერა, არამედ წინადადებებისა და მიკროტექსტების კარნახით წერაც; ვინაიდან წერის სწავლება ამ ეტაპზე, ძირითადად, რეპროდუცირებას ეფუძნება, ამიტომ ეს პროცესი მოსაწყენი რომ არ გახდეს, მნიშვნელოვანია მათთვის მრავალფეროვანი, სახალისო და, რაც მთავარია, შინაარსიანი კონტექსტების შეთავაზება, მაგალითად: კითხვარის შევსება, სადაც ჩაწერს, რომელი საჭმელი უყვარს და რომელი – არა; პირადი ან ცხრილის მონაცემებით ანკეტის შევსება (სახელი, გვარი, სადაურობა, საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობა და ა.შ.); კონკრეტული ინფორმაციით ნაკლული ტექსტის შევსება (მაგ., ცხრილის მიხედვით წინადადებების შევსება; მოცემული რეპლიკებით დიალოგის / ნარატიული ტექსტის შევსება და ა.შ.); მოდელის მიხედვით ადამიანის, ცხოველის ან საგნის აღწერა და ა.შ.
10-14 წლის მოზარდები	კითხვის მსგავსად, მასწავლებელს შეუძლია უკვე ამ საფეხურზევე შესთავაზოს მათ წერის სისტემური კურსი. თუმცა, სწავლების საწყის ეტაპზე ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია (ერთი მხრივ, ქართულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თანხოვნებისა და, მეორე მხრივ, ხაზოვან სისტემაში ასოთა განლაგების გათვალისწინებით) ქართულ ანბანზე სამუშაოდ სათანადო დროის გამოყოფა. სწავლების საწყის ეტაპზე წერის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა: კითხვის უნარის გაუმჯობესება, ენობრივი მასალის დამახსოვრება და მოსწავლეთა მომზადება ტექსტების პროდუცირებისათვის. ამიტომ, სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზოს ისეთი დავალებები, სადაც მათ ერთი და იმავე ენობრივი მასალის კითხვაც მოუწევთ და წერაც, მაგალითად: მცირე (3-4 წინადადებიანი) აღწერითი ტექსტების შექმნა (მაგ., ცხოველის, საყვარელი სათამაშოს, საკუთარი ოთახის აღწერა; ოჯახის წევრის, მეგობრის, პერსონაჟის აღწერა-დახასიათება; გარემოს, ყოველდღიური საქმიანობების აღწერა; ტექსტის გარშემო დასმულ შეკითხვებზე წერილობითი პასუხების გაცემა და ა.შ.). რაც შეეხება ნიმუშების მიხედვით მცირე მოცულობის ფუნქციური ტექსტების შედგენას, მოსწავლეებს მოეთხოვებათ ისეთი პრაგმატული ხასიათის ტექსტების შედგენა, როგორებიცაა თავისი ან სხვისი გაკვეთილების ცხრილი, დღის განრიგი და ა.შ.; მოდელის მიხედვით მარტივი კორესპონდენციის შექმნა (მაგ., ღია ბარათის), ახალი მონაცემების მიხედვით რეცეპტის შედგენა, მოცემული რეპლიკებით დიალოგების აწყობა და ა.შ..

❖ ლინგვისტური კომპეტენციების დაუფლება

ქართული ენის გრამატიკის სწავლება საკომუნიკაციო მიზნებს უნდა მოემსახუროს, ამიტომ მნიშვნელოვანია მისი კონტექსტში (და არა კონტექსტიდან მოწყვეტილად) სწავლება. ენობრივ მასალაზე მუშაობა უნდა წარიმართოს არა თეორიული ახსნა-განმარტებებით, არამედ განსხვავებულ საკომუნიკაციო სიტუაციებში ამ ენობრივი მასალის გამოყენებითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით. მოსწავლეებს არ უნდა ვაიძულოთ არც აღწერით-თეორიული გრამატიკისა და არც წესებისა და ტერმინების ზეპირად დასწავლა.
სწავლების საწყის ეტაპზე მოსწავლეებს გრამატიკული კონტრუქციები ენობრივი ნიმუშების დამახსოვრებასთან ერთად სპონტანურად, გააანალიზების გარეშე უნდა ავათვისებინოთ. მოსწავლეებს საშუალება უნდა მიეცეთ, თვალსაჩინო მაგალითებზე დაკვირვებით ამოიცნონ და კონტექსტში გამოიყენონ ნასწავლი ლექსიკა, მარტივი ენობრივი მექანიზმები და შესაბამისი ენობრივი კონატრუქციები.

რაც შეეხება კონკრეტულ სფეროებს, განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

ფონეტიკა: ქართული ენა განსხვავდება სხვა ენებისაგან ფონემატური შედგენლობით, ფონემების პოზიციური რეალიზაციითა და შეხამების წესებით, განსხვავებულია ინტონაციაც.
სახელმძღვანელო ამ კუთხით მასწავლებელსა და მოსწავლეებს ისეთი ფონოლოგიურ სავარჯიშოებს სთავაზობს, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია ქართულისათვის დამახასიათებელ ცალკეულ ბგერებსა და ბგერათშეთანხმებებზე, ბგერების იდენტიფიცირებასა და სიტყვაში მათ პოზიციაზე (სიტყვის დასაწყისშია თუ ბოლოში), ბგერების ჩანაცვლებით სიტყვების ტრანსფორმირებაზე და სხვა. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ:

- <u>მკვეთრი და ფშვინვიერი თანხმოვნების გაგება და მათი წარმოთქმა</u> (თ-ტ, ქ-კ, ფ-პ, ც-წ, ჩ-ჭ); როგორც წესი, უცხოენოვან შემსწავლელებს განსაკუთრებით უჭირთ ყრუ ფშვინვიერისა და ყრუ მკვეთრი ბგერების გარჩევა, ამიტომ აუცილებელია ყურადღების გამახვილება ამ ფონემებზე (პური-ფური; პაპა-ფაფა; კარი-ქარი, ქუდი-კუდი...).
- <u>სიტყვები მცირე განსხვავებებით</u> (ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ სიტყვებზე, რომლებიც წარმოთქმის თვალსაზრისით მსგავსნი არიან, მაგრამ მათი მნიშვნელობა განსხვავებულია (კუდი-ქუდი; კარი-ქარი; პირი-ფირი; ქარი-ქალი...). შესაბამისი სავარჯიშოები ნათელს ხდის სიტყვების სწორად აღქმის აუცილებლობას.
- <u>ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერები</u> (ცვ, ყ, ხ, ჩ, ჭ, წ). ასევე ხშირია მათი აღრევა ქართული ენის ათვისებისას, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათზე სათანადო მუშაობა.
- <u>თანხმოვანთა თავმოყრა</u>, რომელიც ასევე სირთულეს წარმოადგენს (ცეცხლი, ცხვირი, ბრდღვნის...) არაქართულენოვანებისათვის.

ლექსიკა: ლექსიკის მზამზარეული თარგმნა არ უნდა გახდეს სიტყვის (და, ზოგადად, აზრის) მნიშვნელობის მიწოდების ერთადერთი (თუნდაც, ძირითადი) საშუალება, მნიშვნელობა არ აქვს სწავლების რომელ საფეხურზეც არ უნდა ვიმყოფებოდეთ. უფრო მეტიც, სასურველია, რომ აუცილებელი საჭიროების გარდა მასწავლებელმა თავი აარიდოს მას.

თარგმნის გარდა, არსებობს სიტყვის მნიშვნელობის მიწოდების სხვა, არათარგმნითი გზაც, რომელიც უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა.
სიტყვის მნიშვნელობის არათარგმნითი გზით მიწოდება განსაკუთრებით უწყობს ხელს არა მარტო უშუალოდ სიტყვის მნიშვნელობის გააზრებას, არამედ მის დამახსოვრებასაც. გთავაზობთ ლექსიკის სწავლების სხვადასხვა ხერხს, რომლებიც ასევე შეუძლია გამოიყენეოს მასწავლებელმა ახალი ლექსიკური ერთეულების სწავლებისას.

სალექსიკონო ერთეულებზე მუშაობისას მიეცით საშუალება მოსწავლეებს, თავად შეასრულონ ლექსიკური დავალებები. თქვენ ჩაერიეთ შესასრულებელი დავალების დაზუსტებისა და აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში.

გრამატიკა: გრამატიკის სწავლება საკომუნიკაციო მიზნებს ემსახურება, შესაბამისად, ის არა იზოლირებულად, არამედ კონტექსტში ისწავლება.
არ არის რეკომენდებული გრამატიკული საკითხების აღწერით-თეორიული მიწოდება, წესებისა და ტერმინების ზეპირად დასწავლა. მოსწავლეს საშუალება უნდა მიეცეს დაკვირდეს, ამოიცნოს, გაიაზროს და კონტექსტში გამოიყენოს გრამატიკული თავისებურებები და კონსტრუქციები.

თუმცა, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, მასწავლებელს შეუძლია, მიმართოს სიტყვიერ ახსნასაც (ცხადია, სწავლების ენაზე) და, უფრო მეტიც, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით პარალელების გავლება სწავლების ენასთან (უფრო კონკრეტულად ამის შესახებ გარკვეულ მითითებებსა და რჩევებს მასწავლებელს ცალკეული გრამატიკული საკითხის ანალიზისას ვთავაზობთ).

აქ ზოგადად შევნიშნავთ, რომ გრამატიკის სწავლებისას აუცილებელია:

- პირველ, რიგში, მოვერიდოთ გრამატიკული საკითხების კონტექსტიდან მოწყვეტით მხოლოდ თეორიულ სწავლებას;
- წესების ნაცვლად გამოვიყენოთ მყარი ენობრივი ფორმულები;
- პირველ რიგში, თვალსაჩინოებების გამოყენებითა და კონკრეტული მაგალითებით გავაგებინოთ, მივახვედროთ, დავაკვირვოთ ამა თუ იმ საკითხზე, პრობლემაზე. ახალი გრამატიკული საკითხის მიწოდებისას ადვილი და გასაგები თვალსაჩინოებების (სქემები, ცხრილები, დიაგრამები და ა.შ.) გამოყენება;
- მათ გასააქტიურებლად, კონკრეტულ ენობრივ სავარჯიშოებთან ერთად, მივმართოთ ყოფით სიტუაციებსა და საინტერესო კონტექსტებს;
- გამეორებადი გამონათქვამების (კლიშეების, გრამატიკული ფორმულების) ხშირი გამეორება, რაც მოსწავლეს გამოუმუშავებს ალღოს გრამატიკული წესების მიმართ;
- და ბოლოს, სხვადასხვა სირთულის მრავალფეროვანი აქტივობებისა და სავარჯიშოების შეთავაზება, რასაც უზრუნველყოფს წარმოდგენილი სახელმძღვანელო.

ბუნებრივია, კატეგორიულად არ უნდა გამოვრიცხოთ სიტყვიერი ახსნაც, რომელსაც, საჭიროებისამებრ, უნდა მიმართოს მასწავლებელმა (განსაკუთრებით ამ ეტაპზე ეს პროცესი სწავლების ენაზე უნდა წარიმართოს). კარგი იქნება, ამ დროს პარალელებსაც თუ გავავლებთ სწავლების ენასთან. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, უკეთ დაინახონ ორ ენობრივ სისტემას შორის არსებული მსგავსება თუ განსხვავება.

❖ პოსტერები, დიაგრამები და სქემები სწავლების პროცესში

ინფორმაციული ბლოკები:

ინფორმაციული ბლოკების შექმნა ტექსტის დამუშავების პროცესში ხელს უწყობს არა მხოლოდ წაკითხულის გაგების უნარის განვითარებას, არამედ ეს წარმოადგენს ასევე ერთ- ერთ მნიშვნელოვან რესურსს ზეპირი თუ წერითი კომუნიკაციისთვისაც.
ამ ბლოკების შექმნის მიზანია ტექსტში არსებული ინფორმაციების კონკრეტული საკითხის/თემის მიხედვით მოძიება და ერთი ღერძის გარშემო მათი განთავსება. ასეთი ღერძების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, მოცემული ტექსტი თავისთავად რამდენი და რა ტიპის ინფორმაციას მოიცავს.
ინფორმაციული ბლოკები შეგვიძლია შევქმნათ ნებისმიერ საკითხზე, თუკი მის შესახებ მინიმუმ ორი ინფორმაცია მაინც არსებობს ტექსტში. გთავაზობთ ნიმუშებს:

1. თემა 1 – ჩემი საოჯახო ალბომი (გვ. 36, №1):



2. თემა 7 – ცხოველთა სამყაროში (გვ. 115, №4):



შემდეგ შეგვიძლია მოსწავლეებს ასეთივე ბლოკების შექმნა მოვთხოვოთ თავიანთ მეგობრებზეც, სხვა ცხოველებზეც და ა.შ.

ინფორმაციულ ბლოკებზე მუშაობის პრინციპები:

- პირველ ეტაპზე ჯერ მასწავლებელი ქმნის ნიმუშის სახით ასეთ ბლოკს დაფაზე მოსწავლეების ჩართულობით (დასვით კონკრეტული კითხვა და სთხოვეთ მოსწავლეებს შესაბამისი ინფორმაციის ტექსტში მოძიება).

- ამის შემდეგ მოსწავლეებმა ჯერ თავად (დამოუკიდებლად ან წყვილებში) იმუშაონ ამგვარ აქტივობებზე და პასუხების შეჯერების პროცესში ჩაერთოს მასწავლებელი, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლის ჩართვა აუცილებელია.

პოსტერებზე მუშაობა ენობრივ საკითხებზე დაკვირვებისა და ათვისება-განმტკიცებისათვის

ზმნების პოსტერები: შესაძლებელია, ეს იყოს დიდი ფორმატის ქაღალდი, რომელიც დაიკიდება თვალსაჩინო ადგილას და პერიოდულად შეივსება ახალი მასალით.

ცალ-ცალკე პოსტერზე განათავსეთ ერთი ტიპის ზმნების პირველი და მესამე პირის ფორმები. კარგი იქნება, თუკი პირველი სუბიექტური პირის (ანუ მოქმედი პირის) ნიშნებს სხვა ფერში ჩაწერთ (**ვ** / **მ**). ასევე გამოკვეთეთ მესამე პირის ნაცვალსახელებიც (**ის** / **მას**). შესაძლებელია, ეს მოხდეს მათი წრეში ჩასმითაც (მასწავლებელს შეუძლია, თავად გადაწყვიტოს, რა იქნება მისთვის უმჯობესი. მთავარია, რომ ვიზუალურად ეს განსხვავება თვალში საცემი იყოს მოსწავლეებისათვის).

ეს პოსტერები მუდმივად გამოიყენეთ სხვადასხვა საჭიროებისამებრ. წარმოვადგენთ ნიმუშებს:

ვინიანი

მე	ის
ვარ	არის
ვდგები	დგება
ვცხოვრობ	ცხოვრობს
ვმოგზაურობ ...	მოგზაურობს ...

მანიანი

მე	მას
მქვია	ჰქვია
მაქვს	აქვს
მყავს	ჰყავს
მიყვარს...	უყვარს ...

ამგვარი თვალსაჩინოება დაეხმარება მოსწავლეს ნასწავლი ზმნების სწორად გამოყენებაში და სწორი სინტაქსური კონსტრუქციების აგებაში. ყოველი ახალი ზმნის შეტანის დროს, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრავს, რომელ ფორმატზე შეიტანოს (ანუ, ვინიანია ის ზმნა თუ მანიანი).

მარკერებად შეგვიძლია გამოვიყენოთ პირველი სუბიექტური (ანუ მოქმედი) პირის ფორმებში არსებული პირის ნიშნები: ვ / მ (ვარ / მაქვს).

რაც შეეხება სწორი სინტაქსური კონსტრუქციის აგებას, ასეთ შემთხვევაში მარკერის როლს ასრულებს მესამე პირი:



ეს სქემა, სასურველია, მოსწავლეებთან ერთად გაკეთდეს და გარკვეული დროის განმავლობაში დაიკიდოს თვალსაჩინო ადგილას.

არასწორი კონსტრუქციების აგებისას (მაგ., ბიჭი აქვს ბურთი / თემური უყვარს ქართული და ა.შ.) მასწავლებელი უთითებს ზმნურ პოსტერზე და ახდენს მასზე დაკვირვებას: ვინ არის / ცხოვრობს / სწავლობს? – ის (ბიჭი, გოგო, თემური...); ვის აქვს / ჰყავს / უყვარს? - მას (ბიჭს, გოგოს, თემურს...).

ლექსიკური პოსტერები: პოსტერების შექმნა მნიშვნელოვანია ლექსიკის სწავლების თვალსაზრისითაც. ყოველი ახალი ლექსიკური ერთეული გადაგვაქვს პოსტერზე, სადაც ისინი გარკვეული ნიშნით შეგვიძლია დავახარისხოთ. წარმოვადგენთ ნიმუშებს:

ყვავილი	ცხოველი	ნივთი
ყაყაჩო ია...	ჟირაფი ძაღლი..	ბურთი საათი...

შინაური	გარეული
ძაღლი წიწილა...	ჟირაფი არწივი...

ლექსიკური პოსტერები მუდმივად შეგვიძლია გამოვიყენოთ, როგორც დამატებითი რესურსი სხვადასხვა საჭიროების დროს, მაგალითად:

- <u>მარტივი ინტერაქციისათვის</u> (რომელია აქედან მაღალი / დაბალი / პატარა / გრძელი...? რომელია ლურჯი ფერის ყვავილი? რა გაქვს აქედან სახლში? და ა.შ.)

- <u>თამაში – „გამოიცანი, რა არის“:</u> ერთი ჩაიფიქრებს და აღწერს, სხვებმა უნდა გამოიცნონ (მაგ., ნივთია. არის მრგვალი და სხვადასხვა ფერის; წითელი ფერის ყვავილია და ა.შ.). მეტი ენობრივი კომპეტენციის შემთხვევაში, პოსტერების მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობები იზრდება.

- კონკრეტული ენობრივი საკითხის გააქტიურებისა და გასავარჯიშებლად (მაგ., მაქვს / მყავს ოპოზიციისათვის: ბურთი მაქვს / ძაღლი მყავს...).

მთავარია, რომ ნებისმიერ პოსტერზე მუშაობა – ახალი მასალის შეტანა იქნება ეს თუ სხვა რამ, აუცილებლად მოსწავლეების თანამონაწილეობით უნდა მოხდეს. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვქმნით საჭირო სასწავლო რესურსებს თვალსაჩინოების სახით, თავად ეს პროცესი ცალკე აღებული მნიშვნელოვანი აქტივობაა, რომელიც განსაკუთრებით უწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესის წარმატებით განხორციელებას.

ტიპური დავალებები და გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

გთავაზობთ სახელმძღვანელოში შესული ტიპური დავალებების ძირითად სპექტრს და იმ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სწავლების პროცესში.

<u>ფონოლოგიური სავარჯიშოები:</u>

ფონოლოგიური უნარების გასავითარებლად სახელმძღვანელო მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:

- სიტყვების ბგერებად / მარცვლებად დაშლა და გამთლიანება;
- ბგერების / მარცვლების იდენტიფიცირება;
- ენის გასატეხებზე მუშაობა.

პირველ რიგში, გვინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ასეთი სავარჯიშოები ტარდება მხოლოდ და მხოლოდ ზეპირ სიტყვებზე, ზეპირ მარცვლებსა და ბგერებზე და არა – ასოებზე, ნაწერ მარცვლებსა და სიტყვებზე.

მნიშვნელოვანია, რომ ფონოლოგიური უნარების განვითარებაზე მუშაობა წინ უსწრებდეს წერა-კითხვის დაუფლების პროცესს, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მასზე მუშაობა გაგრძელდეს იმდენ ხანს, რამდენსაც მოსწავლის საჭიროება მოითხოვს.

ასევე მნიშვნელოვანია მუშაობის წარმართვა მოსწავლეთა ორთოეპიული (მართლწარმოთქმის) უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განვითარების მიმართულებითაც. ფონოლოგიური სავარჯიშოები შეიძლება იყოს მარტივიც და რთულიც. მასწავლებელი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მარტივი სავარჯიშოებით და სწავლების პროცესში მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპისა და სირთულის აქტივობები შესთავაზოს პრინციპით – მარტივიდან რთულისაკენ!

დამატებით გთავაზობთ სახალისო თამაშებს ფონოლოგიური უნარების გასავითარებლად. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ტიპის აქტივობებში შეგიძლიათ ჩართოთ ისეთი ლექსიკა, რომელიც საჭიროებს განმტკიცებას:

გამოვიცნოთ სიტყვები! ჩუმად უთხარით ერთ-ერთ მოსწავლეს სიტყვა და სთხოვეთ, ხმამაღლა დამარცვლით წარმოთქვას ეს სიტყვა. დანარჩენმა მოსწავლეებმა უნდა გაამთლიანონ მარცვლები, გამოიცნონ, რა სიტყვაა და დაასახელონ. რეკომენდებულია, აქტივობაში თავდაპირველად გამოიყენოთ ორ- და სამმარცვლიანი სიტყვები და თანდათან გაზარდოთ მარცვალთა რაოდენობა. დამარცვლისა და გამთლიანების პროცესი რომ მოსაწყენი არ გახდეს, შესაძლებელია მას სახალისო შეჯიბრის სახე მიეცეს და სახალისო პრიზებითაც დააჯილდოვოთ ჯგუფები.

სიტყვების კატეგორიზაცია მარცვალთა რაოდენობის მიხედვით: ამ ტიპის აქტივობათა თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ მოსწავლისაგან რამდენიმე ოპერაციის შესრულებას მოითხოვს, კერძოდ, სიტყვის მარცვლებად დაშლას და სიტყვათა კატეგორიზაციას (დახარისხებას) შემადგენელი მარცვლების რაოდენობის მიხედვით. ამიტომ, სასურველია, ამ ტიპის (ანუ მრავალკომპონენტიან) აქტივობებს თამაშის სახე მისცეთ, რათა მოსწავლეებს მათი შესრულება გაუმარტივოთ. მოტივაციის გასაზრდელად შესაძლებელია, თამაშს ჯგუფებს შორის შეჯიბრის სახე მიეცეს, რასაც მოსწავლეების სახალისო პრიზებით დაჯილდოებაც მოჰყვება. თამაშის დაწყებამდე სასურველია, მოსწავლეებიც ჩავრთოთ მისი მომზადების პროცესში, მაგ., მათთან ერთად მოამზადეთ აქტივობისათვის საჭირო რესურსები (სათანადოდ მოაწყეთ სივრცე); პარალელურად აუხსენით, რისთვის დაგჭირდებათ ესა თუ ის საგანი / რა უნდა გააკეთოთ ამ რესურსების გამოყენებით და ა.შ. აქტივობის გართულება შესაძლებელია მრავალმარცვლიანი სიტყვების შემოტანით და, შესაბამისად, ყუთების რაოდენობის გაზრდით.

ა) მოსწავლეებთან ერთად მოამზადეთ სამი ყუთი (ყუთების რაოდენობა დამოკიდებულია სიტყვებში შემავალ მარცვალთა რაოდენობაზე). თითოეულ ყუთს დააწერეთ ის ციფრი, რამდენმარცვლიანი სიტყვისთვისაც არის ის განკუთვნილი (მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ აღნიშნული ციფრების ცნობა; თუ ეს ცოდნა მათ ჯერ არა აქვთ, გამოიყენეთ სიმბოლოები, მაგ., რკალები –)))))) ან მარტივი ნახატები, მაგ., მზე, ვარსკვლავი და სხვ.



ერთმარცვლიანი ორმარცვლიანი სამმარცვლიანი

ბ) მოსწავლეებთან ერთად შეაგროვეთ რესურსი: პატარა საგნები / ნივთები, რომლებიც ჩაეტევა ყუთში (მაგ.: კალამი, ფანქარი, ბურთი, წიგნი, ჭიქა, კოვზი...); მარტივი გამოსახულების მქონე სურათები, მაგ.:

ბანანი მზე ჭიქა ხე



და ა.შ.

გ) გამოიყენეთ მოდელირების სტრატეგია და მოსწავლეებს აუხსენით თამაშის პრინციპი. აქტივობა გაითამაშეთ ერთ-ერთ მოსწავლესთან ერთად და დარწმუნდით, რომ სავარჯიშოს არსი ყველასთვის გასაგებია. საჭიროებისამებრ, თავიდან გაითამაშეთ აქტივობა იმ მოსწავლესთან ერთად, რომელსაც გაუჭირდა თამაშის პრინციპის გაგება.

დ) ამის შემდეგ დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად. ჯგუფებს დაურიგეთ ყუთები და ყველა საჭირო რესურსი – სურათები, საგნები, ნივთები და განსაზღვრეთ თამაშის დრო.

შესაძლებელია ამ აქტივობის სხვადასხვაგვარად წარმართვაც, კერძოდ:

ა) მიეცით თითო ჯგუფს თითო ყუთი (ერთ ჯგუფს შეხვდება ერთმარცვლიანი სიტყვებისთვის განკუთვნილი ყუთი, მეორეს – ორმარცვლიანი სიტყვებისთვის და ა.შ.). მოსწავლეებმა დარიგებული მასალიდან უნდა შეარჩიონ და ყუთში მოათავსონ ის ნივთები, რომელთა აღმნიშვნელი სიტყვებიც შედგება ყუთზე მითითებული მარცვლების რაოდენობისგან.

ბ) მიეცით ჯგუფს რამდენიმე ან ყველა ყუთი ერთდროულად და სთხოვეთ, დარიგებული მასალა გადაახარისხონ ყუთებში სიტყვაში მარცვალთა რაოდენობის მიხედვით. ამისათვის შესაძლებელია, მოსწავლეს მისცეთ შემდეგი ინსტრუქცია: დამარცვლით წარმოთქვით, რა არის და შემდეგ ჩადეთ შესაბამის ყუთში!

მარცვლების იდენტიფიცირება (მარცვლის ამოცნობა მარცვალთა ჩამონათვალში): პირველ რიგში, დაიწყეთ აქტივობის მოდელირება: წარმოთქვით სამოდელო მარცვალი (მა-), რომელიც უნდა ამოიცნონ მოსწავლეებმა მარცვალთა წყებაში (მაგ., **და, მო, ში, მა, თა, ჩა, მე, მა, მუ** და ა.შ.) და კიდევ ერთხელ გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ ტაში დაუკრან ამ მარცვლის გაგონებისას.

საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალურად განახორციელეთ აქტივობის გამარტივებული ვარიანტი – შეამცირეთ მიწოდებულ მარცვალთა რაოდენობა, წარმოთქვით მხოლოდ ორი მარცვალი და გაზარდეთ მათ შორის ინტერვალი. მიეცით მოსწავლეს დრო დასაფიქრებლად და სათანადო რეაქციისათვის. შეგიძლიათ გაართულოთ აქტივობა ფონოლოგიურად მსგავსი მარცვლების მიჯრით წარმოთქმით: **ქუ/კუ/გუ; ჯი/ჩი/ჭი/ცი; ბა/ფა/პა** და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ პირველ ეტაპზე მარცვლები დაასახელოთ ნელა და გარკვევით. კარგად გავარჯიშების შემდეგ კი უკვე შესაძლებელია ტემპის უმნიშვნელო აჩქარება.

<u>წერისა და კითხვის დაუფლება:</u>

სახელმძღვანელო (საუბარია კალიგრაფიის რვეულზეც) მრავლად შეიცავს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:

- ასოების გამოსახვა ბადიან რვეულში;
- ნაცნობი სიტყვების წერა ნახატების დახმარებით;
- სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ცნობა (არასწორად დაწერილი სიტყვების გასწორება; ნახატის მიხედვით სწორი ვარიანტების შემოხაზვა და ა.შ.);
- ასო-ბგერებისა და მარცვლების ცნობა (მოისმინე, იპოვე და შემოხაზე / დაასახელე / გააფერდე);
- სიტყვის ამოცნობა (ანალიზი და სინთეზი), მაგ.: მოცემული ასოებით სიტყვების შევსება; ნახატის დახმარებით სიტყვაში გამოტოვებული ასოების ამოცნობა და სიტყვის შევსება; არეულად მოცემული ასოებით სიტყვების აწყობა საყრდენების დახმარებით (საყრდენად შეიძლება იყოს, ერთ შემთხვევაში, სიტყვის ფოტოგრაფიული ხატი, ანუ გამოსახულება. მეორე შემთხვევაში კი ასაწყობი სიტყვის საწყისი ასო); საყრდენების დახმარებით კროსვორდის შევსება; მიჯრით მიწყობილ სიტყვაში სამოდელო სიტყვის ამოცნობა; გრძელ სიტყვაში მოკლე სიტყვის მოძებნა; რებუსის ამოხსნა; მოცემული სიტყვების ცხრილში მოძებნა და მათი მონიშვნა ან გაფერადება და ა.შ.);
- სიტყვების ამოკითხვა და გამოწერა / გადაწერა.

გთავაზობთ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საანბანო პერიოდში წერა-კითხვის დაუფლებაზე სამუშაოდ:

ბადიან რვეულში ასოებზე მუშაობა (რომელიც მიმდინარეობს კალიგრაფიის რვეულში – „დედანში“) წარმართეთ შემდეგი თანმიმდევრობით:

<u>პირველი ეტაპზე</u>
ა) აჩვენეთ მოსწავლეებს ოთხხაზოვან ბადიან ფურცელზე გამოსახული ასოები. პირველ რიგში, ყურადღება ბადის სტრუქტურაზე – ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ხაზებზე მიაქცევინეთ. განმარტეთ, რაში მდგომარეობს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების ამგვარი განლაგების პრინციპი;

ბ) დააკვირვეთ ასოებზე და დაუსვით შეკითხვები (განმარტებები წარმართეთ მათთვის ნაცნობ ენაზე, ანუ მათი სწავლების ენაზე): რომელი ასოები იწერება ორ ხაზში? სამ ხაზში? ოთხ ხაზში? რომელი ასოები ჰგავს ერთმანეთს? რით ჰგავს? რა აქვს ამ ასოებს საერთო? და ა.შ.

გ) ყურადღება გაამახვილებინეთ მოსწავლეებს ასოთა მოხაზულობაზე – საიდან იწყება და სად მთავრდება ასოს გამოსახვა; რომელი ასო რამდენ უჯრაში იწერება.

<u>მეორე ეტაპზე</u> გადადით მორიგ ოთხხაზოვან ბადიან ფურცლებზე, სადაც ასოები (და ნაცნობი სიტყვები) მოცემულია ჯერ თვალსაჩინოდ, შემდეგ გამოსახულია წერტილებით და დაასრულებინეთ ასოების გამოწერა.

<u>მესამე ეტაპზე</u> გაჰყევით კალიგრაფიის რვეულში მოცემულ დანარჩენ სავარჯიშოებს კონკრეტული ასოს ფარგლებში.
მსგავსად იმუშავეთ ყველა ახალი ასოს შემთხვევაში.

სიტყვის ორთოგრაფიული ხატის ცნობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კითხვის მთლიანობითი მეთოდის გამოყენება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კითხვის სწავლების შემამზადებელ ეტაპზე. მოსწავლე ვიზუალურად იმახსოვრებს სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს და პირდაპირი გზით ამოიცნობს მის მნიშვნელობას. კითხვის მთლიანობითი მეთოდი ხელს უწყობს მხედველობითი მეხსიერების განვითარებასა და ხედვითი აღქმის გაუმჯობესებას. ამ მეთოდით კითხვის სწავლებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- სიტყვების გაშიფრვის წინმსწრებად მნიშვნელოვანია ფონოლოგიურ უნარებზე, განსაკუთრებით კი ბგერების გამთლიანებაზე მუშაობა.
- ასაკობრივთან ერთად თუ გავითვალისწინებთ მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ და ფიზიოლოგიურ თავისებურებებსაც, ამ მეთოდით კითხვის სწავლებისას ყველას თანაბარი მოთხოვნები არ უნდა წავუყენოთ.

6-7 წლის ასაკის მოსწავლეებთან მუშაობისას მნიშვნელოვანია, აუცილებლად დავიცვათ მარტივიდან რთულისაკენ სვლის პრინციპი. კარგი იქნება, თუკი მათთვის წინასწარ მოამზადებთ ბარათებს, სადაც მოცემული იქნება სამიზნე (ამოსაკითხი) სიტყვა სათანადო სიტყვათა ჩამონათვალში.

დაურიგეთ ბარათები მოსწავლეებს და სთხოვეთ, ამოიკითხონ მითითებული (გამუქებული / ცალკე გატანილი / დიდი შრიფტით დაწერილი) სიტყვა. ამის შემდეგ მიეცით კონკრეტული დავალება – სიტყვათა ჩამონათვალში იპოვონ და შემოხაზონ იგივე სიტყვა.

ა)

მზე	კომპიუტერი მზე ბურთი

ბ)

მზე	ხე	მზე	ია	ზღვა	მზე	ბურთი	ტყე	ზღარბი	მზე

ამის შემდეგ მიეცით მორიგი დავალება – გადახაზოს (ან მიუთითოს) ზედმეტი სიტყვა სიტყვათა ჩამონათვალში ნიმუშის მიხედვით.

ია	ია
ია	ბურთი
ია	ია

წიგნი	წიგნი
წიგნი	ვაშლი
წიგნი	ცხენი

კარგად გავარჯიშების შემდეგ ცოტა გაართულეთ დავალება. მიეცით სიტყვათა ჩამონათვალი და ერთ-ერთი (ამოსაკითხი / სამიზნე) სიტყვის შესაბამისი ნახატი. სთხოვეთ მოსწავლეებს, ჯერ დაასახელონ, რა ხატია და შემდეგ იპოვონ და მიუთითონ (ხაზით დააკავშირონ) მისი შესაბამისი სიტყვა სიტყვათა ჩამონათვალში.

ა) თაგვი
კატა
კუდი
ძაღლი

თაგვი

ბ) შეგიძლიათ, დავალება გაართულოთ ყველა სიტყვის შესაბამის ნახატთან დაკავშირებით:



ასო-ბგერების ცნობა. კონკრეტული სამიზნე ასოს (ან ასოების) მოძებნა ხდება სიტყვათა ჩამონათვალში და/ან კონკრეტულ წინადადებებში. საწყის ეტაპზე (როდესაც იწყებთ ახალი ასო-ბგერის სწავლებას), გირჩევთ ენის გასატეხების გამოყენებას. პატარა ასაკის მოსწავლეებისათვის ეს ენის გასატეხები კალიგრაფიის რვეულში მოცემულია იმ ფორმით, რომ მათ შეძლონ ამ ასოების გაფერადება (რაც ძალიან მნიშვნელოვანია მოტორული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის), მაგალითად:

ნანა ნინოს ბანანს ჩუქნის.

მითითებული სიტყვების ამოკითხვა და გადაწერა. მიეცით მოსწავლეებს სიტყვათა ჩამონათვალი და გააცანით ისინი. დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლემ იცის მოცემული სიტყვების მნიშვნელობა (მარტივი ვარიანტი მოცემულია სახელმძღვანელოში – სიტყვათა ჩამონათვალში უნდა მოძებნონ მითითებული სიტყვები და ამოწერონ):

მეგობარი მგელი დათვი ვარდი კლასელი ჩანთა წიგნი სახლი მეზობელი ბებია ლომი ენძელა ჩაქუჩი იასამანი

ამის შემდეგ გააცანით დავალება – სიტყვების ამ ჩამონათვალიდან უნდა ამოწერონ ის სიტყვები, რომლებიც ქვემოთ მოცემულ ინსტრუქციაშია მითითებული. ჯერ ზეპირად შეასრულებინეთ მოცემული დავალება და შემდეგ სთხოვეთ მისი შესრულება წერილობით, მაგალითად:

ა) გადაწერეთ ყვავილები: ----------

შეამოწმეთ შესრულებული დავალება და ამის შემდეგ გადადით მორიგ დავალებებზე:

ბ) გადაწერეთ ყველა სულიერი: ----------
გ) გადაწერეთ სიტყვები, რომლებსაც დაესმის კითხვა – ვინ? ----------

ამჯერად გთავაზობთ **შედარებით რთულ ვარიანტს,** რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ უფროსი ასაკის მოსწავლეებთან სამუშაოდ: ორი ტექსტის შედარებით მითითებული სიტყვების მოძიება ტექსტში და გადმოწერა.

ამ შემთხვევაშიც იმუშავეთ იმგვარი თანმიმდევრობის დაცვით, როგორც აქტივობის მარტივ ვარიანტში იყო მითითებული – ჯერ ტექსტები გააცანით მოსწავლეებს ცალ-ცალკე (წააკითხეთ ხმამაღლა და ყურადღებით).

შემდეგ შეადარებინეთ ეს ორი ტექსტი ერთმანეთს შეკითხვების დახმარებით: *როგორ იწყება პირველი ტექსტი? როგორ იწყება მეორე? წაიკითხეთ მეორე წინადადება პირველ ტექსტში, მეორე ტექსტში. რა განსხვავებაა მათ შორის?*
საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ დამატებითი შეკითხვით: რომელი სიტყვა არ წერია მეორე ტექსტში? და ა.შ.

სანიმუშოდ გთავაზობთ ტექსტებს. სასურველია, რომ პირველ ეტაპზე, მოსწავლეთა დაბალი ენობრივი კომპეტენციების გამო, ამ ტიპის დავალების შედგენისას გამოიყენოთ სახელმძღვანელოს მასალა და იქ შეიტანოთ ცვლილებები.

პირველი ტექსტი	მეორე ტექსტი
ერთმა ქორმა იხვი დაიჭირა. ამ დროს მონადირისაგან შეშინებულმა კაკაბმა თავზე გადაუფრინა. ქორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო. იხვმა იდროვა, ქორს კლანჭებიდან გაუსხლტა და თავს უშველა.	ერთმა ქორმა იხვი დაიჭირა. ამ დროს შეშინებულმა კაკაბმა თავზე გადაუფრინა. ქორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო. იხვმა იდროვა და ქორს გაუსხლტა. ქორმა ვერც კაკაბი დაიჭირა და იხვიც დაკარგა.

ტექსტების გაცნობის შემდეგ შეასრულებინეთ ჯერ პირველი ინსტრუქცია:

ა) ამოწერეთ ის სიტყვები, რომლებიც არის პირველ ტექსტში და არ არის მეორეში.

შეამოწმეთ შესრულებული დავალება და გადადით შემდეგ ინსტრუქციებზე:

ბ) ამოწერეთ ის სიტყვები, რომლებიც დამატებულია მეორე ტექსტში.
გ) ამოწერეთ პირველი ტექსტიდან მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები (ზმნები): დაიჭირა, ...

შესაძლებელია, მოსწავლეებს (შესაბამისი ასაკობრივი და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით) ინდივიდუალურადაც შესთავაზოთ უფრო მარტივი დავალებები მოცემული ტექსტების მიხედვით, მაგ.:

ა) მოძებნეთ პირველ ტექსტში ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვა და გადმოწერეთ.
ბ) მოძებნეთ მეორე ტექსტში ფრინველების სახელები გაუსვით ქვეშ ხაზი (ან გადმოწერეთ).

<u>პროდუცირება:</u>

სათანადო სამეტყველო ქცევის ჩამოსაყალიბებლად სახელმძღვანელო მრავლად შეიცავს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:

- კონკრეტულ საკლასო სიტუაციასთან დაკავშირებით კითხვების დასმა და მათზე პასუხის გაცემა (მაგ., სად დევს ჩემი ჩანთა? ვისია ეს წიგნი? და ა.შ.);
- მარტივი ინტერაქცია ნაცნობი თემების გარშემო (მაგ.: რომელი საათია? რა მოსწონს / არ მოსწონს? და ა.შ.);
- ნასწავლი ტექსტის შინაარსის გარშემო დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა;
- მარტივ იმიტირებულ სიტუაციებში მონაწილეობა (მაგ., მინიინტერვიუების მოწყობა, გამოკითხვების ჩატარება კლასში კონკრეტულ თემაზე; კონკრეტული სიტუაციების გათამაშება; „მრგვალი მაგიდის მოწყობა“ და ა.შ.);
- საუბარი მარტივი საყრდენების გამოყენებით;
- სურათების, ფოტოების აღწერა;
- საკუთარი გამოცდილების შესახებ საუბარი და სხვა.

გთავაზობთ განმარტებებსა და რეკომენდაცებს.

1. მინიინტერვიუების მოწყობა შესაძლებელია ნებისმიერ ნასწავლ ტექსტში მოცემული თემის გარშემო პირად გამოცდილებაზე გადატანით. მაგალითად, სასწავლო ტექსტი ეხება მოგზაურობის თემას. ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ, მოამზადეთ მოსწავლეები ამ თემაზე ერთმანეთთან მინიინტერვიუების მოსაწყობად.
ა) შესაძლებელია მოსწავლეებთან ერთად წინასწარ კითხვარის შედგენა, რა ტიპის შეკითხვები შეიძლება დაუსვან ერთმანეთს, მაგ., უყვარს თუ არა ცხოველები? რომელი ცხოველი ჰყავს, რა ჰქვია, როგორია? და ა.შ.
ბ) მინიინტერვიუების მოწყობა შესაძლებელია: საკუთარი ნახატების გარშემო; საყვარელ პერსონაჟებთან (ერთ-ერთი მოსწავლე მოირგებს „პერსონაჟის“ როლს, დანარჩენები უსვამენ შეკითხვებს) და სხვა.

2. კითხვარების შევსება ასევე შესაძლებელია ნებისმიერი ნასწავლი თემის, საკითხის გარშემო, რომელიც მათ პირად გამოცდილებაზე გასვლის საშუალებას იძლევა.

ა) კითხვარის მომზადებისას ენობრივ და კომუნიკაციურ მიზნებთან ერთად უნდა გაითვალისწინოთ თავად მოსწავლეების ენობრივი შესაძლებლობებიც. განსხვავებული საჭიროებების შემთხვევაში, ინდივიდუალურად მოუმზადეთ კითხვარები მოსწავლეებს.
ბ) კითხვარის გამოყენება რეკომენდებულია ასევე დიალოგური მეტყველებისთვისაც წყვილებში სამუშაოდ. ასეთ შემთხვევაში ამ აქტივობას კიდევ ერთი მიზანი ექნება – რამდენად ახერხებს მოსწავლე სამეტყველო ქცევის ადეკვატურად შეცვლას. მოსწავლეები კითხვარზე დაყრდნობით დასვამენ და უპასუხებენ ერთმანეთის შეკითხვებზე, მაგ.: მე ყოველთვის ადრე ვიღვიძებ, შენ როდის იღვიძებ? მე ხშირად ვუსმენ მუსიკას, შენ რას აკეთებ ხშირად? და ა.შ.

3. „მრგვალი მაგიდის“ მოსაწყობად მოსწავლეებთან ერთად შეარჩიეთ თემები თითოეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით. გაითვალისწინეთ, რომ ეს თემები უნდა ეთანაბრებოდეს მოსწავლეთა ენობრივ შესაძლებლობებს. სახელმძღვანელოს შინაარსის კონტექსტში შეარჩიეთ ასეთი თემები მოსწავლეებთან ერთად და მიეცით მათ დავალება – კონკრეტულად რა საკითხის გარშემო უნდა მოიძიონ ინფორმაცია. მაგალითად: თემა – „ცხოველები“, საკითხი – „თეთრი სპილოები“: სად ბინადრობენ, რით იკვებებიან, როგორ ცხოვრობენ და ა.შ.
განუსაზღვრეთ რაოდენობა: მოძიებული ინფორმაცია არ უნდა აღემატებოდეს 7-10 წინადადებას. პატარებთან ეს რაოდენობა შეგიძლიათ 3-4 ერთეულამდეც შეამციროთ. ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევაში, შეუცვალეთ ამოცანა და ამ თემის ფარგლებში სხვა რამ დაავალეთ, მაგალითად: თეთრი სპილოების საინტერესო ფოტოების მოძებნა; მხოლოდ ნახატის შექმნა ან ნახატის შექმნის შემდეგ მისი აღწერაც. მიეცით სათანადო დრო ინფორმაციის მოსაძიებლად და მოსამზადებლად.

4. სახალისო ვიქტორინების მოწყობა: მოსწავლეები დაყავით ჯგუფებად და ყველა ჯგუფთან ცალ-ცალკე იმუშავეთ ვიქტორინის შეკითხვების მომზადებაზე: შეკითხვები უნდა დაეფუძნოს მოსწავლეთა ცოდნას და, ასევე სასურველია, ისინი ეხებოდეს სახელმძღვანელოს მასალას, რაც უზრუნველყოფს ნასწავლი ენობრივი ცოდნის (სათანადო ლექსიკის, ენობრივი კონსტრუქციების) განმტკიცებას.

ა) კარგი იქნება, თუკი შეკითხვების მომზადებაზე მუშაობაში ჩაერთვება ჯგუფის ყველა წევრი – ისინი თქვენი მითითებით მოაგროვებენ მასალას; შემდეგ თითოეული ჯგუფი თქვენთან ერთად განიხილავს ამ მასალას და ერთობლივად დაადგენთ შეკითხვების საბოლოო ვარიანტებსა და რაოდენობას; ეს მნიშვნელოვანია, რათა გაითვალისწინოთ ყველას ასაკობრივი ინტერესი და ენობრივი კომპეტენციები.

ბ) შეკითხვები შეარჩიეთ სირთულის მიხედვით და მიანიჭეთ სათანადო ქულები: მარტივი (1 ქულა), საშუალო (2 ქულა) და რთული (3 ქულა). შეკითხვის სირთულე სწავლების საწყის ეტაპზე გასაზღვრეთ თქვენ. მომდევნო ეტაპებზე (როცა მოსწავლეებს დაუგროდებათ სათანადო ენობრივი ცოდნა), შესაძლებელია, თქვენთან ერთად თავად მოსწავლეებმაც მიიღონ ამ კუთხით გადაწყვეტილება.

გ) კიდევ ერთხელ შეამოწმეთ შეკითხვების საბოლოო ვარიანტები და მოათავსეთ ისინი კონვერტში ვიქტორინის დაწყებამდე.

დ) მოსწავლეებთან ერთად შესაძლებელია სხვადასხვა ნომინაციის დაწესებაც: ყველაზე სწრაფი პასუხი; ყველაზე მეტი სწორი პასუხის მქონე; ენობრივად ყველაზე გამართული პასუხები; ყველაზე გაბედულები და ა.შ.

5. კონკურსის მოწყობა გამომსახველობით კითხვაში – „პოეზიის საღამო“: ტექსტის შინაარსის ცოდნას თან უნდა ახლდეს ხმამაღალი კითხვის შესატყვისი უნარებიც (ინტონაცია, ექსპრესიულობა...). კარგი იქნება, თუკი ხშირად მოასმენინებთ მოსწავლეებს ქართველ მსახიობთა აუდიოჩანაწერებს.

ა) მოსწავლეებთან ერთად დაგეგმეთ კონკურსის მოწყობა. პირველ ჯერზე კონკურსში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ამიტომ გაითვალისწინეთ მოსწავლეების სურვილი და ნუ დააძალებთ მონაწილეობას. ის, ვინც უარს იტყვის მონაწილეობაზე, შეიყვანეთ შემფასებელთა ჯგუფში (ჟიურიში).

ბ) ჟიურის წევრებთან ერთად (რა თქმა უნდა, მათი სწავლების ენაზე) შეიმუშავეთ კრიტერიუმები, რის მიხედვითაც შეაფასებენ ისინი კონკურსიის მონაწილეებს.

გ) კონკურსის ჩატარება შესაძლებელია ორ ტურად: მონაწილეები ჯერ კითხულობენ (ზეპირად ამბობენ) ერთსა და იმავე ნაწარმოებს (როგორც პროზაულს, ისე პოეტურს), შემდეგ ტექსტს ირჩევენ საკუთარი სურვილით. მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრეთ საკონკურსო პირობები, მაგ., საკუთარი სურვილით შერჩეული ტექსტების წაკითხვა.

დ) გააცანით მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები და აუხსენით, რას მიაქციონ ყურადღება მომზადების პროცესში:

- ყურადღება მიაქციონ სასვენ ნიშნებს; მეტყველების ტემპსა და ხმის ტემბრს;
- იმეტყველონ გარკვევით და მკაფიოდ;
- სათანადოდ გამოიყენონ არავერბალური ენა – მიმიკა და ჟესტები;
- შეეცადონ მხედველობითი კონტაქტის დამყარებას აუდიტორიასთან.

ე) მოტივაციის გასაზრდელად, სასურველია, მოსწავლეები წაახალისოთ სხვადასხვა თვალსაზრისით, მაგ., ყველაზე კარგი გამოთქმის მქონე, ყველაზე მონდომებული და ა.შ. ნომინაციებზე შეთანხმდით მოსწავლეებთან ერთად.

<u>ლექსიკური სავარჯიშოები:</u>

მრავალფეროვანია სახელმძღვანელოში ლექსიკის სწავლებისათვის შეთავაზებული დავალებების სპექტრი:

- სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენება;
- სიტყვიერი განმარტება (ეს, ძირითადად, ეხება აფიქსალურ ნაწარმოებ სიტყვებს და არა – კომპოზიტებს, მაგალითად, გამყიდველი: ის, ვინც ყიდის და ა.შ. თუმცა სრულიად შესაძლებელია, გამოვიყენოთ სიტყვიერი განმარტებაც);
- ლექსიკის სხვადასხვა კატეგორიად დაყოფა (მაგ., გრამატიკულ კატეგორიებად: სიტყვები, რომლებიც მიუთითებენ ადგილს, დროს, ნიშან-თვისებას, მოქმედებას და ა.შ.; სიტყვები, რომლებიც განსხვავდებიან სულიერება/უსულოების მიხედვით და სხვა);
- ერთი ცნების ქვეშ გაერთიანება (მაგ., ყვავილი, ცხოველი, სათამაშო, ხილი, ბოსტნეული...)
- კონტექსტის მიხედვით სიტყვის მნიშვნელობის დადგენა და ა.შ.

სიტყვის მნიშვნელობის არათარგმნითი გზით მიწოდება განსაკუთრებით უწყობს ხელს არა მარტო უშუალოდ სიტყვის მნიშვნელობის გააზრებას, არამედ მის დამახსოვრებასაც. გთავაზობთ ლექსიკის სწავლების სხვადასხვა ხერხს, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ ახალი ლექსიკური ერთეულების სწავლებისას.
სასურველია, რომ ახალი ლექსიკის სწავლებისას ამ ეტაპზე თანმიმდევრულად განახორციელოთ ეს აქტივობები:

1. მიუთითეთ ყოველ ახალ ლექსიკურ ერთეულზე და დაასახელეთ, რა არის (მაგ., ეს არის ჩიტი, ეს არის პეპელა და ა.შ.);
2. მიუთითეთ, დაასახელეთ, რა არის და შემდეგ მოსწავლეებს სთხოვეთ, გაიმეორონ;
3. ამის შემდეგ მხოლოდ მიუთითეთ, მოსწავლეებმა კი უნდა დაასახელოთ, რა არის;
4. შემდეგ თქვენ მხოლოდ ასახელებთ და მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ, რომელია;
5. მიუთითეთ და დაასახელეთ შეცდომით, მოსწავლეებმა კი უნდა გაასწორონ;
6. მოსწავლეთა ენობრივი კომპენტეციების გათვალისწინებით, აღწერეთ სამიზნე სიტყვა (როგორია? – დიდი, პატარა, მსუქანი, დაბალი... რა ფერია?) და მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ და დაასახელონ.

<u>სახელის მრავლობითობა (გრამატიკა):</u>

ვინაიდან ქართულში მრავლობით რიცხვში სახელის გადაყვანისას ზოგიერთი სახელი კარგავს გარკვეულ ხმოვნებს (ზოგი ხმოვანს კარგავს ბოლოში, ზოგი კი – შუაში), ამიტომ სასურველია, რომ გარკვეული დრო დაუთმოთ მოცემული სიტყვების მრავლობითი რიცხვის ფორმებს და მუდმივად მათთან ერთად იმუშაოთ პოსტერზე.

მოსწავლეებთან ერთად შეცვალეთ მოცემული სიტყვების რიცხვი. დააკვირვეთ ისეთ სიტყვებზე, რომლებსაც მრავლობითში გადაყვანისას ფუძეში მოსდით ცვლილება. გთავაზობთ ნიმუშს:

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
ბიჭი	ბიჭები	ბებია	ბებიები
სურათი	სურათები	ქალი	ქალები
ქამარი	ქამრები	ტელეფონი	ტელეფონები
მეგობარი	მეგობრები	ნათესავი	ნათესავები
კლასელი	კლასელები	ფეხი	ფეხები
თმა	თმები	სათვალე	სათვალეები
კაბა	კაბები	შარვალი	შარვლები
ძმა	ძმები	სახლი	სახლები
ქალაქი	ქალაქები	მაგიდა	მაგიდები
სოფელი	სოფლები	თვალი	თვალები

<u>როლური თამაშები / მარტივი იმიტირებული საკომუნიკაციო სიტუაციები:</u>

როლური თამაში თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და აქტიური ფორმაა, რომელიც ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფთან შეგვიძლია გამოვიყენოთ.
როლური თამაშები, გარდა სხვა ფუნქციებისა, მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს. სიმულაციური სიტუაციების გათამაშება განსაკუთრებით სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს. სიმულაცია გულისხმობს რეალობის მსგავსი ხელოვნური სიტუაციების შექმნას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიმულაცია არის რეალობის გათამაშება.
დიალოგების გასათამაშებლად, მნიშვნელოვანია, პატარა ასაკის მოსწავლეთა დახმარების მიზნით, ინტენსიურად გამოვიყენოთ ე.წ. მოდელირების სტრატეგია, რაც გულისხმობს:

- გასათამაშებელი დიალოგის ჩარჩოს მიცემას;
- წინასწარ მსგავს დიალოგებზე დაკვირვებას/მუშაობას;
- სანიმუშოდ პირველ ეტაპზე მასწავლებლის ჩართვას (მასწავლებელთან ერთად დიალოგის გათამაშებას).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს 6-7 წლის ასაკის მოსწავლეებთან, რომლებსაც განსაკუთრებული დახმარება სჭირდებათ მეწყვილესთან დიალოგის გასათამაშებლად, ამიტომ ნებისმიერი საკომუნიკაციო სიტუაციის განხორციელება მის ჯეროვან მომზადებას გულისხმობს. გთავაზობთ მარტივ და აუცილებელ რეკომენდაციებს:

1. ნებისმიერი სიტუაციის მომზადებისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ დავალებაში მითითებული საკომუნიკაციო ამოცანები (რა არის მისი მიზანი), მოზარდების ინტერესთა სფერო და მათი ასაკობრივი თავისებურებები;

2. კომუნიკაციის წარმართვამდე უნდა დავრწმუნდეთ, კარგად გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა საკომუნიკაციო სიტუაციები, კერძოდ:

   - ვინ წარმართავს დიალოგს ან საუბარს;
   - ვინ არის მისი თანამონაწილე დიალოგში; ვის ესაუბრება, ვის მიმართავს, ანუ, ვინ არის მსმენელი;
   - რა არის კომუნიკაციის მიზანი (ანუ, რის შესახებ იმართება დიალოგი, ან რას ეხება საუბარი, მაგ.: გაცნობას, მოკითხვას და სხვა).

3. მნიშვნელოვანია, რომ გამოიყენოთ მოდელირების სტრატეგია და ჯერ თქვენ გაითამაშეთ ერთ-ერთ მოსწავლესთან. მხოლოდ ამის შემდეგ ამუშავეთ მოსწავლეები დამოუკიდებლად.

კომუნიკაციის წარმართვამდე მოსწავლეებმა კარგად უნდა გაიაზრონ საკომუნიკაციო სიტუაციები, ვინაიდან სწორედ ამის გათვალისწინებით უნდა მოხდეს ინტერაქციისას ნასწავლი ენობრივი რესურსების (შესაბამისი ლექსიკის, მარტივი ენობრივი კონსტრუქციების, სათანადო ენობრივი ფორმულებისა და კლიშეების, მარტივი გრამატიკული საკითხების – ზმნის დრო, სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვა, დროსა და სივრცეში ორიენტირებისათვის საჭირო ენობრივი საშუალებები და ა.შ.) გამოყენება.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მუდმივად წაახალისოთ მოსწავლეები, შესწავლილი ლექსიკური მასალის გამოყენებით დასვან და უპასუხონ შეკითხვებს; ნიმუშების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ მარტივ ყოფით სიმულაციურ სიტუაციებში, გაითამაშონ მარტივი დიალოგები და სხვა.

<u>წერის უნარის განვითარება:</u>

მოსწავლეთა წერის უნარის გასავითარებლად სახელმძღვანელო მასწავლებელსა და მოსწავლეებს მრავლად სთავაზობს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:

- გამოტოვებული ადგილების შევსება (სიტყვებში – ასოების, წინადადებებში სიტყვების, ტექსტებში – წინადადებების);
- კითხვარის, ანკეტის, ბარათის, გაკვეთილების ცხრილისა და ა.შ. შევსება;
- არეულად მოცემული სიტყვებით წინადადების შედგენა;
- არეულად მოცემული რეპლიკების / ფრაზების სწორად დალაგება და შემდგომ აწყობილი ტექსტის გადაწერა;
- კროსვორდის შევსება;
- კითხვარების შედგენა (მაგ., ვის მოსწონს / არ მოსწონს კლასში ეს თუ ის საგანი, ნივთი... და ა.შ.);
- წინადადებების დასრულება სხვადასხვა გზით (მაგ.: მოცემული ვარიანტებიდან სწორი ვარიანტის შერჩევით; კონტექსტით) და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე მოცემული დავალებები შესრულების თვალსაზრისით განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს და არ საჭიროებს დამატებით ახსნა- განმარტებებს, მაინც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება, კერძოდ:

1. დავალების შესრულებამდე, აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ მოსწავლეებს კარგად ესმით შესასრულებელი ამოცანის პირობა და მოცემული ლექსიკა;

2. საჭიროების შემთხვევაში, სასურველია, ჯერ ზეპირად შევასრულებინოთ მოსწავლეებს ეს დავალება და შემდეგ ვთხოვოთ მისი დაწერა;

3. დავალებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დავაზუსტოდ წინმსწრებად, ესმით თუ არა მოსწავლეებს დავალებაში მოცემული ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობები და, საჭიროების შემთხვევაში, ვიმუშავოთ მათ გარშემო ზემოთ მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

<u>შეცდომების მოძებნა, დასახელება და გასწორება:</u>

ამ ტიპის აქტივობები ამოწმებს მოსწავლის ცოდნას. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ყურადღებით ადევნოს თვალი მოსწავლეთა მუშაობის პროცესს. ასეთი დავალებები ერთგვარ დიაგნოსტირების საშუალებასაც იძლევა – რამ შეიძლება განაპირობოს წარუმატებლობა. მოსწავლის მხრიდან არასწორი პასუხების მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ენობრივი, ისე არაენობრივი ხასიათის, კერძოდ: ყურადღების გაფანტულობა, გადაღლა, ცუდად ყოფნა, ხელის შეშლა და ა.შ. სწორი დიაგნოსტირების შემთხვევაში, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ხელისშემშლელი ფაქტორების თავიდან აცილება, დაბალი ენობრივი კომპეტენციების შემთხვევაში კი გაზარდოს გავარჯიშების ფაზა, დაგეგმოს დამატებითი აქტივობები ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

<u>უცნობი ტექსტის კითხვა:</u>

ამ ტიპის აქტივობების მიზანია მოსწავლეთა გავარჯიშება კითხვაში (კითხვის ტექნიკის დაუფლება) და მოსწავლეთა გაწაფულად კითხვის უნარის დიაგნოსტირება. ეს აქტივობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს, გაიგოს, რამდენად ავტომატიზებულია მოსწავლეთა დეკოდირების უნარი, რამდენად აქვთ მათ განვითარებული კითხვის მოქნილობა.

შესაბამისად, მსგავსი აქტივობები მასწავლებელს დაეხმარება, განსაზღვროს, რა სახის პრობლემები აქვთ მოსწავლეებს კითხვაში იმისათვის, რომ სათანადოდ დაგეგმოს კითხვის სწავლების შემდგომი პროცესი. შესაძლებელია ამ აქტივობის შეთავაზება სხვადასხვა ვარიანტით.
მსგავსი აქტივობები შეგიძლიათ შეასრულებინოთ როგორც 6-7 წლის ასაკის მოსწავლეებს, ისე უფროსი ასაკის დამწყებებსაც. მთავარია, რომ ტექსტის შედგენისას გაითვალისწინოთ, რომელი ასაკისათვის არის ის განკუთვნილი და ისე განსაზღვროთ მისი მოცულობა. გთავაზობთ ნიმუშებს.

პირველი ვარიანტი:

შესთავაზეთ მოსწავლეებს მათთვის ნაცნობი და ადვილად წასაკითხი სიტყვებისაგან შემდგარი ტექსტი, თუმცა სიტყვებ შორის მანძილი უნდა იყოს საკმაოდ არაბუნებრივი და არათანაბარი:

<u>6-9 წლის ასაკისათვის:</u>

თეთრი ბელი თავის მშობლებთან, თეთრ დათვებთან ერთად დედამიწის ყველაზე თეთრ კუნძულზე ცხოვრობდა. წელიწადის ნებისმიერ დროს ირგვლივ თოვლი იდო და ყველაფერი თეთრად თქათებდა.

10-14 წლის ასაკისათვის:

მე პატარა ნაკადული ვარ, მივრბივარ, მივრაკრაკებ, მივჩუხჩუხებ. გამიშვი, თოვლო, რა გინდა, რომ ჩამალილხარ ჩრდილებში და გამაგრებულხარ ჩემს გზაზე. ხედავ, მზე როგორ იცინის, როგორ ალერსით მაფრქვევს მცხუნვარე სხივებს?!

აქტივობის პირველი ვარიანტის საფუძველზე შეფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავ-ლეს თავისუფლად და შეუფერხებლად წაიკითხოს ტექსტი, სადაც სიტყვები გაფანტუ-ლადაა დაწერილი / დაბეჭდილი მიუხედავად იმისა, რომ მათი მნიშვნელობა მისთვის გასაგებია. თუ მოსწავლე სიტყვათა შორის ზედმეტი დაშორების გამო შეფერხებებით კითხულობს, აკეთებს პაუზებს, მასწავლებელს ექნება საფუძველი ივარაუდოს, რომ მოსწავლეს ჯერ კიდევ სჭირდება მუშაობა კითხვის მოქნილობის დასახვეწად.

მეორე ვარიანტი:

შესთავაზეთ მოსწავლეებს ტექსტი, რომელშიც სიტყვების უმეტესობა მათთვის სრუ-ლიად უცნობი და გაუგებარია (შეგიძლიათ გამოიყენოთ რთული დარგობრივი ენით დაწერილი სამეცნიერო ნაშრომიც). ნიმუშისათის გთავაზობთ ორ ვარიანტს, რომელ-თაგან პირველი შედარებით მარტივი გახლავთ:

1. წყლის ორთქლი ზამთარშიც ძალიან მაღლა ადის დედამიწიდან და მისგან პაწაწინა ყინულები – კრისტალები წარმოიქმნება. მაგრამ ესენი ჯერ კიდევ არ არიან თოვლის ფანტელები. ეს ექვსკუთხა კრისტალი იზრდება, იზრდება და ბოლოს ლამაზ ვარსკ-ვლავად იქცევა.

2. გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ იგივე "იუნესკო"-მ არაერთხელ შეიტანა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა თავის ნუსხაში. მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ნუსხაში მოხვდა ქართული ანბანი და ქვევრის ტრადიციით ღვინის დაყენების მეთოდი. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაშია ქართული მრავალხმიანობა, რომელიც UNESCO-ს მიერ აღიარებული იქნა, როგორც კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრი და მსოფლიო უნიკალურ, ხელთუქმნელ 19 შედევრს შორის დასახელდა.

<u>მეორე ვარიანტის</u> საფუძველზე შეფასდება, შეუძლია თუ არა მოსწავლეს თავისუფლად და შეუფერხებლად წაიკითხოს ტექსტი, რომლის სიტყვების მნიშვნელობა და, შესაბამისად, შინაარსიც მას არ ესმის. მოქნილად კითხვისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს შეეძლოს ავტომატურად და სწორად ამოიკითხოს მისთვის თუნდაც სრულიად უცხო და გაუგებარი სიტყვები.

ცალკეული თემების ძირითადი აქცენტები

ამ ნაწილში მიმოვიხილავთ მხოლოდ თემის ძირითად კომუნიკაციურ და ენობრივ საკითხებს.

რაც შეეხება ცალკეულ დავალებებს, მათი აქ აღარ შევეხებით. საჭიროების შემთხვევაში, იხელმძღვანელეთ იმ რეკომენდაციებით, რომლებიც მოცემულია ტიპური დავალებების თავში (გვ. 35). ცალკეულ შემთხვევებში (თუკი ამის საჭიროება იქნება), იქვე მოგაწვდით კონკრეტულ დავალებასთან დაკავშირებით დამატებით რეკომენდაციებს.

1. პირველი ნაწილი – (წინასაანბანო და საანბანო პერიოდი)

ვისწავლოთ წერა-კითხვა

საანბანო პერიოდის პრიორიტეტები:

- ფონემატური სმენის განვითარება – ბგერების, სიტყვებისა და მარტივი წინადადებების სმენით გარჩევა;
- აქცენტი პროდუცირებასა და დაზეპირებაზე (მარტივი ფრაზები, ენისგასატეხები...);
- გამოთქმის დამუშავება და ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- ფონოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარება;
- წერა-კითხვის უნარის დაუფლება;

<u>ძირითადი საკომუნიკაციო მიზნები:</u>

- წარდგენა/გაცნობა (მე ვარ / ეს არის...; მე მქვია / მას ჰქვია...);
- საკუთარი თავისა და სხვისი, აგრეთვე საგნის და ა.შ. იდენტიფიცირება (ეს / ის; ვინ / რა);
- სივრცეში მარტივად ორიენტირება (სად, რაზე – არის, დევს, ზის, დგას?);
- კუთვნილებისა და დამოკიდებულების მარტივად გამოხატვა (მაქვს / მყავს; ვისი? მომწონს / არ მომწონს...);
- ადამიანის, საგნის, ცხოველის აღწერა-დახასიათება ნასწავლი / არსებული ენობრივი ცოდნის გამოყენებით (როგორია? – დიდი / პატარა; გრძელი / მიკლე; მაღალი / დაბალი; მსუქანი / გამხდარი).

გაცნობა:

მე ვარ... / მე მქვია... ეს არის... / მას ჰქვია...

ინდივიდუალურად განახორციელეთ ინტერაქცია ქართულ ენაზე თითოეულ მოსწავლესთან (მე ვარ..., შენ ვინ ხარ?). აუცილებელია, რომ მოსწავლემ სრულად გიპასუხოთ – მე ვარ...

იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლე მხოლოდ სახელს იტყვის, სთხოვეთ მას, გამოიყენოს ეს კონსტრუქცია.

მოსწავლეებთან ინტერაქციისას პირველ და მეორე პირებთან ერთად გააქტიურეთ მესამე პირიც, მაგალითად: – გამარჯობა, მე ვარ ... ! ეს არის ნანა, შენ ვინ ხარ? // ეს ვინ არის? და ა.შ.

ინდივიდუალური გაცნობის შემდეგ შესაძლებელია, დამატებით სახალისო თამაშების გამოყენება ამ ენობრივი კონსტრუქციის დასაუფლებლად. მაგალითად:

- მოსწავლეები სხდებიან წრეზე. ერთი მიესალმება დანარჩენებს, წარადგენს საკუთარ თავს (გამარჯობა, მე ვარ ...!) და გადადის სხვასთან (შენ ვინ ხარ?). ახლა ის მიესალმება სხვებს, წარადგენს თავს და ა.შ. ვიდრე ყველას არ მიეცემა მისალმებისა და წარდგენის საშუალება.
- მოსწავლეები ირჩევენ რამდენიმე კლასელს (მაგ., 1 გოგოს და 1 ბიჭს). პრეზენტატორი ფურცელზე დააწებებს საკუთარ სურათს (ან დახატავს) და ასევე ხატავს შერჩეულ კლასელებს. აფორმებს და წარადგენს კლასის წინაშე ზეპირად (მე ვარ ბიჭი, მე მქვია ...; ეს არის გოგო / ბიჭი, მას ჰქვია ...). საჭიროებისამებრ, დაეხმარეთ მოსწავლეებს სათანადო შეკითხვებით.

ზმნა: ჰქვია

1. მასწავლებელი თავიდან წარსდგება კლასის წინაშე და ამბობს: მე ვარ ..., მე მქვია ...; შემდეგ სვამს შეკითხვას – რა მქვია მე? მოსწავლეები პასუხობენ.

2. მასწავლებელი გადადის მოსწავლეებზე. უთითებს ერთ-ერთზე და ამბობს: ეს არის თამარი, მას ჰქვია თამარი. შემდეგ გადადის სხვაზე: ის არის არჩილი, მას ჰქვია არჩილი.
3. სვამს შეკითხვებს კლასში: ვინ არის ეს/ის? რა ჰქვია მას?

4. გაითამაშებს მინიდიალოგებს მოსწავლეებთან (აუცილებელია, რომ მოსწავლეებმა სრულად უპასუხონ მასწავლებელს – მე მქვია ... / მას ჰქვია ...):

   ა. – გამარჯობა, მე მქვია ... შენ რა გქვია?
   – .....
   – რა ჰქვია მას? (უთითებს მეწყვილეზე ან სხვა თანაჯგუფელზე)
   – .....

5. შემდეგ მოსწავლეები გაითამაშებენ მსგავს დიალოგებს ერთმანეთთან.

ლექსიკაზე მუშაობა:

იხელმძღვანელეთ ზემოთ მოცემული რეკომენდაციებით.

ასო-ბგერებზე მუშაობა:

<u>ვისწავლოთ ხმოვნები:</u>

რეკომენდაცია:

- ❖ წინასწარ დაწერეთ მათი სახელები დიდ ქაღალდზე, რომ შეეძლოთ მათზე მუდმივად დაკვირვება (მაგ., მარიამი, ნიკა, მარი, გიორგი, ლუკა, თომა);

- ❖ ასევე ჩაიწერეთ მათი ოჯახის წევრების სახელები, რომლებსაც გამოიყენებთ როგორც რესურსს ხმოვნებზე სამუშაოდ.

ხმოვნებზე მუშაობის ეტაპები:

<u>პირველი ეტაპი:</u>

1. მიუთითეთ ვიზუალურად და დაასახელეთ ჯერ ერთი ხმოვანი (ა), გაიმეორეთ ნელა და გარკვევით და სთხოვეთ მოსწავლეებს, მათაც გაიმეორონ. შემდეგ გადადით მეორეზე (ი).
2. გაამთლიანეთ ხმოვნები: აი ია (თან მიუთითეთ ვიზუალურად). გაამეორებინეთ მოსწავლეებსაც.
3. მსგავსად შემოდის დანარჩენი ხმოვნებიც: ე. აი ე. აი / ეი და ა.შ.

გასავარჯიშებლად:

ა. დაასახელეთ ხმოვანი და მოსწავლეებმა უნდა მიუთითონ, რომელია;
ბ. მიუთითეთ კონკრეტულ ასოს და მოსწავლეებმა უნდა გაახმოვანონ;
გ. მიუთითეთ კონკრეტულ ხმოვანზე და გაახმოვანეთ სხვა. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ თქვენს შეცდომას და გაასწორონ.

ამის შემდეგ დაუბრუნდით ცალკეულ ხმოვანს და იმუშავეთ მის გამოწერაზე (ბუნებრივია, ამ შემთხვევაში სწავლების ენა მთლიანად შეიძლება იყოს მათი სალაპარაკო ენა).

1. დააკვირვეთ ბადის სტრუქტურაზე – ოთხხაზოვანი პრინციპი; რაში მდგომარეობს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების ასეთი განლაგების არსი;
2. აჩვენეთ ბადეში ამ ასოების (ხმოვნების) განლაგება. რომელი ხმოვანი რამდენ ხაზზე იწერება და რომელია ეს ხაზები.
3. დასვით შეკითხვები უკეთ დასაკვირვებლად: რომელი ასოები იწერება ორ ხაზში? სამ ხაზში? რომელი ასოები ჰგავს ერთმანეთს? რით ჰგავს? რა აქვს საერთო? და ა.შ.
4. ყურადღება გაამახვილებინეთ ასოთა მოხაზულობაზე – საიდან ვიწყებთ და სად ვამთავრებთ ასოს წერას; რომელი ასო რამდენ უჯრაში იწერება.

<u>ამის შემდეგ შეასრულებინეთ მოცემული დავალებები:</u>

გადადით მათ საკუთარ სახელებზე, მოაძებნინეთ სახელებში ხმოვნები და დაასახელებინეთ.

რეკომენდაცია:

- ❖ კარგი იქნება, თუ მისცემთ ბადიან რვეულში წინასწარ ჩაწერილ მოსწავლეთა სახელებს ხმოვნების გარეშე და სთხოვთ მათ შევსებას. ნიმუშად დაფაზე ჩამოკიდეთ ეს სახელები, რომ შეძლონ მათზე დაკვირვება – რომელ ხაზში უნდა დაწერონ, საიდან დაიწყონ, რა მიმართულებით წავიდნენ და ა.შ.

<u>მეორე ეტაპი:</u>

ამის შემდეგ მოსწავლეებს დაურიგეთ ახალი ოთხხაზოვანი ბადიანი ფურცლები და ამუშავეთ ისინი ასოების გამოწერაზე მოცემული ინსტრუქციების შესაბამისად (იხ. მოსწავლისათვის განკუთვნილი სამუშაო მასალა):
კარგი იქნება, თუკი ცალკე გექნებათ მომზადებული ცარიელი ბადე ფორმატზე (ან წინასწარ დახაზავთ მას დაფაზე). სანიმუშოდ რამდენჯერმე გამოიყვანეთ ასო დაფაზე. მოსწავლეებს აქვთ საშუალება, იმუშაონ კალიგრაფიის რვეულში.

შენიშვნა:

- ❖ კალიგრაფიის რვეულში მუშაობას კლასში მხოლოდ გარკვეული დრო დაუთმეთ. თითო ასოსათვის გამოაწერინეთ მხოლოდ თითო ხაზი. კალიგრაფიის რვეულის ძირითადი სამუშაო დაავალეთ სახლში შესასრულებლად. მომდევნო გაკვეთილზე შეამოწმეთ რვეულები და, საჭიროებისამებრ, ინდივიდუალურად მიეცით მათ ესა თუ ის მითითება. კალიგრაფიის რვეული მოსწავლეების დამოუკიდებლად სამუშაო რვეულია.

ასოთა მოხაზულობაზე მუშაობას გარკვეული დრო დაუთმეთ ყოველ გაკვეთილზე იმისათვის, რომ აჩვენოთ, როგორ იწერება ესა თუ ის ასო. რაც შეეხება ამ კუთხით ვარჯიშს, კალიგრაფიის რვეულში მუშაობა, ძირითადად, სახლში უნდა მოხდეს.

<u>ვისწავლოთ თანხმოვნები:</u>

გაითვალისწინეთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც მოცემულია ხმოვნებზე სამუშაოდ. დამატებით ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებასაც, კერძოდ, ხმოვნებისაგან განსხვავებით, თანხმოვნების სწავლებისას შემოდის ორი მნიშვნელოვანი აქტივობა:

- ➢ კონკრეტულ თანხოვანზე მიბმულია მოსასმენი ენის გასატეხი, რომელიც თავდაპირველად უნდა წაიკითხოთ ნელა და შემდეგ სწრაფად.

გაითვალისწინეთ ყველა ის რეკომენდაცია, რომლებიც მოცემულია ხმოვნებზე სამუშაოდ. დამატებით ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებასაც, კერძოდ, ხმოვნებისაგან განსხვავებით, თანხმოვნების სწავლებისას შემოდის ორი მნიშვნელოვანი აქტივობა:

- ➢ კალიგრაფიის რვეულში მოცემულია ეს ენის გასატეხები. მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ მითითებული, ხშირად გამეორებული ასო ამ ენის გასატეხში და გააფერადონ.

რეკომენდაცია:

- ❖ ენის გასატეხის სიგრძე შეამოკლეთ მოსწავლის სმენითი მეხსიერებისა და იმპრესიული მეტყველების მოცულობის გათვალისწინებით, მაგ., თუ ოთხსიტყვიანი ენის გასატეხის გამეორება უჭირს, შეამოკლეთ ის.
- ❖ ერთბაშად ყველა ენის გასატეხს ნუ ასწავლით. შეგიძლიათ გაკვეთილის განმავლობაში დაუბრუნდეთ ხოლმე ენის გასატეხებს, დაუთმეთ 2-3 წუთი და შემდეგ ისევ გააგრძელეთ მუშაობა. ეს ერთგვარი შესვენებაც იქნება მოსწავლეებისათვის და სახალისო აქტივობაც, რომელიც განწყობას აუმაღლებთ.

მნიშვნელოვანია, ამ აქტივობების შესრულებისას, დაიცვათ მითითებული თანმიმდევრულობა:

1. ჯერ ხდება წიგნში მოცემულ ბადიან ნაწილში არსებულ ასოებზე დაკვირვება ხმოვნებთან აღწერილი წესით;
2. შემდეგ შესაბამისი ენის გასატეხების მოსმენა და გამეორება ზემოთ მოცემული მითითებების გათვალისწინებით;
3. სამუშაო რვეულში მოცემულ ენის გასატეხებში მითითებული ასოს მოძებნა და გაფერადება;
4. კალიგრაფიის რვეულში მუშაობა.

იმუშავეთ წიგნში მოცემული ინსტრუქციების შესაბამისად.

შენიშვნა:

- ❖ მსგავსი პრინციპით დამუშავდება დანარჩენი ასო-ბგერებიც.

რეკომენდაცია:

- ❖ გამოაწერინეთ ჯერ ცალკეული ასოები და შემდეგ გადადით ნასწავლი ასოებისაგან შემდგარ მარტივ სიტყვებზე.

სიტყვების აწყობა მოძრავი ანბანით:

მოძრავი ანბანის გაკეთება – სასურველია, მის შექმნაში თავად მოსწავლეებს (განსაკუთრებით 6-7 წლის ბავშვებს) მიაღებინოთ მონაწილეობა. ეტაპობრივად (როგორც ამას სახელმძღვანელო ითვალისწინებს) დაახატინეთ მათ ნასწავლი ასოები, გააფერადებინეთ და გამოაწერინეთ. მოამზადეთ რესურსი, რომელსაც მუდმივად გამოიყენებთ წერა-კითხვის დაუფლების პროცესში.
ასევე გააკეთებინეთ სასვენი ნიშნებიც (წერტილი, მძიმე, კითხვის ნიშანი), რომელთაც გამოიყენებთ საჭიროებისამებრ.
ასოების გამოყენებით ააწყობინეთ სიტყვები და მარტივი წინადადებები მოსწავლეებს. შეგიძლიათ ამ აქტივობას თამაშის / შეჯიბრის სახეც მისცეთ და გამოიყენოთ განტვირთვის დროს.

მოძრავი ანბანით აწყობილი სიტყვის / წინადადების შემოწმება – მას მერე, რაც ერთ-ერთი მოსწავლე ააწყობს მითითებულ სიტყვას ან წინადადებას, ყველას ერთად შეამოწმებინეთ შემდეგი პარამეტრებით:

ა) არის თუ არა დაცული შუალედი სიტყვებ შორის?
ბ) სიტყვაში ასოები სწორად არის თუ არა ჩასმული?
გ) ქვედა და ზედა ასოები სწორად არის თუ არა განაწილებული ხაზზე?
დ) დასმულია თუ არა სასვენი ნიშნები?

რეკომენდაცია!

- ❖ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც ძალიან უჭირთ კითხვა და ანბანის შემდგომ პერიოდშიც საჭიროებენ დამატებით მუშაობას, ეს რესურსი განსაკუთრებით გამოგადგებათ. როცა სხვები დამოუკიდებლად მუშაობენ და ასრულებენ ისეთ დავალებას, რომელიც რთულია კონკრეტული მოსწავლისთვის (ვინაიდან ჯერ კიდევ არ აქვს დაძლეული კითხვის პრობლემა), ამუშავეთ მოძრავი ანბანით.

მარტივი ფერები:

მუშავდება ფერები წიგნსა და რვეულში მოცემული დავალებების თანმიმდევრული შესრულებით. დამატებით სავარჯიშოდ შეგიძლიათ:

- ➢ ილუსტრაციების გამოყენებით ნაცნობი ლექსიკის გარშემო მარტივი ინტერაქციის მოწყობა, მაგალითად: რა არის ეს? – ეს არის ია; რა ფერია ია? – ლურჯი; მზე წითელია? – არა, მზე არის ყვითელი. კიდევ რა არის ყვითელი? რა არის აქ მწვანე, წითელი ...? და ა.შ.
- ➢ დაახატინეთ მოსწავლეებს კარნახით (შენ დახატე წითელი მზე, ლურჯი ბურთი და მწვანე ხე; შენ დახატე ია და ორი სოკო – ერთი შავი და ერთი თეთრი და ა.შ.).

ტექსტის გაშიფრვა (რვეული, გვ. 50, №1): დავალების შესრულებამდე დააზუსტეთ, ახსოვთ თუ არა მოსწავლეებს ტექსტში მოცემული ნახატების დასახელებები ქართულად. მიუთითეთ და შეეკითხეთ: რა არის ეს? ეს პეპელაა? ეს რა ფერია? და ა.შ. ამის შემდეგ დააწყვილეთ მოსწავლეები და ერთად გააშიფრინეთ ტექსტი. სამუშაოს დასრულების შემდეგ:

- ჯერ თქვენ წაიკითხეთ ტექსტი და სთხოვეთ მოსწავლეებს, შეამოწმონ;
- შემდეგ წააკითხეთ მოსწავლეებს ხმამაღლა ცალკეული წინადადებები (შესაბამისად, კიდევ ერთხელ ხდება გადამოწმება).
- დავალების სისწორე შეამოწმეთ ინდივიდუალური შეკითხვებითაც, მაგალითად: ნიკა, რა არის თეთრი და შავი? აქ რა ფერია ღრუბელი? ანა, რა არის ჭიანჭველა? კიდევ რა მწერია აქ, გიორგი? რა ფერია ზღვა? და ა.შ.
- ამის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, წერილობით უპასუხონ უკვე ტექსტის გარშემო დასმულ შეკითხვებს (იქვე, №2).

კონკრეტული გრამატიკული საკითხები:

განმარტება!

კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ თემების აღწერისას დეტალურად აღარ გავყვებით თითოეული აქტივობის აღწერას. აქტივობის ტიპიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, იხელმძღვანელეთ იმ რეკომენდაციებით, რომლებიც მოცემულია ტიპური დავალებების თავში (გვ. 31-43).

რაც შეეხება კონკრეტულ ენობრივ საკითხებს, სახელმძღვანელოში (როგორც წიგნში, ისე რვეულში) საკმარისად არის წარმოდგენილი აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ენობრივი ცოდნის ათვისებას. მთავარია, თანმიმდევრულად შეასრულებინოთ ისინი მოსწავლეებს.

აქ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ამა თუ იმ საკითხის არსებით მხარეებზე. საჭიროების შემთხვევაში, დამატებით მოგაწვდით საკითხზე მუშაობის თანმიმდევრულ დინამიკას თავისი რეკომენდაციებითა და განმარტებებით.

ვინ / რა

1. ყურადღება გაამახვილეთ კითხვებზე: ვინ? – თეა, თომა, უჩა... // რა? – ია, მაიმუნი, ხე...
2. მიუთითეთ გოგონაზე და იკითხეთ: ეს არის ვინ თუ რა?
3. დაასრულებინეთ თქვენ მიერ დაწყებული შეკითხვები მოსწავლეებს. მიუთითეთ ადამიანზე ან ნაცნობ საგანზე / ნივთზე და ა.შ. და დაიწყეთ შეკითხვის დასმა: ეს არის ...? მოსწავლეებმა უნდა დაასრულონ.
4. მიუთითეთ არეულად (ხან ადამიანი, ხან ნივთი).
5. გასავარჯიშებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ საკლასო სიტუაცია: მიუთითეთ კონკრეტულ მოსწავლეზე – ეს არის ვინ თუ რა? ანალოგიურად საგნის შემთხვევაშიც.

მოსწავლეებმა უნდა გაიგონ და დაიმახსოვრონ, რომ ქართულში ვინ არის მხოლოდ ადამიანი, დანარჩენი არის რა. გააკეთეთ პარალელი მათ სასაუბრო / სწავლების ენასთან (ბერძნულთან, ინგლისურთან, გერმანულთან და ა.შ.).

ეს / ის ნაცვალსახელები

ამ ოპოზიციის უკეთ გასაგებად საკმარისი იქნება საკლასო აქტივობების შესრულება სათანადო ჟესტიკულაციის გამოყენებით (საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენეთ მათი სწავლების ენა). გთავაზობთ რამოდენიმე მათგანს:

1. დადექით ერთ-ერთ მოსწავლესთან, მიუთითეთ მასზე და თქვით: ეს არის თომა. შემდეგ გაიშვირეთ თითი სხვისკენ და თავიდან თქვით: ის არის ანასტასია. გაიმეორეთ ჟესტიკულაციის გამოყენებითა და ნაცვალსახელებზე აქცენტის დასმით: ეს არის თომა / ის არის ანასტასია; მე ვარ ... / ეს თომაა / ის არის ანასტასია და ა.შ.

2. შემდეგ მიმართეთ სხვა მოსწავლეს კითხვით – შენ ვინ ხარ? მოსწავლის პასუხის შემდეგ გააგრძელეთ მასთან შეკითხვების დასმა: ეს თომაა? ვინ არის ის? ეს ანასტასიაა? (სპეციალურად დაუშვით შეცდომა) და ა.შ. მოსწავლე, შესაძლოა, მოკლე პასუხით (კი/არა ან არავერბალური პასუხით) შემოიფარგლოს. ასეთ შემთხვევაში, დაეხმარეთ მას იმისათვის, რომ სრული პასუხი მიიღოთ.
3. მოსწავლეებთან ერთად გაითამაშეთ მინიდიალოგები. გთავაზობთ მასწავლებლის რეპლიკებს:

   ა. – გამარჯობა, მე ვარ ... (ამბობს სახელს), ეს ლალია. შენ ვინ ხარ?
   – .....
   ბ. – გამარჯობა, არჩილ, მე ..... ვარ, ის ვინ არის?
   – .....
   გ. – გამარჯობა, შენ ..... ხარ?
   – .....
   – ეს არის ნინო?
   – .....
   – ის ვინ არის?
   – .....

4. ამის შემდეგ გაათამაშებინეთ მოსწავლეებს მსგავსი დიალოგები. დააკვირდით, მოუსმინეთ მათ და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ჩაერთეთ მათ დიალოგში.

კუთვნილებითობის გამოხატვა: ვისი? – ჩემი, გიორგის, თეას...

მოცემული მითითებების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატარა ასაკის იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც უჭირთ ახალი ენობრივი საკითხის გაგება-გააზრება.

1. აჩვენეთ თქვენი ნივთი მოსწავლეებს და სათანადო ჟესტიკულაციის გამოყენებით (ხელის მკერდზე მიდებით) თქვით: ეს არის ჩემი საათი, ეს არის ჩემი წიგნი ...
2. ამის შემდეგ აიღეთ ერთ-ერთი მოსწავლის ნივთი და თქვით: ეს სოფოს ფანქარია; ეს არის დათოს წიგნი და ა.შ.
3. პარალელურად დასვით შეკითხვებიც: ვისი წიგნია ეს? — ეს არის ჩემი/ დათოს/ ნანას წიგნი და ა.შ. ვისია ეს ჩანთა? – ეს ჩანთა ჩემია/გიორგისაა/ნანასია და ა.შ.
4. ანალოგიური შეკითხვები დაასმევინეთ მოსწავლეებსაც ერთმანეთისათვის და აპასუხებინეთ: ნინო, რა არის ეს? – ეს ჩემი ჩანთაა; გია, ვისია ეს კალამი? — ჩემი და ა.შ.
5. პროცესი მომაბეზრებელი და უინტერესო რომ არ გამოვიდეს, კარგი იქნება ფოტოების გამოყენებაც. მოსწავლეები ფოტოების მეშვეობით წარადგენენ საკუთარ მეგობრებს, და-ძმას: ეს ჩემი მეგობარია. მას ჰქვია ... / ეს ჩემი მეგობარია. ეს არის ჩემი და/ძმა. მას ჰქვია ..... / ეს ბიჭი არის არჩილი. არჩილი ჩემი მეგობარია. ეს გოგო არის არჩილის და. მას ..... ჰქვია და ა.შ.

<u>მარტივი სახალისო თამაშები:</u>

ა) **ვისია, ვისია?** – აიღეთ სხვადასხვა მოსწავლის ნივთი (მათ შორის, შეგიძლიათ, გამოიყენოთ საკუთარი ნივთიც) და ჩაყარეთ ყუთში. ამოიღეთ ჯერ ერთი, აჩვენეთ მოსწავლეებს და იკითხეთ – ვისია? ნივთის პატრონმა უნდა თქვას – ჩემი. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე იტყვის მე, უსწორებთ და ამეორებინებთ. შემდეგ რამდენჯერმე ამოიღეთ მისი ნივთი, რომ მოსწავლემ თავისით თქვას – ჩემი.

ბ) **გამოიცანით, ვისია?** – მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ ყუთიდან ამოღებული ყველა ნივთი და დაასახელონ ვისია. შეგიძლიათ უთხრათ, რომ მხოლოდ ნაცვალსახელები თქვან (ჩემია, შენია, მისია) და პარალელურად მიუთითონ ჟესტიკულაციით, ან გამოიყენონ სახელიც (ეკასია, გიროგისია..).

ზმნები: მაქვს და მყავს:

მაქვს:

1. კვლავ აჩვენეთ თქვენი ნივთი მოსწავლეებს და უთხარით: ეს ჩემი კალამია. მე მაქვს კალამი; მე მაქვს საათი, ეს ჩემი საათია და ა.შ.

2. პირთა მონაცვლეობისათვის ჩართეთ მოსწავლეებიც (მე მაქვს მოკლე თმა, მარიამს აქვს გრძელი თმა, ნინოსაც აქვს გრძელი თმა);

3. ამის შემდეგ დაუსვით მათ შეკითხვები: კიდევ ვის აქვს მოკლე თმა? გრძელი თმა? მოსწავლეთა პასიურობის შემთხვევაში, ინდივიდუალურად შეგიძლიათ მიმართოთ შეკითხვით. შეკითხვების პროცესში გაითვალისწინეთ თითოეული მოსწავლის ასაკობრივი და ფსიქოემოციური მხარე. შესაძლებელია, ზოგიერთს პირდაპირ დაეხმაროთ კიდეც პასუხის ფორმულირებაში და შემდეგ სთხოვოთ რამდენჯერმე გამეორება.

უნდა აკონტროლოთ, რომ მოსწავლეებმა სრული პასუხები გასცენ. დასაწყისისთვის, შესაძლოა, დასჭირდეთ მინიშნებები, ამიტომ მოკლე პასუხების შემთხვევაში, მიუთითეთ, რომ სრუალად გიპასუხონ. ამგვარი მითითებები, ცხადია, მათი სწავლების / სასაუბრო ენაზე ხორციელდება.

შენიშვნა: გააკეთებინეთ პარალელები ქართულსა და მათ სასაუბრო ენას შორის. შეადარებინეთ ეს ენობრივი მოვლენა, არის თუ არა მსგავსება? განსხვავება? გააკეთებინეთ „აღმოჩენები". ეს ერთი-ორად გაზრდის მათ მოტივაციას.
მომდევნო თემებშიც (მაგ., ოჯახის თემა, ცხოველები, ქალაქის თემა) საკმაოდ აქტიურად გამოიყენება მაქვს / მყავს ზმნები და, სასურველია, რომ შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით, ამ ენობრივ საკითხს ყოველ ჯერზე მიუბრუნდეთ. მართალია, თავად საკითხი გაგების თვალსაზრისით რთული არ არის, თუმცა საკმაო გავარჯიშებას ითხოვს მით უფრო იმათთან, რომელთა სასაუბრო ენაშიც ეს ენობრივი მოვლენა ქართულისაგან განსხვავებულია.

თანმიმდევრულად გთავაზობთ აქტივობათა ნიმუშს (განმარტება: ახალ სიტყვებთან ერთად გამოიყენეთ ის ლექსიკაც (სათანადო ენობრივ კონსტრუქციებთან ერთად), რომელიც წინა თემებშის ფარგლებში გაიარეთ):

1. ჯერ დააკვირვეთ შესაბამის ლექსიკაზე — რა შემთხვევაში ვამბობთ „მაქვს“ და რა შემთხვევაში — „მყავს“. გამოკვეთთ სულიერი და უსულო სახელები (გამონაკლისია ტრანსპორტი!). ახსნისას გამოიყენეთ მათი სასაუბრო ენა.

მაქვს
სახლი, ეზო, ჩანთა, სათამაშო მანქანა ...

მყავს
და, ძმა, მეგობარი, ველოსიპედი, მანქანა, ძაღლი, კატა ...

2. ამის შემდეგ იმუშავეთ ლექსიკის პოსტერზე და იქ მოცემულ სიტყვები გადაახარისხეთ მაქვს თუ მყავს ნიშნის მიხედვით:

მაქვს	**მყავს**

3. მოცემული სიტყვების გამოყენებით დასვით ფრონტალური შეკითხვები: ვის ჰყავს სახლში ძაღლი / კატა? ვის ჰყავს მანქანა / ველოსიპედი? ვის ჰყავს წითელი ფერის / დიდი ... მანქანა? და ა.შ.

4. სთხოვეთ მოსწავლეებს, მათაც დაუსვან მსგავსი შეკითხვები ერთმანეთს და უპასუხონ.

5. გაათამაშებინეთ დიალოგები (მოდელირებისათვის პირველი დიალოგი თქვენ თავად გაითამაშეთ ერთ-ერთ მოსწავლესთან ერთად). სანიმუშოდ გთავაზობთ შეკითხვებს დიალოგებისათვის:

— ერეკლე გყავს ძმა?
— რა ჰქვია შენს ძმას?
— კიდევ ვინ გყავს ოჯახში?
— შენს ძმას ჰყავს ველოსიპედი?
— კიდევ რა გყავთ ოჯახში?
— ძაღლი გყავთ?
— როგორია შენი ძმა?
— რა ფერის თმა აქვს? და ა.შ.

6. ნაცნობი სიტყვების გამოყენებით შესთავაზეთ თამაში — „გამოიცანი, რა სიტყვაა“. აირჩიეთ ერთ-ერთ სიტყვა და აღწერეთ მათთვის ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებით. გთავაზობთ ნიმუშებს საანბანო პერიოდის ენობრივი მონაცემების გათვალისწინებით:

- **თმა:** აქვს ბიჭსაც და გოგოსაც. არის სხვადასხვა ფერის. არის გრძელიც და მოკლეც (თუ გაუჭირდებათ გამოცნობა, მასწავლებელი მისცემს მინიშნებას: ეს გვაქვს თავზე და მიუთითებს);
- **ბანანი:** ყვითელი ფერის ხილია. უყვარს მაიმუნს. უყვარს დიდებსაც და პატარებსაც. მეც მიყვარს.
- **მაიმუნი:** გარეული ცხოველია. უყვარს ბანანი. ბინადრობს აფრიკაში. გვყავს ზოოპარკში. აქვს გრძელი კუდი.
- **მანქანა:** არის სხვადასხვა ფერის. ადამიანები ამით დადიან ქუჩაჩი. მეც მყავს ის. ჩემი წითელი ფერისაა.
- **ბებია:** ის ბევრს ჰყავს. მეც მყავს. ის ცხოვრობს ჩვენთან. მას ჰქვია გვანცა. აქვს თეთრი თმა. არის სათვალიანი. მოხუცი ქალია.
- და ა.შ.

თამაშში აქტიურად ჩართეთ მოსწავლეები – მათაც ჩაიფიქრონ და აღწერონ სიტყვები. საჭიროების შემთხვევაში, თქვენ თავად შესთავაზეთ ზოგიერთს მარტივი სიტყვა (უთხარით ყურში ისე რომ, სხვებმა არ გაიგონ) და პარალელურად, დაეხმარეთ კითხვების ფორმულირებაშიც.

ასაკობრივად განსხვავებული მოსწავლეების შემთხვევაში, მსგავსი გამოცანა-თამაშების დროს (და არა მხოლოდ) დააწყვილეთ მოსწავლეები (ან მცირე ჯგუფებად დაყავით ისინი) და თქვენ პატარების მეწყვილედ (ან ჯგუფის წევრად) მიიღეთ მონაწილეობა (განსაკუთრებით საწყის ეტაპზე). ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ასეთ შემთხვევაში, უფროსებიც აღარ დაკარგავენ პატარებთან თამაშის მოტივაციას.

გთავაზობთ თამაშის მარტივ ვარიანტსაც:

გამოაკარით დაფის ერთ მხარეს შემდეგი სურათები: ბალი, ბურთი, ბანანი, კაკალი... თავზე დააწერეთ – მაქვს; მეორე მხარეს: თევზი, მაიმუნი, ყვავი, დათვი... და დააწერეთ: მყავს (მასალა შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი სურვილისამებრ).

ჩაიფიქრეთ დაფაზე გამოკრულ **მაქვს** ან **მყავს** ჯგუფიდან რომელიმე სიტყვა და თქვით ჩაფიქრებული სიტყვის შესაბამისად: აბა, რა მაქვს? ან რა მყავს? ეს უკვე მინიშნებაა დაკვირვებული მოსწავლისათვის, რომელი ჯგუფის სიტყვებს შეეხება გამოცანა – უყვარს ბანანი / არის წითელი და მრგვალი. შემდეგ შეგიძლიათ დააზუსტოთ – ხილია და ა.შ.

გთავაზობთ ასახსენელ ვარიანტებს:

მაქვს	
ბალი	წითელია და მრგვალი, მე ძალიან მიყვარს. ხილია.
ბურთი	მრგვალია. აქ არის წითელი ფერის. არის სხვა ფერისაც. სათამაშოა.
ბანანი	ყვითელია, უყვარს მაიმუნს. ხილია.
კაკალი	მრგვალია, უყვარს თაგვსა და ციყვს.
მყავს	
თევზი	არის ზღვაში. წყლის ცხოველია.
მაიმუნი	არის გარეული ცხოველი, აქვს გრძელი კუდი და უყვარს ბანანი.
დათვი	დიდი გარეული ცხოველია. უყვარს თაფლი. ცხოვრობს ტყეში. მის შვილს ჰქვია ბელი.
ყვავი	არის შავი ფერის. გარეული ფრინველია და ყრანტალებს.

სივრცეში ორიენტაცია: სად? რაზე?
ზმნები: დგას, დევს, ზის, კიდია

1. საკლასო სიტუაციის გამოყენებით მიუთითეთ, რა დგას საკლასო ოთახში და რა კიდია კედელზე: ოთახში დგას მაგიდა... კედელზე კიდია სურათი, საათი ... რა დევს მერხზე, მაგიდაზე...
2. დასვით შეკითხვები და ჯერ თავადვე უპასუხეთ, შემდეგ კი ჩართეთ მოსწავლეებიც: სად დგას მაგიდა? – ოთახში; სად კიდია საათი? – კედელზე; სად დევს ჩანთა? – მაგიდაზე, ვის მაგიდაზე დევს ჩანთა? – ჩემს მაგიდაზე, გიორგის მაგიდაზე... და ა.შ.
3. გააკეთეთ დაფაზე (ან ფლირჩატზე / პოსტერზე) სქემა და სქემაზე მითითებით თავიდან დასვით და უპასუხეთ შეკითხვებზე:



მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს დავაფიქსირებინოთ, შეკითხვაზე – სად? როგორია სიტყვათა დაბოლოებები: ...-ში / ...-ზე.

<u>დამატებითი დავალება.</u>

- დაახატინეთ ოთახის ინტერიერები და გამოიყენეთ როგორც რესურსი. შეადარებინებთ ერთმანეთის ნახატები – ვის ნახატზე სად რა დგას, რა დევს და რა კიდია კედელზე.
- შეგიძლიათ დაახატინოთ კარნახითაც: ერთ შემთხვევაში, კარნახობთ თქვენ, მეორე შემთხვევაში – ერთმანეთს. მეორე ვარიანტის შემთხვევაში, შესაძლებელია, მოსწავლეები დააწყვილოთ განსხვავებული ასაკის მიხედვითაც (უფროსების კარნახით ხატავენ პატარები).

- მოაძებნინეთ მოსწავლეებს, რა არის ოთახში, რა დევს მაგიდაზე, ვისი ნივთია? და ა.შ. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მოსწავლეებს ყურადღება მიაქცევინეთ იმაზე, რომ თქვან სრული პასუხები სწორად.

აღწერა-დახასიათება: როგორია? – დიდი / პატარა; გრძელი/მოკლე; მაღალი/დაბალი; მსუქანი/გამხდარი

ზედსართავებზე სამუშაოდ შესაძლებელია ნებისმიერი სიტუაციის მუდმივად გამოყენება:

- ჰკითხეთ, ვინ არის კლასში /სახლში მაღალი? დაბალი? გამხდარი? დიდი? პატარა?
- სთხოვეთ, დაასახელონ და აღწერონ ერთმანეთი: ეს არის ირაკლი. ირაკლი არის მაღალი და გამხდარი.
- დაასახელონ და აღწერონ საკუთარი თავები / მეგობრები / ოჯახის წევრები: მე ვარ სალომე. მე ვარ მაღალი და გამხდარი.
- მიუთითეთ კლასში რომელიმე ნივთზე, საგანზე და ა.შ. და დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები (ამ შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, ნაცნობია თუ არა ესა თუ ის ლექსიკური ერთეული მათთვის. მთავარია, ვიზუალურად დაანახოთ ის და თან დაასახელოთ, რა არის. მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ მისი გამეორება, მთავარია, თქვან, როგორია.
- აჩვენეთ და აღწერეთ შეცდომით, მოსწავლეებმა კი უნდა გაასწორონ და ა.შ.

<u>სახალისო თამაშები:</u>

1. გამოცანები – ჩაიფიქრეთ ერთ-ერთი მოსწავლე და დაახასიათეთ. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, ვინ ჩაიფიქრეთ და დაასახელონ იგი. მიუთითეთ ისიც, თუ რა აცვია და რა უკეთია. ამ ეტაპზე თმისა და თვალების ფერის მითითება აუცილებელი არ არის (მოსწავლეებს ამას ვერ მოვთხოვთ, ვინაიდან რთული ფერებს შემდეგ (პირველ თავში) სწავლობენ, თუმცა თქვენ შეგიძლიათ თქვათ. მეორე მხრივ, ეს უკეთესიცაა, ვინაიდან ეს ლექსიკა გაუჯდებათ მოსწავლეებს ყურში და შემდეგ ადვილად დაიმახსოვრებენ.
   ეს აქტივობაც მუდმივად შეგიძლიათ გამოიყენოთ განტვირთვისათვის და უფრო და უფრო მეტი ინფორმაცია შეიტანოთ მათი დახასიათებისას. პირველ თავში უკვე შეგიძლიათ დაამატოთ მოსწავლის თმისა და თვალების ფერი; აგრეთვე, რა ფერისაა მისი ტანსაცმელი და ა. შ.
   ამგვარი გამოცანები ძალზე ახალისებთ მოსწავლეებს და ხელს უწყობს ენობრივი მასალის დამახსოვრებას, ამიტომ რაც მეტ გამოცანას შესთავაზებთ მოსწავლეებს, მით უკეთესი.
2. გამოცნობა კითხვა-პასუხით – დაწერეთ მოსწავლეთა სახელები ფურცლებზე. წილის ყრის შემდეგ, ერთ-ერთი მოსწავლე იღებს ფურცელს. დაუსვით მას შეკითხვები. მოსწავლის პასუხებით დანარჩენები უნდა მიხვდნენ, ვისი სახელი წერია ფურცელზე. სავარაუდო კითხვები: – გოგოა თუ ბიჭია? გრძელი თმა აქვს თუ მოკლე? რა ფერის შარვალი/კაბა აცვია? და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაშიც გაითვალისწინეთ ის რეკომენდაციები, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ.

2. მეორე ნაწილი – (ანბანის შემდგომი პერიოდი)

პირველი თემა – ჩემი საოჯახო ალბომი

გრამატიკული საკითხები:

- ✓ რთული რიცხვები: 11-20
- ✓ პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები:
- ✓ სახელის მრავლობითობა: ბებია / ბებიები / რამდენიმე ბებია...
- ✓ სახელთა წარმოება:-იანი (აქვს შავი თმა / არის შავთმიანი...)
- ✓ რიგობითი რიცხვითი სახელი:
- ✓ ზმნები: მიყვარს, მომწონს

საკითხავი დავალებების შესრულება:

ზოგადი განმარტება!

საკითხავი დავალებების შესრულებისას დაიცავით შემდეგი პრინციპი:

- ➢ საჭიროებისამებრ, ერთი-ორი ნიმუში გააკეთეთ მოსწავლეებთან ერთად;
- ➢ დასმული საკითხავი ამოცანის გადასაჭრელად მოსწავლებს ჩუმად წააკითხეთ დავალების წინადადებები და ამუშავეთ დამოუკიდებლად;
- ➢ შეამოწმეთ პასუხები;
- ➢ ამის შემდეგ მოსწავლეები ავარჯიშეთ ხმამაღალ კითხვაში;

რეკომენდაცია!

- ❖ საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარეთ მოსწავლეებს ინდივიდუალურად კონკრეტული მინიშნებებით ან წინასწარ მიეცით კონკრეტული საყრდენები. მაგალითად, დავალება №2 (რვეული, გვ. 64): დავალების შესრულებამდე, გააკეთებინეთ დათოს ოჯახის გენეალოგიური ხე და მასზე დაკვირვებით შეასრულებინეთ მოცემული დავალებები (იქვე,№2, 3).
- ❖ იმ მოსწავლეებს, რომელთაც ჯერ კიდევ აქვთ პრობლემები კითხვაში, ან უჭირთ ამგვარი დავალებების შესრულება, ვიდრე სხვები მუშაობენ, მათთან დამატებით

იმუშავეთ კითხვის უნარების განვითარებაზე. შეასრულებინეთ მარტივი საკითხავი დავალებები იმავე ტექსტის გამოყენებით. გთავაზობთ კონკრეტულ ნიმუშებს:

1. გააკეთებინეთ მხოლოდ ოჯახის სქემა და შეავსებინეთ. სქემაზე დაიტანეთ მხოლოდ ცალმხრივი ინფორმაცია, მოსწავლემ კი უნდა შეავსოს, მაგ.: სქემაზე აღნიშნულია მხოლოდ დედა, მამა, ძმა, და... მოსწავლემ უნდა მოძებნოს ტექსტში მათი სახელები და დაასახელოს / ჩაწეროს. ან პირიქით, სქემაზე მოცემულია სახელები და უნდა მიაწეროს, ვინ არიან – დედა, მამა, და, ძმა ...

2. მსგავსი მარტივი ოპერაცია შეიძლება გაკეთდეს ცხრილშიც. მიეცით ცხრილი და სთხოვეთ მისი შევსება ტექსტში მოძიებული ინფორმაციით, მაგ.: მონიშნონ შესაბამისი უჯრა – ვინ ვინ არის:

	დედა	მამა	და	ძმა	ბებია	ბაბუა
ნელი						
შოთა						
თამარი						
კოტე						
მალხაზი						
მაკა						

3. მიეცით პასუხების სავარაუდო ვარიანტები და სთხოვეთ, შემოხაზონ, რომელია სწორი. გთავაზობთ ორიოდე ნიმუშს.

თამარისა და კოტეს შვილია: ა) დათო ბ) შოთა გ) ნელი	მეშვიდე კლასში სწავლობს: ა) დათო ბ) სანდრო გ) მალხაზი

მსგავსი სტრატეგიები გამოიყენეთ სხვა ტექსტებთან და საკითხავ დავალებებთან მიმართებაშიც!

რთული რიცხვები: 11-20

ბუნებრივია, მოსწავლეებს გაუჭირდებათ ამ რიცხვების ერთბაშად დამახსოვრება და ეს არც უნდა მოვითხოვოთ. სასურველია, გამოვიყენოთ ყველა სიტუაცია და ყოველ ჯერზე, როცა კი ამის საჭიროება იქნება, დავსვათ სათანადო შეკითხვები, მაგალითად: რამდენი ბავშვია დღეს კლასში? რამდენი არ არის? რა რიცხვია დღეს? რამდენი ნივთია ორ ჩანთაში ერთად? რამდენი ფანქარი დევს მაგიდაზე? სულ რამდენი ახალი სიტყვა ისწავლეს? რამდენი ასოა ამ სიტყვაში? რამდენი სიტყვაა ამ წინადადებაში? და ა.შ..

კონკრეტული გრამატიკული საკითხები:

მოცემული ქვეთემა ენობრივი თვალსაზრისით, რამდენიმე გრამატიკული საკითხის ათვისებას გულისხმობს. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი თუ სხვისი ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაციის გადაცემა და მიღება, მნიშვნელოვანია მოცემული გრამატიკული ცოდნის გაგება/გააზრება და მისი ჯეროვანი გამოყენება.

გთავაზობთ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რა უნდა გავითვალისწინოთ ამ ენობრივი საკითხების სწავლებისას და როგორ წარვმართოთ სასწავლო პროცესი ისე, რომ მოსწავლეებს გავუმარტივოთ მათი ათვისება.

პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები:

მიუხედავად იმისა, რომ ენის სწავლების პირველივე დღიდან ნაცვალსახელებს საკმარისი ყურადღება ეთმობა, მაინც დიდია მათ გაგებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით შეცდომების დაშვების ალბათობა. ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ ყოველ ჯერზე სათანადო დრო დაუთმოთ მათზე მუშაობას.

სასურველია, პოსტერზე გადაიტანოთ ქვემოთ მოცემული ნაცვალსახელები და გააკრათ კედელზე, რათა მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ, საჭიროებისამებრ, მუდმივად მიადევნონ თვალი და გამოიყენონ.

	I პ.	II პ.	III პ.		I პ.	II პ.	III პ.
ვინ?	მე	შენ	ის		ჩვენ	თქვენ	ისინი
ვის?	მე	შენ	მას		ჩვენ	თქვენ	მათ
ვისი?	ჩემ**ი**	შენ**ი**	მისი		ჩვენ**ი**	თქვენ**ი**	მათი

სახელის მრავლობითობა: ბებია / ბებიები / რამდენიმე ბებია...

საკითხის დამუშავებისას გაითვალისწინეთ ზემოთ მოცემული რეკომენდაციები (გვ. 42).

დამატებით, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბუნებრივია, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი თეორიული მსჯელობა, უბრალოდ უნდა ვაჩვენოთ, რა ხდება და ნელ- ნელა მივიყვანოთ გარკვეული კანონზომიერებების აღმოჩენამდე.
უნდა გვახსოვდეს, რომ შეცდომების დაშვების ალბათობა (მით უფრო საწყის ეტაპზე) დიდი იქნება (მოსალოდნელია მათგან დაების, ძმაებისა და ა.შ. ფორმათა ხმარება), ამიტომ საჭიროა, მოთმინებით აღიჭურვოთ და ნელ-ნელა, მიზანმიმართულად იმუშავოთ ამ პრობლემის დასაძლევად.

რა თქმა უნდა, აუცილებლად, ყოველ ჯერზე, უნდა გასწორდეს არასწორი ფორმები. უნდა მოვიფიქროთ მეტი სიტუაციური და კომუნიკაციური აქტივობები, სადაც აუცილებელი იქნება მრავლობითის გამოყენება; უნდა შევთავაზოთ წიგნსა და რვეულში მოცემული დავალებების მსგავსი დამატებითი სავარჯიშოები და ა.შ.

სახელთა წარმოება: – იანი (აქვს შავი თმა / არის შავთმიანი...)

პირველ რიგში, დააკვირვეთ მოსწავლეები წარმოების ამ წესზე. დაწერეთ წინადადებები დაფაზე და შეადარებინეთ მოსწავლეებს ისინი – როგორ შეგვიძლია გამოვხატოთ ერთი და იგივე შინაარსი სხვადასხვაგვარად:

არის როგორი?		აქვს რა?
არის შავთმიანი	–	აქვს შავი თმა;
არის სათვალიანი	–	აქვს სათვალე...

სახელმძღვანელოში (წიგნშიც და რვეულშიც) საკმაო დავალებებია მოცემული ამ საკითხის ასათვისებლად. თუმცა, იმისათვის, რომ მოსაწყენი და მომაბეზრებელი არ გახდეს წიგნსა და რვეულში მოცემული დავალებების შესრულება, მნიშვნელოვანია, უფრო მეტი ინტენსივობით მივმართოთ მათ პირად გამოცდილებას და თამაშის სახე მივცეთ წმინდა ენობრივი საკითხების გავარჯიშების პროცესს.

ასეთია ყველასთვის ცნობილი მარტივი თამაში – გამოიცანი, ვინ არის. თამაში დაიწყეთ თქვენ. ჩაიფიქრეთ ერთ-ერთი მოსწავლე, აღწერეთ და მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, ვინ არის. მაგალითად: არის მაღალი და შავთმიანი, აქვს გრძელი თმა და ლურჯი თვალები.

საჭიროებისამებრ, დაამატეთ ბიჭია თუ გოგო. დასვით მსგავსი ტიპის შეკითხვები:

1. ვინ არის კლასში სათვალიანი? ქუდიანი? საათიანი? ტელეფონიანი? დიდჩანთიანი? ...
2. ვინ არის შავთმიანი? გრძელთმიანი? ლურჯთვალა?
3. ვის აქვს სათვალე? გრძელი თმა? დიდი ჩანთა? და ა.შ.

ჰკითხეთ მათ უახლოეს გარემოცვაზე (ოჯახის წევრებზე, მეგობრებზე, კლასელებზე):

1. ვის ჰყავს ულვაშიანი / წვერიანი ბაბუა, მამა, ბიძა?
2. ვის ჰყავს სათვალიანი ბებია ...?
3. ვისი ბებიაა თეთრთმიანი? და ა.შ.

მოსწავლეებიც ჩართეთ არა მხოლოდ გამოცნობის, არამედ აღწერის პროცესშიც.

რიგობითი რიცხვითი სახელი:

წიგნსა და რვეულში მოცემული დავალებების შესრულების შემდეგ დამატებით აქტივობად მოსწავლეებს გარკვეული პერიოდულობით გაათვლევინეთ რიგზე:

- ჯერ ერთი რიგი გაითვლის, შემდეგ – მეორე
- გოგონები ცალკე გაითვლიან, ბიჭები – ცალკე...

უფროსი ასაკის მოსწავლეებთან, სასურველია, ყურადღება გამახვილდეს წარმოების წესზეც:

ორი → მე-ორ-ე...

გამონაკლისი: ერთი → **პირველი**

ზმნები: მიყვარს, მომწონს

შენიშვნა:
სწავლების ამ ეტაპზე შეგნებულად არ შევიტანეთ წიგნებში ეს ტერმინები – ვინიანი / მანიანი მიუხედავად იმისა, რომ ზმნური ლექსიკონი სწორედ ამ პრინციპითაა დალაგებული (იხ. ზმნური ლექსიკონის დალაგების პრინციპი, გვ. 11). თუმცა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ მასწავლებელმა ზმნებზე მუშაობისას პოსტერებზე სწორედ ამ პრინციპის დაცვით გააგრძელოს ყოველი ახალი ზმნის შეტანა. კვლავ წარმოვადგენთ ნიმუშებს:

ვინიანი

მე	ის
ვარ ვდგები ვცხოვრობ ვსწავლობ...	არის დგება ცხოვრობს სწავლობს ...

მანიანი

მე	მას
მქვია მაქვს მყავს მიყვარს...	ჰქვია აქვს ჰყავსა უყვარს ...

ამგვარი თვალსაჩინოება დაეხმარება მოსწავლეს ნასწავლი ზმნების სწორად გამოყენებაში და სწორი სინტაქსური კონსტრუქციების აგებაში.
ყოველი ახალი ზმნის შეტანის დროს, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრავს, რომელ ფორმატზე შეიტანოს (ანუ, ვინიანია ის ზმნა თუ მანიანი).
მარკერებად შეგვიძლია გამოვიყენოთ პირველი სუბიექტური (ანუ მოქმედი) პირის ფორმებში არსებული პირის ნიშნები: **ვ** / **მ** (ვარ / მაქვს).

რაც შეეხება სწორი სინტაქსური კონსტრუქციების აგებას, ასეთ შემთხვევაში მარკერის როლს ასრულებს მესამე პირი:



ეს სქემა, სასურველია, მოსწავლეებთან ერთად გაკეთდეს და გარკვეული დროის განმავლობაში დაიკიდოს თვალსაჩინო ადგილას.

არასწორი კონსტრუქციების აგებისას (მაგ., ბიჭი აქვს ბურთი / თემური უყვარს ქართული და ა.შ.) მასწავლებელი უთითებს ზმნურ პოსტერზე და ახდენს მასზე დაკვირვებას: ვინ არის, ცხოვრობს, სწავლობს? – ის (ბიჭი, გოგო...), ვის აქვს, ჰყავს, უყვარს? – მას (ბიჭს, გოგოს...).

ინტერაქცია ოჯახის შესახებ

შეგიძლიათ, დამატებით იმუშაოთ მოსწავლეებთან საოჯახო ფოტოსურათის (ან სხვა სურათების), ან საოჯახო სქემის დახმარებით. გთავაზობთ ნიმუშებს:

მოიტანეთ საკუთარი საოჯახო ფოტო (შესაძლებელია სხვისიც. ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარია, რომ ფოტოზე გამოსახულნი იყვნენ ოჯახის სამი თაობის წევრები) და გააცანით მასზე გამოსახული ადამიანები მოსწავლეებს, შესაბამისად მიუთითეთ თითოეულ მათგანზე:

ეს ჩემი ოჯახია. ეს ჩემი ძმაა. მას ჰქვია ------. ჩემი ძმა 10 წლისაა. ეს ჩემი დაა. მას ------- ჰქვია. -------- არის 14 წლის. ეს დედაა. დედას ჰქვია --------. ეს მამაა. მამას -------- ჰქვია. ეს ჩემი ბებიაა. მას ------- ჰქვია. ეს ბაბუაჩემია. ბაბაუას ჰქვია --------- და ა.შ.

სასურველია, საოჯახო სქემა (იგივე გენეალოგიური ხე) წინასწარ მოამზადოთ დიდ ფორმატზე (რომ ყველას თავისუფლად შეეძლოს დანახვა), რომელზედაც მიაკრავთ სურათებს (ამისათვის შესაძლებელია, გამოიყენოთ ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი სურათები. მთავარია, რომ იყოს სამი თაობა). სურათებს ქვეშ მიამაგრეთ სტიკერები, რომლებზედაც ეწერება, ვინ არიან – დედა, მამა, და, ძმა, ბებია, ბაბუა (და-ძმის რაოდენობა განსაზღვრეთ თავად). სახელებიც დააწერეთ სტიკერებზე და ისე მიამაგრეთ. ეს საშუალებას მოგცემთ, სხვადასხვა ტიპის აქტივობებშიც გამოიყენოთ, კერძოდ:



- ჯერ გააცნობთ სრულად ოჯახის წევრებს — ვინ არიან და რა ჰქვიათ (შესაბამისად, ყველა სტიკერია მიმაგრებული სქემაზე): ეს არის ძმა. მას ჰქვია კახა. კახას დას ჰქვია ლალი. აი, ეს არის ლალი. ეს არის კახას და ლალის დედა. დედას ჰქვია ანა. ეს კახას და ლალის მამაა. მამას არჩილი ჰქვია და ა.შ.

- ამის შემდეგ წარიმართება ინტერაქცია მოსწავლეებთან: რა ჰქვია კახას მამას? ვინ არის ანა? ვისი ძმაა კახა? რა ჰქვია ლალის ძმას? ვინ არის ანას დედა/მამა? რა ჰქვია არჩილის მამას/ დედას? და ა.შ.

- შემდეგ მოსწავლეები დასვამენ მსგავს შეკითხვებს ერთმანეთთან და უპასუხებენ.

- ამის შემდეგ მოხსენით სქემიდან ის სტიკერები, რომლებსაც აწერიათ დედა, მამა და ა.შ. და დატოვეთ მხოლოდ სახელები. დასვით მორიგი შეკითხვები: ვინ არის ანა, არჩილი, კახა, შოთა, დალი? და ა.შ. რა ჰქვია კახას დედის დედას/მამას? ლალის მამის დედას...?

- ბოლოს სრულად მოხსენით სტიკერები და სთხოვეთ მოსწავლეებს მიაკრან იმის მიხედვით, ვის როგორ ახსოვს.

დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად და მიეცით დავალება:

- ეს შეიძლება იყოს მსგავსი საოჯახო სქემის მომზადება და წარდგენა სხვებისთვის. ჯერ თავად საუბრობენ მათ შესახებ (ვინ არის, რა ჰქვია და ა.შ.), შემდეგ პასუხობენ სხვების შეკითხვებზე.

- ასევე შესაძლებელია რეალურად საკუთარი ოჯახის წევრების გაცნობაც.

საინტერესოა შედარების გაკეთება სწავლების ენასთანაც. ამგვარი გავარჯიშების შემდეგ მოსწავლეები საკმარისად იქნებიან მზად იმისათვის, რომ მარტივად და სწრაფად დაძლიონ ამ ქვეთემის ფარგლებში წიგნსა და რვეულში მოცემული დავალებები.

რეკომენდაცია:
ნებისმიერი ახალი რესურსის (ფოტოილუსტრაციის) მიზნობრივ გამოყენებამდე, დაამუშავეთ ის ჯერ წინარე ენობრივი ცოდნის გააქტიურების მიზნით: დაასახელონ ფერები, მათთვის ნაცნობი საგნები და ა.შ. დაითვალონ კონკრეტული მითითებით (მაგ., რამდენია ბავშვი, კაცი, ხე, ჩიტი...).

გრამატიკული საკითხები:

- ✓ რთული რიცხვები: 20-100
- ✓ წარმომავლობა / სადაურობა: – ელი / -დან
- ✓ ადგილის მითითება: სად?...-ში ცხოვრობს სად? არის საიდან?
- ✓ ზმნები: ვცხოვრობ
- ✓ კითხვითი სიტყვები: ვინ? ვის? ვისი? ვისთან? სად? საიდან?

<u>მხატვრული ტექსტი</u>

„თეთრი ბელი და ფერადი ყინულოვანი ოკეანე“ (ირმა მალაციძის მიხედვით)

<u>პროექტი</u>
გავამთლიანოთ საქართველო! საქართველო 100 წლის წინ და დღეს!

რთული რიცხვები: 20-100

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსწავლეებს გაუჭირდებათ ამ რიცხვების ერთბაშად დამახსოვრება და ეს არც უნდა მოვითხოვოთ. სასურველია, ამ შემთხვევაშიც გამოვიყენოთ ყველა სიტუაცია და ყოველ ჯერზე, როცა კი ამის აუცილებლობა დადგება, დავსვათ სათანადო შეკითხვები, მაგალითად: რამდენი ბავშვია დღეს კლასში? რამდენი არ არის? რა რიცხვია დღეს?

წამყვანი გრამატიკული საკითხი:

წარმომავლობა / სადაურობა: – ელი / -დან

წიგნსა და რვეულში მოცემული სავარჯიშოების გარდა, მნიშვნელოვანია, წარმართოთ მოსწავლეებთან ინტერაქცია:

- შენ სად ცხოვრობ, მარიამ?
- მამის ნათესავები სად ცხოვრობენ?
- შენც თბილისელი ხარ?
- სად ცხოვრობს ბებიაშენი?
- სადაურია შენი საუკეთესო მეგობარი?
- სად ცხოვრობს ის? და ა.შ.

შესაძლებელია, მოსწავლეთა პასუხები იყოს მოკლე (კი/არა), ან გამოხატული იყოს არავერბალურად. ასეთ შემთხვევაში, მოსწავლეებს უნდა მივუთითოთ, რომ აუცილებელია სრული პასუხების გაცემა.

ნასწავლის გახსენება / ცოდნის განმტკიცება

შესთავაზეთ მოსწავლეებს სქემა, რომელზე დაყრდნობითაც უნდა ისაუბრონ საკუთარი და მათი ახლო გარემოცვის (ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები, თანაკლასელები) შესახებ.

ამგვარი აქტივობის ფარგლებში მოსწავლეებს მოუწევთ ნასწავლი ლექსიკისა და ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება. შესაბამისად, როგორც მათ, ისე თქვენც საშუალება გეძლევათ, შეამოწმოთ გავლილი ენობრივი საკითხების ცოდნის დონე და გამოკვეთოთ ის ხარვეზები, რომლებიც აქვთ თქვენს მოსწავლეებს.

საჭიროებისამებრ, ახალ მასალასთან ერთად, გარკვეული დრო დაუთმეთ ამ ხარვეზების გამოსწორებასაც – მათ გავარჯიშებასა და განმტკიცებაზე მუშაობას. თუ საჭიროა, დაუბრუნდით წიგნსა და რვეულში მოცემულ შესაბამის სავარჯიშოებსაც, გააქტიურეთ ის საკომუნიკაციო სიტუაციები, რომლებშიც მოსწავლეებს მოუწევთ შესაბამისი ლექსიკისა თუ ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება.

გთავაზობთ სქემის ნიმუშს, რომელიც შეგიძლიათ, სურვილისამებრ, გამოიყენოთ ნათესავებთან, მეგობრებსა და კლასელებთან მიმართებაშიც.



მოცემული სქემის გამოყენებით შესაძლებელია „მრგვალი მაგიდის“ მოწყობა და ინტერაქცია (შესაძლებელია, მოსწავლეთა პრეზენტაციებს, მათი სურვილისამებრ, ახლდეს შესაბამისი ფოტომასალაც.

მხატვრულ ტექსტზე მუშაობა:

„თეთრი ბელი და ფერადი ყინულოვანი ოკეანე“ (ირმა მალაციძის მიხედვით)

რეკომენდაციები 6-7 წლის ბავშვებთან სამუშაოდ:

ტექსტის ილუსტრაციებზე მუშაობა წარმართეთ მარტივი შეკითხვების დახმარებით, მაგალითად: აბა, რომელ სურათზე არის თოლია? რომელ სურათზე არიან მშობლები? რას უყურებს ამ სურათზე ბელი? რა ფერის არიან დათვები? რომელია დედა დათვი? მამა დათვი? და ა.შ.
ნუ შეზღუდავთ, მიეცით საშუალება, რომ საჭიროებისამებრ, გამოიყენოს თავისი საკომუნიკაციო ენა.
ილუსტრაციების თანმიმდევრულად დალაგების პროცესში, შესაძლებელია, ჯგუფურად ან წყვილში ამუშაოთ მოსწავლეები.

რაც შეეხება სახელმძღვანელოში (წიგნსა და რვეულში) მოცემულ საკითხავ დავალებებს, თუკი რთული აღმოჩნდება მათთვის მათი შესრულება (მით უფრო, თუ ჯერ კიდევ არ აქვთ დაძლეული კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები), ნუ დაატანთ ძალას. მათთვის საკმარისი იქნება მხოლოდ ნახატების შექმნა რვეულში მოცემული მითითებებით (რვეული, გვ. 75, №5):

- დახატონ პატარა თეთრი ბელის სიზმარი (დაავალეთ, თვითონ წაიკითხონ ეს მონაკვეთი წიგნში და დახატონ);

- დახატონ, როგორ გააფერადა პატარა ბელმა კუნძული – რა დახატა? (ამ პატარა მონაკვეთის წაკითხვაც არ უნდა იყოს მათთვის რთული. აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ დაეხმაროთ).

- შესაძლებელია, ეს დავალება სხვაგვარადაც შეასრულებინოთ. ტექსტის ამ მონაკვეთის წაკითხვამდე, ჯერ თვითონ დახატოს თავისი საკუთარი ვერსიით და შემდეგ წააკითხეთ ბოლო მონაკვეთი და შეადარებინეთ – რა დახატა მან და რა – ბელმა ტექსტის მიხედვით.

შესაძლებელია, მარტივი საკითხავი დავალებების მოფიქრება და შეთავაზებაც, გთავაზობთ ორიოდე ნიმუშს:

- სთხოვეთ, მოძებნოს პირველი მონაკვეთში ფერები და ამოწეროს.
- ამოწეროს, რა ფერის იყო კუნძულზე – თოვლი, ცა და მზე.
- შეავსოს ცხრილი ბელის შესახებ პირველი მონაკვეთის მიხედვით:

სად ცხოვრობს ბელი?	
ვისთან ერთად ცხოვრობს?	
როგორია გარეგნულად?	
რამდენი ფერი იცის?	

საქართველო 100 წლის წინ და დღეს!

ჯერ ცალ-ცალკე დაამუშავეთ ეს გვერდები და შემდეგ შეადარეთ ერთმანეთს.

- გააცანით ცხრილში მოცემული ინფორმაციები – რის შესახებ არის ეს ინფორმაციები? რა ერქვა საქართველოს დედაქალაქს 100 წლის წინ? რა ჰქვია დღეს? რომელი ქალაქები იყო საქართველოში ყველაზე დიდი 100 წლის წინ? რომელი ქალაქებია დღეს?
- მოაძებნინეთ ეს ქალაქები შესაბამის რუკებზე.
- ვის ტერიტორიაზეა დღეს ართვინი, სოჭი?
- რომელი ქვეყნები ესაზღვრება საქართველოს?
- რა ერქვა ფულის ერთეულს 100 წლის წინ? რა ჰქვია დღეს?
- რა ფერები იყო საქართველოს დროშაზე ადრე და რა ფერებია დღეს?
- წააკითხეთ ჰიმნები (მოცემულია შიდა ყდებზე წიგნის თავსა და ბოლოში); დაკვირვეთ სათაურებზე.

გარკვეულ შემთხვევებში მსჯელობა წარმართეთ მათ საკომუნიკაციო ენაზე.

ამის შემდეგ აჩვენეთ ცოცხალი კადრები საქართველოზე (ნიმუშისათვის გთავაზობთ რამდენიმეს. შეგიძლიათ, თქვენ თავად მოძებნოთ და შეარჩიოთ თქვენი სურვილისამებრ): საქართველოს ბუნება:

https://www.youtube.com/watch?v=LtfEtfXEUl0
https://www.youtube.com/watch?v=bdmLmWY2cK4

მოასმენინეთ ანა კალანდაძის ლექსზე შექმნილი სიმღერა – საქართველოო, ლამაზო! – ცისფერი ტრიოს შესრულებით: https://www.youtube.com/watch?v=_i0b_fmQQJY

უფროსი ასაკის მოსწავლეებს, შეგიძლიათ ასწავლოთ კიდეც ეს ლექსი (იხ. დამატებითი რესურსი, გვ. 123).

პროექტი

გაამთლიანე საქართველო!

დაყავით 2 გუნდად. დაურიგეთ ფურცლები ცალკეული რეგიონებით (იხ. დასარიგებელი მასალა დამატებით რესურსებში, გვ. 125-135). მოსწავლეებმა უნდა გამოჭრან და ააწყონ ეს რეგიონები დიდ ფორმატზე რუკის დახმარებით. ბოლოს გააფერადონ და წარუდგინონ ერთმანეთს.

შეგიძლიათ, ამ აქტივობას შეჯიბრის სახე მისცეთ – დაინიშნეთ დრო (3 წუთი). გაიმარ-ჯვებს ის გუნდი, რომელიც სწრაფად და უშეცდომოდ შეასრულებს დავალებას.



შესაძლებელია, მოსწავლეებმა საკუთარი ფოტოებიც ჩააკრან იმ რეგიონებში, საიდა-ნაც არიან ისინი წარმოშობით.

მოცემული რუკის გამოყენებით შესაძლებელია ინტერაქციის გამართვა: ვინ რომელი კუთხიდან არის? იქ ვინ ცხოვრობს? რა ჰქვიათ, რამდენი წლისანი არიან და ა.შ.

ვინ ცხოვრობს ამ სახლში?

ძირითადი ენობრივი მიზნები

- სივრცეში ორიენტირებისათვის შესაბამისი ენობრივი ფორმების ფუნქციური გამოყენება (სათანადო ზმნები; თანდებულები: -ში / -ზე); ადგილმდებარეობის გაგება და მითითება;
- პერსონაჟის შედარებითი დახასიათება; საგნის აღწერა/დახასიათება სხვადასხვა ნიშნით - გარეგნობა, ფერი, ფორმა, ზომა;
- მარტივი ენით საუბარი საკუთარი სახლის / ოთახის შესახებ (საკუთარი საცხოვრებელი ადგილის, სახლის, ოთახების მარტივი ფრაზებით აღწერა; ოთახის/ავეჯის/ნივთის დანიშნულების, კუთვნილების, მასალის მითითება);
- მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება.

გრამატიკული საკითხები:

- ✓ ჩვენებითი ნაცვალსახელი: ეს სახლი – ამ სახლის...
- ✓ კითხვითი სიტყვები: რის? როგორი? – ხის მაგიდა / დიდი მაგიდა
- ✓ ზედსართავი სახელები (გარეგნობა / თვისება);
- ✓ მსაზღვრელ-საზღვრული: ხის სახლი, რკინის კარადა... (რის?)
- ✓ ზმნები: დგას, წევს, ზის, მიდის, მირბის
- ✓ ადგილის ზმნიზედები: ქვემოთ/ზემოთ; წინ/უკან; მარჯვნივ/მარცხნივ; გვერდით, შუაში

მხატვრული ტექსტი

ზღაპარი – გოგონა და სამი დათვი

პროექტი

ჩემი ოცნების სახლი!

ილუსტრაციების გამოყენება ცოდნის შესამოწმებლად:

ილუსტრაციები ყოველთვის იძლევა შესაძლებლობას, რომ მას სხვა მიზნობრივი დატვირთვაც მივცეთ, მათ შორის, გამოვიყენოთ მოსწავლეთა ცოდნის შესამოწმებლადაც. მაგალითად, ამ სურათების დახმარებით (მოსწავლის სახელმძღვანელო გვ. 62-63) შეგიძლიათ შეამოწმოთ, რა აითვისეს და რა – ვერა მოსწავლეებმა არა მხოლოდ მოცემული თემისა თუ კონკრეტული ენობრივი საკითხის ფარგლებში, არამედ წინა თემებშიც.

ყველა განვლილი ენობრივი საკითხი (როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული) შეგიძლიათ გააქტიუროთ სათანადო კითხვებით:

- სად დგას /წევს /ზის ბიჭი, გოგო, ძაღლი, კატა, მაიმუნი, ჩიტი?
- რას აკეთებენ პირველ სურათზე ბიჭი, გოგო, ძაღლი, კატა? მეორე სურათზე – წითელქუდა, მგელი, ჟირაფი, მაიმუნი...?
- როგორები არიან გარეგნობით?
- რა ფერის სამოსი აცვიათ? ვის რა ფერის თმა აქვს?
- რომელ სურათზეა შავთმიანი ბიჭი? წითელქუდიანი გოგო? და ა.შ.
- რას აკეთებს შავთმიანი ბიჭი? ქერათმიანი ბიჭი? ვარდისფერკაბიანი გოგო? და ა.შ.
- რომელია შინაური და რომელი გარეული ცხოველი?

სთხოვეთ დაარქვან სახელები ბავშვებს, განსაზღვრონ სადაურები არიან და სად ცხოვრობენ, ვინ ჰყავთ და ოჯახში და რამდენი წლისანი არიან ისინი. რა აქვთ და რა ჰყავთ? რა უყვართ და რა არ უყვართ და ა.შ.
შეავსონ მათი ანკეტები და მათზე დაყრდნობით ისაუბრონ მათ შესახებ. გამართონ დიალოგები და ა.შ.

საჭიროებისამებრ, მსგავსი სტრატეგიები გამოიყენეთ სხვა ილუსტრაციებთან მიმართებაშიც!

კონკრეტული გრამატიკული საკითხები:

ეს სახლი – ამ სახლის // ის სახლი – იმ სახლის

ის / იმ; ეს / ამ ნაცვალსახელებ შორის არსებული განსხვავება სათანადო კითხვებითა და მარტივი სიტუაციების გათამაშებით უნდა დავანახოთ მოსწავლეებს. თუმცა, ვფიქრობთ, რომ ამ განსხვავების გაგება მოსწავლეებს ისედაც აღარ უნდა გაუჭირდეთ, ვინაიდან მათთვის ის / ეს ოპოზიციური წყვილი უკვე ნაცნობია. გარდა ამისა, მასწავლებელს საკლასო სიტუაციაში თითქმის ყოველ გაკვეთილზე უწევს მათი დასახელება. შესაბამისად, მოსწავლეებს უკვე ყურში აქვთ გამჯდარი ეს ფორმები.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა მარტივად დააკავშირონ **ამ** და **იმ** ფორმები **ეს** და **ის** ნაცვალსახელურ ფორმებთან და შემდეგ თავად გამოიყენონ ისინი სწორად სათანადო სიტუაციებში.

სწორად იდენტიფიცირებისათვის საჭიროა მათი კონტექსტური გამოყენება. გთავაზობთ მარტივ რეკომენდაციებს იმ მოსწავლეებთან სამუშაოდ, რომლებსაც შესაბამისი ასაკობრივი თუ ფსიქო-ემოციური ფაქტორების გათვალისწინებით კვლავ უჭირთ მათი იდენტიფიცირება.

1. მიდით ახლოს ერთ-ერთ მოსწავლესთან და ისე იკითხეთ მის შესახებ სათანადო ჟესტიკულაციის გამოყენებით — ვინ არის ეს გოგონა? რა ჰქვია ამ გოგონას? ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ სათანადო მახვილები დასვათ ამ ნაცვალსახელებზე (**ეს** გოგონა. **ამ** გოგონას). გაიმეორეთ იგივე სხვებთან მიმართებაშიც;

2. ამის შემდეგ იმუშავეთ ის – იმ ფორმების იდენტიფიცირებაზე მსგავსი სტრატეგიის გამოყენებით. შორიდან მიუთითეთ ერთ-ერთ მოსწავლეზე და დასვით მსგავსი შეკითხვები. გაიმეორეთ რამდენჯერმე სხვადასხვა კონტექსტში. გამოიყენეთ საგნებიც (რა არის ეს? რა ჰქვია ამ ნივთს? რა არის ეს? რა ჰქვია ამ ცხოველს? და ა.შ.).

3. ცვალეთ ფორმები: ამ გოგონას ჰქვია ... / იმ გოგონას კი ჰქვია ...; ამ ცხოველს ჰქვია ... / იმ ცხოველს ჰქვია ... და ა.შ.

4. დაიწყეთ ინტერაქცია მოსწავლეებთან. აჩვენეთ პეპის სურათი და ჰკითხეთ, რა ჰქვია ამ გოგონას? მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა სრულად გიპასუხონ — ამ გოგონას ჰქვია პეპი. ამიტომ, მოკლე პასუხების შემთხვევაში, მიუთითეთ მათ, რომ საჭიროა სრულად პასუხი. საჭიროებისამებრ, თავად უპასუხეთ და სთხოვეთ, გაიმეორონ.

5. ამ ნაცვალსახელების გამოყენებით იმუშავეთ სხვა სურათებზეც, მაგალითად: რამდენი სართული აქვს იმ სახლს? ვინ დგას ამ აივანზე? ვინ ცხოვრობს იმ სახლში? რა ჰქვია ამ გოგოს? და ა.შ.

სიტყვათწარმოება: ...- იანი

ეს გრამატიკული მექანიზმი აქტიურდება ამ თემაშიც. წიგნსა და რვეულში მოცემული დავალებების გარდა, შეგიძლიათ ეს ცოდნა გააააქტიუროთ დამატებითი რესურსების გამოყენებითაც, კერძოდ:

- სხვადასხვა სახლის ფოტოილუსტრაციის შედარებით – ამ სახლს აქვს ოთხი სართული, ამ სახლს აქვს ორი სართული. ეს სახლი არის ოთხსართულიანი, ეს სახლი — ორსართულიანი.
- მოცემულ ფოტოებსა თუ სურათებზე დაყრდნობით, დასვით შეკითხვები, რომელია ოთხსართულიანი / ორსართულიანი ... სახლი? რამდენი სართული აქვს ამ სახლს? რამდენსართულიანია ეს სახლი? და ა.შ.
- გადადით მოსწავლეთა პირად გამოცდილებაზე და დაუსვით შეკითხვები: ვინ რამდენსართულიან სახლში ცხოვრობს? ვის სახლს აქვს აივანი? ვისი სახლია აივნიანი? ვის აქვს ეზოიანი სახლი? ვინ ცხოვრობს ორსართულიან სახლში? და ა.შ.
- გაათამაშებინეთ მინიდიალოგები (მოდელირებისათვის, ჯერ თქვენ თავად გაითამაშეთ ერთ მოსწავლესთან ერთად).

წარმოვადგენთ ორიოდე ნიმუშს სხვადასხვა კონსტრუქციის გამოყენებით:

– რამდენსართულიანი სახლი გაქვს? – ერთსართულიანი, შენ რამდენ სართულიანი სახლი გაქვს? – მე ორსართულიანი სახლი მაქვს.	– რამდენსართულიანია შენი სახლი? – ერთსართულიანი, შენი სახლი რამდენსართულიანია? – ჩემი სახლი ორსართულიანია. ჩემს სახლს ორი სართული აქვს.

კითხვით სიტყვებზე მუშაობა: ვისი? რის(ი)? – პეპის სახლი, ხის სახლი, სკოლის ჩანთა...

ენობრივი მიზანია ნათესაობითი ბრუნვის გაგება-გააზრება კონკრეტული ფუნქციებით, კერძოდ:

- კუთვნილებითობის გამოხატვა (ვისი? / რისი?)
- მასალაზე მითითება (რისია? / რა მასალისაგანაა?)
- დანიშნულების ჩვენება (რისთვისაა?)

კომუნიკაციური მიზანი: მოსწავლემ შეძლოს ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სახელის შესაბამისი ფუნქციით გამოყენება.

განმარტება:
ამ ეტაპზე სრულიად საკმარისია, რომ მოსწავლეებმა მსგავსი სიტყვათშეხამებები გაიგონ და ნაცნობ კონტექსტში გამოიყენონ. მით უფრო, არ არის საჭირო მისი გრამატიკული დამუშავება. რაც შეეხება ამ ფორმების დამახსოვრებას, ეს თანდათან უნდა მოხდეს. ამისთვის კი საჭიროა კონტექსტში მათი ხშირი გამოყენება. ამის საშუალებას იძლევა ყოველდღიური საკლასო სიტუაციებიც.

მიუთითეთ კონკრეტულ მათთვის ნაცნობ ნივთებზე და ჰკითხეთ მოსწავლეებს: ვისია? რისია? რისთვისაა? მაგალითად:

- ეს ვისი ჩანთაა? – ჩემი, ლეილასი, ომარის...
- რისი წიგნია? – ქართულის, მათემატიკის...
- ვისი სათვალე დევს აქ?
- რისი სათვალეა? – მზის
- რისი კარადაა? – წიგნების, საკლასო ნივთების...

მსგავსი შეკითხვები დაასმევინეთ მოსწავლეებსაც. მთავარია, მოსწავლემ სწორად დასვას შეკითხვა (ვისია? რისია? რისთვისაა?) და სწორადვე უპასუხოს.

ითამაშეთ მხიარული გამოცანა-თამაშები: **ვისია, ვისია? აბა, გამოიცანი!**

ზმნები: დგას, წევს, ზის, მიდის, მირბის

ამ ზმნებზე მუშაობისას, სასურველია, ჯერ მხოლობითის ფორმებზე მოხდეს დაკვირვება. მოსწავლეებს ყურადღება მიაქცევინეთ წარმოების საერთო წესზე — ვდგა**ვარ** / ვზი**ვარ**. იქვე ისიც გაახსენეთ, რომ ვარ ცალკე ზმნაა.

ცალკე ყურადღება უნდა დაეთმოს ჯდომა ზმნის მრავლობითის ფორმებს — **ვსხედვართ, სხედხართ, სხედან.** აქაც მიეთითება საერთო ნაწილი. მათთვის გასაგებ ენაზე აუხსენით მოსწავლეებს, რომ ეს ზმნა თავისებურია და თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მხოლობითისა და მრავლობითის ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდება. წაიკითხეთ ეს ფორმები და დააკვირვეთ მოსწავლეები მათზე.

მე	ვზივარ	ჩვენ	ვსხედვართ
შენ	ზიხარ	თქვენ	სხედხართ
ის	ზის	ისინი	სხედან

კარგი იქნება, თუკი პარალელს გაავლებთ მათი სწავლების ენასთან — არის თუ არა იმ ენაში თავისებური ზმნები? თავად როგორია ეს ზმნა – არის თუ არა თავისებური? რაში მდგომარეობს ეს თავისებურება? და ა.შ. ზოგადად, მსგავსი ენობრივი შედარებები ძალიან ეხმარება მოსწავლეებს მათთვის უცნობ ენობრივ სისტემაში გასარკვევად.

განმარტება:
მსგავსი ანალიზი, ცხადია, სასურველია 10-11 წლის ზემო ასაკის მოსწავლეებთან. პატარებთან კი საკმარისია ისიც, რაც მოცემულია სახელმძღვანელოში.

მსგავსად იმუშავეთ ზმნებზე: კიდია, დევს, გდია/ყრია: მიაწოდეთ მოსწავლეებს არსებითი ინფორმაცია: <u>კიდია</u> – იხმარება მხოლოდ მხოლობითი რიცხვის მესამე პირში: სურათი კიდია კედელზე / სურათები <u>კიდია</u> კედელზე. დევს ზმნაც მხოლოდ მესამე პირში იხმარება. გარდა ამისა, მრავლობითში იცვლის ფუძეს: წიგნი <u>დევს</u> მაგიდაზე / წიგნები <u>აწყვია</u> მაგიდაზე. გდია – ყრია (მრავლობითში ეს ზმნაც იცვლის ფუძეს): ფოთოლი <u>გდია</u> ძირს / ფოთლები <u>ყრია</u> ძირს.

საჭიროებისამებრ, დამატებით ამუშავეთ მოსწავლეები ამ ზმნების **(ზის / დგას / კიდია / დევს)** გამოყენებაზე. მიეცით ნაკლული წინადადებები და შეავსონ კონტექსტის მიხედვით სათანადო ზმნის ფორმით.

ადგილის ზმნიზედები: ქვემოთ/ზემოთ; წინ/უკან; მარჯვნივ/მარცხნივ; გვერდით, შუაში

სამი მოსწავლე საკმარისია ამ ზმნიზედების მნიშვნელობათა გასარკვევად:

1. გამოიყვანეთ სამი მოსწავლე და ერთმანეთის უკან სიმაღლის მიხედვით დააყენეთ ისე, რომ კარგად ჩანდეს სამივე. ჯერ თქვენ მიუთითეთ – ვინ სად დგას, მაგ., არჩილი დგას ქეთოს წინ, ქეთო დგას დგას არჩილის უკან და ა.შ.
2. შემდეგ დასვით შეკითხები და დაეხმარეთ მოსწავლეებს პასუხების სწორად გაცემაში. შეკითხვის დასმისას მიუთითეთ სათანადო ჟესტიკულაციითაც: სად დგას არჩილი? — არჩილი დგას ქეთოს წინ. სად დგას ქეთო? — არჩილის უკან. ვინ დგას ქეთოს უკან? და ა.შ.
3. ამის შემდეგ შეცვალეთ პოზიციები – ახლა ერთმანეთის გვერდით დააყენეთ მოსწავლეები – და იმავე პრინციპით ახსენით, რას ნიშნავს: გვერდით და შუაში: ვინ დგას ქეთოს გვერდით? ვის გვერდით დგას არჩილი? ვინ დგას ქეთოსა და არჩილის შუაში? და ა.შ.

დამატებითი მარტივი და სახალისო აქტივობები:

- დასვით მსგავსი შეკითხვები კლასში: ვინ ზის თორნიკეს წინ? უკან? გვერდით? რა დგას მაგიდის წინ? უკან? გვერდით? და ა.შ.
- დაასახელეთ, ვინ სად ზის/დგას და მოსწავლეები უნდა მიხვდნენ, სწორია თუ არა.
- დაასახელეთ შეცდომით და მოსწავლეებმა უნდა გაასწორონ.
- გამოიყვანეთ მოსწავლეები შუა რიგებში და შეასრულებინეთ ინსტრუქციები: – ერთი ნაბიჯი წინ! ერთი ნაბიჯი მარცხნივ! სამი ნაბიჯი მარჯვნივ! ორი ნაბიჯი უკან და ერთი ნაბიჯი მარცხნივ! და ა.შ. შემდეგ მოუმატეთ ტემპს.

<u>თამაში გამოცანა:</u>

მოსწავლეები განალაგეთ ოთახში სხვადასხვა ადგილას. შემდეგ აღწერეთ ერთ-ერთი და თქვით, სად არის, მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, მაგ., არის მაღალი, დგას კარების მარჯვნივ; არის დაბალი, დგას კარადის წინ; არის გამხდარი და შავთმიანი და დგას ფანჯრის გვერდით.
გაართულეთ საგნების/ნივთების შემოტანით: არის პატარა და მრგვალი, დევს მერხზე. ეს მერხი დგას ჩემი მაგიდის წინ და ა.შ.

შემდეგ ერთი მოსწავლე ასახელებს და სხვებმა უნდა გამოიცნონ და ა.შ.

ზღაპარი – გოგონა და სამი დათვი

ენობრივად ეს ზღაპარი არ არის რთული და იქ მოცემული ძირითადი ლექსიკაც, ფაქტობრივად, მათთვის გასაგებია. შესაბამისად, ამუშავეთ მოსწავლეები წიგნსა და რვეულში მითითებული დავალებებით.

განმარტება!
ამ თემის ბოლო დავალება (გვ. 68, №2: ვასილ გულეურის ლექსის დახატვა), ძირითადად, განკუთვნილია 6-8 ასაკის მოსწავლეებისათვის. უფროსებს ეს დავალება შეასრულებინეთ მათი სურვილისამებრ.

რაც შეეხება ავტორის შესახებ მოცემულ ინფორმაციას. დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები და გააააქტიურეთ მათი ენობრივი ცოდნა: სადაურია ვასილ გულეური? სად დაიბადა? რომელ ქალაქში დაიბადა? სად ცხოვრობს ახლა? ვინ არის და რას საქმიანობს?

ნასწავლის გახსენება / ცოდნის განმტკიცება!

შესთავაზეთ მოსწავლეებს სქემა, რომელზე დაყრდნობითაც უნდა ისაუბრონ საკუთარი ან მათი ახლო გარემოცვის (ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები, თანაკლასელები) სახლის შესახებ.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ამგვარი აქტივობის ფარგლებში მოსწავლეებს მოუწევთ ნასწავლი ლექსიკისა და ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება. შესაბამისად, როგორც მათ, ისე თქვენც საშუალება გეძლევათ, შეამოწმოთ გავლილი ენობრივი საკითხების ცოდნის დონე და გამოკვეთოთ ის ხარვეზები, რომლებიც აქვთ თქვენს მოსწავლეებს.

საჭიროებისამებრ, ახალ მასალასთან ერთად, გარკვეული დრო დაუთმეთ ამ ხარვეზების გამოსწორებასაც – მათ გავარჯიშებასა და განმტკიცებაზე მუშაობასაც. თუ საჭიროა, დაუბრუნდით წიგნსა და რვეულში მოცემულ შესაბამის სავარჯიშოებსაც, გააააქტიურეთ ის საკომუნიკაციო სიტუაციები, რომლებშიც მოსწავლეებს მოუწევთ შესაბამისი ლექსიკისა თუ ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება.

გთავაზობთ სქემის ნიმუშს, რომელიც შეგიძლიათ, სურვილისამებრ, გამოიყენოთ წიგნში მოცემულ სახლებზე საუბრის დროსაც.



მოცემული სქემების გამოყენებით შესაძლებელია კლასში ინტერაქციის მოწყობაც.

მხატვრული ტექსტი – ნაწყვეტები არჩილ სულაკაურის მოთხრობიდან – „სალამურას თავგადასავალი“

ქალაქის ამბები

რა ხდება ჩვენს ქალაქში? ჩვენს ქუჩაზე?

მოძრაობა ქალაქში

ქალაქის ტრანსპორტი

სუპერმარკეტში

ძირითადი ენობრივი მიზნები

- სოციალური ურთიერთობების ენობრივი ფორმულების ფუნქციური გამოყენება (მისალმება, მოკითხვა, დამშვიდობება);
- თავაზიანი და ფამილარული ფორმების გაგება-გამოყენება;
- სივრცეში ორიენტაციის გამომხატველი თანდებულებისა და ზმნიზედების (-ში / -ზე; აქ / იქ; მარჯვნივ / მარცხნივ; წინ / უკან; ქვევით / ზევით; ...-ის წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ) გაგება და მათი ფუნქციური გამოყენება;
- გარემოს აღწერა (რა არის? როგორია? სად მდებარეობს?); შედარებითი დახასიათება;
- შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა;
- ყოფითი დიალოგების გაგება, შედგენა და გათამაშება;
- საინფორმაციო და მხატვრული ტექსტების გაგება-გააზრება.

<u>გრამატიკული საკითხები:</u>

- ✓ ინსტრუმენტალისის გამოხატვა – რით?
- ✓ სივრცეში ორიენტირება: სად არის? სად მდებარეობს? – ...-ში, ...-ზე, ...-თან; ...-ის წინ, უკან, გვერდით, მეორე მხარეს, იქვე...
- ✓ ზედსართავი სახელები;
- ✓ სიტყვათწარმოება: ჭუჭყიანი, მტვრიანი, უცნაურქუჩებიანი...
- ✓ აღწერა-დახასიათება: როგორია? – სწრაფი... როგორ მოძრაობს? – სწრაფად...
- ✓ ზმნები: დავდივარ / მივდივარ;
- ✓ დადის, დარბის, დახტის, დაფრინავს, დაცურავს, დაცოცავს;
- ✓ იყიდება / ვყიდულობ – ყიდის
- ✓ ენობრივი ფორმულები: რა ღირს? თუ შეიძლება, მომეცით; ინებეთ...

ილუსტრაციებზე მუშაობა (გვ. 70):

დავალების შესრულებამდე, პირველ რიგში, დააკვირვეთ მოსწავლეები ილუსტრაციებზე. სურათების აღწერის დროს შეამოწმეთ, რამდენად ახსოვთ ნასწავლი სახელური და ზმნური ლექსიკა მოსწავლეებს. დააკონკრეტეთ დეტალები შეკითხვებით: ვის რა აცვია? რა ახურავს? რა ფერის? რომელი ტრანსპორტია ნაცნობი? ვინ სხედან ავტობუსში? რომელ სურათზეა პოლიციელი? ბაბუა? პატარა შავთმიანი ბიჭი? ვინ ზის სკამზე პირველ სურათზე? მოძებნეთ, რომელ სურათზეა ცხოველი და დაასახელეთ, რა ცხოველია? და ა.შ.

საჭიროებისამებრ, მოინიშნეთ სიტყვები, რომლებიც აღარ ახსოვთ მოსწავლეებს და იმუშავეთ მათზე. ლექსიკაზე მუშაობისასა გაითვალისწინეთ ზემოთ მითითებული რეკომენდაციები.

ამის შემდეგ გადადით დავალების შესრულებაზე.

ეს რეკომენდაციები გაითვალისწინეთ შემდგომი მუშაობის დროსაც!

ნაკლული ტექსტის შევსება (გვ. 71)

დავალების შესრულებამდე, წააკითხეთ ჩასასმელი სიტყვები და დარწმუნდით, რომ ყველას ესმის მათი მნიშვნელობა. პირველი წინადადება შეასრულეთ მოსწავლეებთან ერთად. გააკეთეთ ჩასასმელ სიტყვაზე აქცენტი შესაბამისი შეკითხვით და დაელოდეთ მათ პასუხს: ანო და ვანო პატარა და ვიწრო ---------- ცხოვრობენ. რა შეიძლება იყოს პატარა და ვიწრო ამ სიტყვებში? სად შეიძლება ცხოვრობდნენ? და ა.შ.

ამის შემდეგ ამუშავეთ დამოუკიდებლად. აკონტროლეთ სიტუაცია და, საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარეთ მოსწავლეებს მსგავსი აქცენტების დასმით.

მნიშვნელოვანია, რომ მზამზარეულად არ მივცეთ მათ სწორი პასუხები.

კონკრეტული გრამატიკული საკითხები:

აღწერა-დახასიათება: როგორია? – სწრაფი, ნელი...
როგორ მოძრაობს? – სწრაფად, ნელა...

დაწერეთ წინადადებები დაფაზე და დააკვირვეთ განსხვავებაზე კითხვების დახმარებით:

თვითმფრინავი სწრაფი ტრანსპორტია.	როგორი ტრანსპორტია?
თვითმფრინავი სწრაფად დაფრინავს.	როგორ დაფრინავს?

შესთავაზეთ სხვა მაგალითებიც: კახა ძალიან ნელია, ის ნელა აკეთებს... გამოიყენეთ სიტუაციები და გაიმეორეთ მოსწავლეებთან მიმართებაშიც, მაგალითად: ნანა, შენ როგორი სწრაფი გოგო ხარ, ძალიან სწრაფად კითხულობ. დათო, რატომ წერ ნელა? ზაზა, მოკლე პასუხი არ მინდა, მოკლედ ნუ მიპასუხებ და ა.შ.

ზედსართავებზე მუშაობა:

მოცემულ თემაში არაერთგზის ვეხებით ზედსართავებს. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქვემოთ მოცემული შენიშვნის გათვალისწინება, კერძოდ:

შენიშვნა: ნუ მოსთხოვთ მოსწავლეებს მათ მყისიერ დაზეპირებასა და აქტიურ გამოყენებას. მათი დაუფლებისათვის აუცილებელია სათანადო საკომუნიკაციო სიტუაციების შექმნა, რომლებშიც მოსწავლეებს ბუნებრივად მოუწევთ მათი გამოყენება, მით უფრო, რომ მოცემული ლექსიკა საკმაოდ აქტიური ხმარებისაა და თითქმის ყოველდღიურად გამოიყენება ყოფით სიტუაციებში აღწერა-დახასიათების დროს (მაგ., ძველი / ახალი ჩანთა.., ლამაზი / უშნო, ფართო / ვიწრო ქუჩა, ჭუჭყიანი / სუფთა ხელები, გემრიელი საჭმელი, საინტერესო ფილმი, თანამედროვე სახლი, ისტორიული ქალაქი და ა.შ.);

ამ ზედსართავების გამოყენებით ხშირად წარმართეთ ინტერაქცია სხვადასხვა კუთხით, დაეხმარეთ შეკითხვებითა და მინიშნებებით, მაგალითად:

გიორგი, როგორი ქალაქია ამსტერდამი? ლამაზი თუ უშნო? მაჩვენე, როგორი ხელები გაქვს – ჭუჭყიანი თუ სუფთა? მე პატარა და ვიწრო ქუჩაზე ვცხოვრობ, როგორ ქუჩაზე ცხოვრობ, ერეკლე? ფართო და ლამაზია შენი ქუჩა? საინტერესო იყო ის ფილმი? გიყვარს ჩურჩხელა? ხომ გემრიელია? და ა.შ.

სთხოვეთ, რომ მოკლე პასუხების ნაცვლად სრული წინადადებები თქვან, მაგალითად: ამსტერდამი ძალიან ლამაზი ქალაქია. არ იყო ის ფილმი საინტერესო. კი, ძალიან მიყვარს ჩურჩხელა, ის ძალიან გემრიელია და ა.შ.

ზმნები: **დავდივარ / მივდივარ**

ენობრივი სიახლე, რაც აქ მუშავდება, არის **მივდივარ** (წასვლა) და **დავდივარ** (სიარული) ზმნებ შორის შინაარსობრივი და ფორმობლივი სხვაობის ჩვენება.

<u>6-9 ასაკის მოსწავლეებისათვის</u> შინაარსობრივი სხვაობის ჩვენება სრულიად საკმარისია. რაც შეეხება უფრო მაღალი ასაკის მოსწავლეებს, შინაარსობრივი განსხვავებების გაგების შემდეგ (რისთვისაც საკმარისია წიგნში მოცემული წინადადებები) ზმნურ ფორმებზე დაკვირვებით – მივდივარ/დავდივარ – აჩვენეთ მათ შორის არსებული ფორმობლივი განსხვავებაც (მი/და).

მხატვრულ ტექსტზე მუშაობა: ნაწყვეტები არჩილ სულაკაურის მოთხრობიდან – „სალამურას თავგადასავალი“

პირველ რიგში, იმუშავეთ ილუსტრაციებზე ზემოთ მოცემული მითითებების გათვალისწინებით. ნუ შეეცდებით, რომ პირველივე წაკითხვისას ყველა სიტყვა განუმარტოთ ან გადაუთარგმნოთ მოსწავლეებს. უცნობი სიტყვების შემთხვევაში, გამოიყენეთ ის რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია მეთოდურ განმარტებაში ლექსიკის სწავლებისას.

შენიშვნა:
რაც შეეხება მოსწავლეებისათვის უცნობ ლექსიკასა და გრამატიკულ ფორმებს, რომლებიც შეხვდებათ მათ ტექსტში (ავდივარ, ჩავდივარ...; მაცხოვრებლები) – კონტექსტის მიხედვით მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ მათი გაგება მით უფრო, რომ ეს ზმნა მათთვის უცხო არ არის. შესაბამისად, ეს არ შეუშლის ხელს მათ დავალების შესრულებაში. აუცილებლობის შემთხვევაში, არ გამოირიცხება თარგმნაც.

რაც შეეხება დიალოგების გაგებას (მოსწავლის სახელმძღვანელო გვ. 78), აქაც გარდა იმისა, რომ ეს დიალოგებიც არ შეიცავს ჭარბად უცხო ლექსიკას, კონტექსტიც თამაშობს დიდ როლს.

ცოდნის განმტკიცება:

შესთავაზეთ მოსწავლეებს სქემა, რომელზე დაყრდნობითაც უნდა ისაუბრონ საკუთარი სკოლის, ქალაქისა თუ სოფლის შესახებ.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ამგვარი აქტივობის ფარგლებში მოსწავლეებს მოუწევთ ნასწავლი ლექსიკისა და ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება. შესაბამისად, როგორც მათ, ისე თქვენც საშუალება გეძლევათ, შეამოწმოთ გავლილი ენობრივი საკითხების ცოდნის დონე და გამოკვეთოთ ის ხარვეზები, რომლებიც აქვთ თქვენს მოსწავლეებს.

საჭიროებისამებრ, ახალ მასალასთან ერთად, გარკვეული დრო დაუთმეთ ამ ხარვეზების გამოსწორებასაც – მათ გავარჯიშებასა და განმტკიცებაზე მუშაობასაც. თუ საჭიროა, დაუბრუნდით წიგნსა და რვეულში მოცემულ შესაბამის სავარჯიშოებსაც, გააქტიურეთ ის საკომუნიკაციო სიტუაციები, რომლებშიც მოსწავლეებს მოუწევთ შესაბამისი ლექსიკისა თუ ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება.

გთავაზობთ 2 სქემის ნიმუშს:




დასახელება (რა ჰქვია?)
ტრანსპორტი (რომელი ტრანსპორტი დადის?)
ჩემი ქალაქი/სოფელი
აღწერა/დახასიათება:
• ქუჩების (როგორია?)
• სახლების (როგორი? — კერძო, კორპუსი; რამდენსართულიანი?)
• ტრანსპორტის
ადგილმდებარეობის მითითება სად რა არის (სკოლა, კაფე, მარკეტი, მაღაზია, თეატრი...)

<u>გრამატიკული საკითხები:</u>

- ✓ დროში ორიენტაცია: როდის? – გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომით, ზამთარში
  როდიდან? – აგვისტოდან, ოცი აგვისტოდან...
- ✓ სივრცეში ორიენტაცია: სად? – თბილ ქვეყნებში... საიდან? – თბილი ქვეყნებიდან...
- ✓ სიტყვათწარმოება: თოვლიანი, წვიმიანი, ქარიანი, ღრუბლიანი
- ✓ შედარებითი დახასიათება: ყველაზე ცხელი, თბილი, ცივი...
- ✓ ზმნები: ცხელა, გრილა, ცივა, თბილა; თოვს, წვიმს, ქარია... ცვივა / სცვივა; დავიბადე – დაიბადა
- ✓ კითხვითი სიტყვები: რა? როგორი? სად? საიდან? რას აკეთებს?

<u>მისალოც ბარათზე მუშაობა:</u>

ბარათის სტრუქტურა (მიმართვა / ძირითადი ტექსტი / დასასრული)
ენობრივი ფორმულები: მილოცვა – გილოცავ(თ) + რას?, სურვილი – გისურვებ(თ) + რას?

კონკრეტული გრამატიკული საკითხები:

მოცემულ თემაში გრძელდება მოსწავლეებისათვის ნაცნობი ენობრივი საკითხის ახალ კონტექსტში შეთავაზება: თოვლიანი, წვიმიანი, ქარიანი, ღრუბლიანი

დროში ორიენტაცია: როდის? – გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომით, ზამთარში

კიდევ ერთხელ გაამახვილებინეთ ყურადღება მოცემულ ფორმებზე. მიზანი ამ ფორ-მების დამახსოვრება და მათი სწორი გამოყენებაა, რასაც უნდა მიაღწიოთ სათანადო კონტექსტებში მათი ინტენსიური გამოყენებით.

დაუსვით შეკითხვები მოსწავლეებს ტექსტების გარშემო და სთხოვეთ, ყურადღება მიაქციონ ფორმათა სიზუსტეს: როდის ცივა? როდის თბილა? ...

შენიშვნა:
სასურველია, რომ ეს წინადადებები წინასწარ გქონდეთ დიდ ფორმატზე დაწერილი, რათა გაკვეთილის მსვლელობისას ამაზე დრო აღარ დაკარგოთ.

დაუსვით ცალკეულ წინადადებას შეკითხვები და ყურადღება მიაქცევინეთ მოსწავლეებს კითხვითი წინადადებების სტრუქტურაზე:

კითხვითი სიტყვა + ზმნა

1. ცივა. 2. თოვლი მოდის. 3. ციდან თეთრი ფიფქები ცვივა. 4. ყველაფერი თეთრია.	როდის ცვივა? როდის მოდის თოვლი? როდის ცვივა ციდან თეთრი ფიფქები? როდის არის ყველაფერი თეთრი?

დაასმევინეთ მსგავსი შეკითხვები მოსწავლეებსაც.

- როდის თბილა? როდის წვიმს? როდის არის ცაზე ცისარტყელა?
- როდის გრილა? როდის ქრის ქარი? როდის სცვივა ხეებს ყვითელი ფოთლები? როდის წვიმს?
- როდის ცხელა? როდის არის ზღვა ძალიან თბილი? როდის მიდის ზღვაზე ყველა?

რეკომენდაცია:

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მუდმივად იმუშაოთ კითხვითი წინადადებების სწორ ფორმულირებებზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინტერაქცია თანაბრად გულისხმობს გამართულ პასუხებთან ერთად გამართული შეკითხვების დასმასაც.

დააჯგუფებინეთ მოსწავლეებს ნასწავლი ხილი და ბოსტნეული სეზონების მიხედვით (რომელ სეზონზე ვჭამთ ხილისა და ბისტნეულის ამა თუ იმ სახეობას). შეგიძლიათ დაამატოთ და ასწავლოთ ახალიც.

შედარებითი დახასიათება: ყველაზე როგორი? – ცხელი, თბილი, ცივი...

მოსწავლეებისათვის ეს ენობრივი საკითხი არ არის უცხო. შესაბამისად, აქცენტი გადაიტანეთ მის გააქტიურებაზე სხვა კონტექსტებში. გთავაზობთ ნიმუშს <u>დამატებითი ვარჯიშისათვის:</u>

ხილისა და ბოსტნეულის სახელების გამოყენებით, გაათამაშეთ შედარების გამომხატველი კონსტრუქცია (...-ზე უფრო). დაუსვით შეკითხვები მოსწავლეებს და, საჭიროებისას, დაეხმარეთ მათ პასუხების ფორმულირებაში: – *რომელია უფრო ტკბილი – ყურძენი თუ ვაშლი? სტაფილო თუ ატამი? პამიდორი თუ საზამთრო?* (ყურძენი ვაშლზე ტკბილია...).

ზმნები: ცვივა / სცვივა; ცივა / სცივა

ყველა წინადადებას ცალ-ცალკე დაუსვით შეკითხვები:

<u>ციდან ფიფქები ცვივა.</u> ➢ რა ცვივა? – ფიფქები ➢ საიდან ცვივა? – ხიდან	<u>ხეს ფოთლები სცვივა.</u> ➢ რა სცვივა? – ფოთლები ➢ რას სცვივა? – ხეს
<u>ზამთარში ცივა.</u> ➢ როდის ცივა? – ზამთარში	<u>სალომეს სცივა.</u> ➢ ვის სცივა? – სალომეს

შენიშვნა:
ნუ შეეცდებით ამ ფორმების მორფოლოგიურ დამუშავებას. საკმარისია ის, რომ მოსწავლეებმა დაინახონ მათ შორის განსხვავება. რაც შეეხება მათ დამახსოვრებას, ეს თანდათან უნდა მოხდეს. ამისთვის კი საჭიროა კონტექსტში მათი ხშირი გამოყენება.

გაახსენეთ ან თავიდან ასწავლეთ მოსწავლეებს სახალისო ენისგასატეხი:

„ცივი ცვარი ცვივა ციდან,
სცივა, სცივა ციდა ცინდალს.
ცხიკ და ცხიკო! – აცემინებს
ციცქნა ცხვირი გაუცივდა“.

ცვარი = იგივეა, რაც წვეთი, წვეთები; **ციდა ცინდალი** = პატარა კნუტი

შეაჯიბრეთ ერთმანეთს, ვინ უფრო სწრაფად, სწორად და გარკვევით იტყვის ამ ენისგასატეხს. შემდეგ ცალ-ცალკე ათქმევინეთ ეს წინადადებები: ა. **ციდან ცვივა ცვარი;** ბ. **ციდა ცინდალს სცივა.**
ყურადღება მიაქცევინეთ ფორმებზე: ცვივა ის / სცივა მას

<u>გაავლეთ პარალელები:</u>

ა. ცვივა თოვლი / ცვივა ფიფქები / ცვივა ფოთლები...
ბ. ცივა. სცივა პატარა კნუტს, სცივა პატარა ჩიტს. სცივა გოგონას. სცივა სალომეს.

შესთავაზეთ მოსწავლეებს ჯერ სწორად და შემდეგ არეულად მოცემული წყვილები დასაკავშირებლად?

სწორად	
ცივა	ზამთარში
სცივა	სალომეს
ცვივა	ფოთლები
სცვივა	ხეს ფოთლები

არეულად	
ცივა	ფოთლები
სცივა	ხეს ფოთლები
ცვივა	ზამთარში
სცვივა	სალომეს

თვეებზე სამუშაოდ:

1. შეკითხვების გამოყენებით გააკეთეთ მარტივი სქემა და მოსწავლეებთან ერთად ჩაწერეთ პასუხებიც, მაგალითად:



2. გამოიყენეთ მოდელირების სტრატეგია და ამ სქემის დახმარებით ჯერ თქვენ ისაუბრეთ იანვარზე: „იანვარი ზამთრის პირველი თვეა. იანვარში ცივა. თოვლი მოდის. იანვარში დგამენ ნაძვის ხეს და ახალ წელს ზეიმობენ“.

3. შემდეგ ამ სქემის გამოყენებით ასაუბრეთ მოსწავლეებიც.

4. ამის შემდეგ გააკეთეთ ახალი სქემა (ოღონდ მხოლოდ შეკითხვებით) და დაავალეთ მოსწავლეებს, მოძებნონ სათანადო პასუხები და უპასუხონ, მაგალითად:



შეგიძლიათ მსგავსი სქემები გააკეთოთ ნებისმიერ თვეზე.

ზმნები: დავიბადე – დაიბადა: დავიბადე მაისში – დავიბადე ორ მაისს...

<u>დამატებითი ვარჯიშისათვის:</u>

1. დაავალეთ მოსწავლეებს, შეავსონ ანკეტები საკუთარი და მეწყვილის ნათესავებზე (აუცილებელია, ანკეტები შეივსოს უფროსი ადამიანების მონაცემებით) და წარადგინონ ინფორმაცია მათ შესახებ: ვინ როდის დაიბადა (სეზონი, თვე, რიცხვი), სად დაიბადა, სად ცხოვრობს, ვისთან ერთად, რამდენი წლისაა...

2. შემდეგ უსვამენ ერთმანეთს შეკითხვებს და პასუხობენ:
   - სად და როდის დაიბადა შენი ...
   - წელიწადის რომელ დროს დაიბადა მაკას ბიძა?

მისალოცბარათზე მუშაობა:

- ბარათის სტრუქტურა (მიმართვა / ძირითადი ტექსტი / დასასრული)
- ენობრივი ფორმულები: მილოცვა – გილოცავ(თ) + რას?, სურვილი – გისურვებ(თ) + რას?

ბარათის შედგენამდე მოსწავლეების ყურადღება კიდევ ერთხელ გაამახვილეთ ბარათის სტრუქტურაზე: რისგან შედგება იგი, სად იწერება მიმართვა, სად არის ძირითადი ტექსტი და სად – დასასრული.
ამის შემდეგ გაახსენეთ შესაბამისი ბარათების შინაარსი (რა იწერება მისალოცბარათში? – მილოცვა, სურვილი და სამეტყველო სიტუაციის შესაბამისი ენობრივი ფორმულები.

- **მისალოცი ბარათი:**



რას ვულოცავთ?	ვის ვულოცავთ?	რას ვუსურვებთ?	ენობრივი ფორმულები
დედის დღეს	მეგობარს მასწავლებელს ნათესავებს ბებიას / ბაბუას და ა.შ.	კარგად ყოფნას, წარმატებებს, ჯანმრთელობას, სიხარულს, ბედნიერებას ...	ჩემო ... საყვარელო ... ძვირფასო ... გილოცავ ... / გილოცავთ ... გისურვებ ... / გისურვებთ ... შენი / თქვენი ... სიყვარულით... პატივისცემით ...
დაბადების დღეს			

მოცემული ენობრივი კლიშეების შეთავაზებისას ყურადღება მიაქციეთ მოსწავლის ასაკს.

ბარათების შექმნამდე მოსწავლეები ჯერ ცალკეული წინადადებების შედგენაზე ამუშავეთ, მაგ., რას და როგორ ვულოცავთ თანატოლს, უფროსს:

ა) <u>შეავსებინეთ წინადადებები.</u>

- გიორგი, ---------- დაბადების დღეს!
- ნათია მასწავლებელო, ---------- დედის დღეს!
- დედა, ---------- ----------!
- ანასტასია, ---------- ----------!

ყურადღება მიაქციევინეთ სასვენ ნიშნებზე – სად იწერება მძიმე, ძახილის ნიშანი?

ბ) <u>შეავსებინეთ ნაკლული ბარათები.</u>

განუსაზღვრეთ კონკრეტული სამეტყველო სიტუაცია (ადრესატი, მიზანი, დანიშნულება) და სთხოვეთ მოდელის გამოყენებით შესაბამისი ბარათის შექმნა. გააფორმებინეთ ბარათები სათანადო ნახატებით.

ლელა მასწავლებელო!

---------- დედის დღეს. ----------
ჯანმრთელობასა და ----------

თქვენი მოსწავლე
ბექა გოცირიძე

---------- საყვარელო ბებია!

---------- დედის დღეს. ----------
ჯანმრთელობასა და ----------

შენი ბექა

ცოდნის შემოწმება:

93-ე გვერდზე მოცემულ ნახატზე მკვეთრად ჩანს შემოდგომა და ზამთარი. იკითხება გაზაფხულიც, თუმცა შესაძლებელია, რომ მოსწავლეებმა გაზაფხული და ზაფხული ვერ დაინახონ. სურათის აღწერისა და სეზონების დასახელებისას სთხოვეთ, განმარტონ / დაასაბუთონ საკუთარი პოზიციები (არ არის აუცილებელი, რომ მსჯელობა ქართულ ენაზე წარიმართოს. მიეცით საშუალება, აზრი გამოხატონ იმ ენაზე, რომლზედაც საუბრობენ).

დაუსვით სათანადო შეკითხვები, მაგალითად: ერეკლე, რატომ ფიქრობ, რომ ამ ნახატზე გაზაფხული არ არის? საიდან ჩანს, რომ ეს ზაფხულია? ამის შემდეგ შეასრულებინეთ დანარჩენი მითითებები.

<u>გრამატიკული საკითხები:</u>

- ✓ ინსტრუმენტალისი – რით გადაადგილდება? რით მოძრაობს? – ცხენით, ფეხით...
- ✓ სივრცეში ორიენტაცია (ადგილი, მიმართულება): სად? საიდან? – კარიდან, ფანჯრიდან...
- ✓ ზმნები: ა) დებს/დევს; აწყობს/აწყვია; აგდებს/გდია; ყრის/ყრია; ანთებს/ანთია; ბ) გადიან, შლიან, დგებიან... გ) მხიარულობენ, რთავენ, სეირნობენ... დ) აცვია, ახურავს, უკეთია
- ✓ ზმნისწინი (მიმართულების ჩვენება): ზმნა წასვლა
- ✓ კითხვითი სიტყვები: ვინ? რა? ვის? რას? ვის(ი)? რის(ი)? ვისგან? რისგან? ვისთან? რასთან?

<u>საახალწლო ბარათის შექმნა</u>

<u>პროექტი:</u> გავაკეთოთ გოზინაყი

დავწეროთ <u>საახალწლო კერძის რეცეპტი</u>

კომუნიკაციური თვალსაზრისით, მოცემული ქვეთემის პრიორიტეტია ინტერაქცია ახალი წლის გარშემო.

ზოგადად:

- ❖ როგორ ხვდებიან ახალ წელს იმ ქვეყანაში, რომელშიც ცხოვრობენ და საქართველოში;
- ❖ როგორ ემზადებიან ახალი წლისთვის;
- ❖ როგორია საახალწლო სუფრის ტრადიცია.

კონკრეტულად:

- ❖ სად და როგორ ხვდებიან თავად ისინი და მათი ოჯახის წევრები;
- ❖ თავად როგორ ემზადებიან;
- ❖ ვინ რას აკეთებს ოჯახში;
- ❖ როგორია მათი საახალწლო სუფრა.

კონკრეტული გრამატიკული საკითხები:

აქტიურდება ნაცნობი ენობრივი საკითხები ახალ კონტექსტში:

- ინსტრუმენტალისი – რით გადაადგილდება? რით მოძრაობს? – ცხენით, ფეხ-ით, მარხილით...
- სივრცეში ორიენტაცია (ადგილი, მიმართულება): სად? – ლაპლანდიაში, სვანეთში, მთაში... საიდან? – კარიდან, ფანჯრიდან, საკვამურიდან...

ზმნებზე მუშაობისას გაითვალისწინეთ ზემოთ მოცემული რეკომენდაციები და მოსწავლეებთან ერთად შეავსეთ ზმნური პოსტერები შესაბამისი მითითებებით. შეასრულეთ წიგნსა და რვეულში მოცემული დავალებები თანმიმდევრულად.

ზმნისწინი და მისი ერთ-ერთი ფუნქცია **(მიმართულების ჩვენება):** ზმნა წასვლა

ამ ეტაპისთვის შეგნებულად არ ვსაუბრობთ ზმნისწინსა და მის ფუნქციებზე. გაგებ-ა-გააზრებისათვის საკმარისად მიგვაჩნია წიგნში მოცემული ილუსტრაციები (გვ. 90). დაკვირვების გზით გაამახვილებინეთ ყურადღება წარმოების წესსზე. წააკითხეთ ეს ზმნური ფორმები – **მიდის, მოდის, ადის, ჩადის, გადადის, გადმოდის** – და ჰკითხეთ, რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან / რა აქვთ ამ ზმნებს სხვადასხვა? საჭიროებისამებრ, მიანიშნეთ ზმნისწინებზე:

მი(დის), მო(დის), ჩა(დის), ა(დის), გადა(დის), გადმო(დის).

აუცილებლობის შემთხვევაში, მარტივად აუხსენით მათთვის გასაგებ ენაზე, რომ ეს არის ზმნისწინი და სწორედ ის განსაზღვრავს მიმართულებას:

მიდის იქით, მაგრამ მოდის აქეთ; ადის ზევით, მაგრამ ჩადის ქვემოთ და ა.შ.

ახსნა-განმარტების დროს გამოიყენეთ წიგნში მოცემული ნახატებიც და ვიზუალურად დააკვირვეთ მათზე მოსწავლეები.
ზმნისწინის ეს ფუნქცია (მიმართულების ჩვენება) სქემატურად ჩადებულია მოსწავლის წიგნის გრამატიკულ გზამკვლევში, რომელიც ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ დაკვირვებისათვის:



მოქმედების მიმართულებას განსაზღვრავს პირველი პირი – **მე** და მისი მდებარეობა.



ამის შემდეგ შეასრულებინეთ დავალებები მოსწავლის რვეულში.



საახალწლო ბარათის შექმნა:

იხელმძღვანელეთ ზუსტად იმავე მითითებებით, რომლებიც მოცემულია წინა თემაში.

<u>გრამატიკული საკითხები:</u>

- ✓ ზედსართავი სახელები (გარეგნობა / თვისება): მრგვალი, კეთილი, მამაცი, ჭკვიანი, მშრომელი, ბეჯითი, მხიარული, ხალისიანი
- ✓ შედარების გამოხატვა: ა) ..-ზე დიდი / პატარა... ბ) უდიდესი, ულამაზესი, უძლიერესი... (უფროობითი ხარისხი)
- ✓ მოთხრობითბრუნვიანი სინტაქსური ყალიბი: თქვა მან; უთხრა/უპასუხა მან მას;
- ✓ ზმნები: ა) ცხოველთა და ფრინველთა ხმიანობის გამომხატველი ბ) მტკივა – სტკივა; მაწუხებს – აწუხებს; გ) ვტირი მიზეზშედეგობრივი კავშირები: რატომ? – იმიტომ, რომ

კონკრეტული გრამატიკული საკითხები:

ცხოველთა და ფრინველთა ხმიანობა, ნაშიერი და საცხოვრებელი: შეადარებინეთ მოსწავლეებს ხმიანობათა ქართული დასახელებები მათი სწავლების ენაში არსებულ დასახელებებს. შეიძლება საინტერესო მსგავსებები იყოს.

გაახსენეთ ვასილ გულეურის ლექსი და ცხოველთა საცხოვრებელი. დაუსვით შეკითხვები მოსწავლეებს: – *რა ცხოვრობს ბუდეში? ჩიტი ფრინველია თუ ცხოველია? რა ჰქვია ფრინველის სახლს?* ანალოგიური შეკითხვები დაუსვით სხვა ფრინველებსა და ცხოველებზეც: *რა ცხოვრობს ფუღუროში? სოროში? ბუნაგში? რა არის დათვი? ციყვი? თაგვი? ციცინათელა? რა ჰქვია ცხოველის სახლს? კიდევ რა არის ცხოველის სახლი?* და ა.შ.

<u>დამატებითი აქტივობები ცხოველებსა და მათ ნაშიერებზე:</u>

ა) სამუშაოდ გამოიყენეთ ცხოველებისა და მათი ნაშიერების დანომრილი ვარიანტი (იხ. დამატებით რესურსებში, გვ. 124). მოსწავლეები დააჯგუფეთ მცირე ჯგუფებად და ყველა ჯგუფს ცალ-ცალკე ამობეჭდილი მიეცით სამუშაოდ.
უთხარით რიცხვი. მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ ეს რიცხვი და დაასახელონ, რომელი ცხოველია/ფრინველია (ან ნაშიერია) ამ რიცხვით წარმოდგენილი (მაგ., ძაღლი, ლეკვი და ა.შ.). ნაშიერის შემთხვევაში უნდა დაასახელონ მშობელიც და, პირიქით, მშობლის შემთხვევაში – ნაშიერიც (მაგ. 1. ცხვარი. მისი ნაშიერია ბატკანი).

გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელიც უფრო სწრაფად და უშეცდომოდ შეასრულებს დავალებას. შეცდომის დაშვების შემთხვევაში, პასუხი გადადის სხვა გუნდზე. თუკი ის გუნდიც დაუშვებს შეცდომას, მაშინ ორივე გუნდს ეძლევა შესაძლებლობა, გამოასწორონ შეცდომა და თავიდან დაასახელონ სწორი ვარიანტი.

ბ) <u>მარტივი ვარიანტი შედარებით პატარებისთვის:</u> თქვენ ამბობთ საწყის ასოს, მოსწავლეები ასახელებენ რა არის და თქვენს შეკითხვაზე – მშობელია თუ ნაშიერია, აკონკრეტებენ (მაგ., კ..... კატა. დედაა თუ შვილი? დედა. რა ჰქვია შვილს? ან კ..... კნუტი. დედაა თუ შვილი? შვილი. რა ჰქვია დედას? და ა.შ.).

გ) ასახელებთ კონკრეტულ ცხოველს/ფრინველს (ან მის ნაშიერს), მოსწავლემ უნდა მოძებნოს და დაასახელოს შესაბამისი რიცხვი.

დ) ასახელებთ ნაშიერს, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ, რისი ნაშიერია, ან პირიქით, ასახელებთ ცხოველს/ფრინველს და მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ მისი ნაშიერი.

ე) ასახელებთ წყვილებს ხან სწორად, ხან არასწორად. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რომელია არასწორი და გაასწორონ.

ზედსართავი სახელები (გარეგნობა / თვისება): მრგვალი, კეთილი, მამაცი, ჭკვიანი, მშრომელი, ბეჯითი, მხიარული, ხალისიანი

ზედსართავებზე მუშაობა: გააკეთეთ ცხრილი და წიგნში მოცემული ზედსართავები გაანაწილეთ იმისდა მიხედვით, თუ რას გამოხატავს, რაზე მიუთითებს ისინი:

გარეგნობა	**ხასიათი**
ლამაზი უშნო ფარფლებიანი...	მხიარული ჭკვიანი საშიში სასაცილო...

<u>მარტივი თამაშები:</u>

1. გამოიცანით! ჯერ თქვენ აღწერთ ცხოველს, მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ და დაასახელონ. მაგ., ცხოვრობს ტყეში, არის დიდი. მისი სახელი იწყება „დ“ ასოზე; ცხოვრობს სახლში, უყვარს რძე, არ უყვარს თაგვები. შემდეგ ერთ-ერთ მოსწავლეს ჩუმად ეუბნებით ცხოველის სახელს. დასახელებული ცხოველი ამ მოსწავლემ უნდა აღუწეროს დანარჩენებს.
2. უთხარით გამოცანები ცხოველებზე (იხ. დამატებითი რესურსები, გვ. 115-117).
3. შეარჩიეთ 4-5 ცხოველი და ფრინველი და დაუსვით მოსწავლეებს ქვემოთ მოცემული შეკითხვები (ისე შეარჩიეთ ისინი, რომ მოსწავლეებს საცხოვრებლის ყველა სახეობის დასახელება მოუწიოთ):

- ✓ სად ცხოვრობს ეს ცხოველი? ეს ფრინველი? (ბუნაგში, ფუღუროში, სოროში, ბუდეში)
- ✓ რა ჰქვია ამ ცხოველის / ფრინველის შვილს?
- ✓ რა აქვს? (რქები, ფრთები, ფაფარი, კუდი).
- ✓ როგორია? (მაღალი, დიდი, პატარა).
- ✓ როგორი რქები/ყურები/კუდი/ფეხები/კისერი/ნისკარტი აქვს? (გრძელი/მოკლე)
- ✓ შინაურია თუ გარეული?

შედარების გამოხატვა: ა) ...-ზე დიდი / პატარა...
ბ) უდიდესი, ულამაზესი, უძლიერესი... (უფროობითი ხარისხი)

წიგნსა და რვეულში მოცემული დავალებები საკმარისია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაიგონ და გაიაზრონ მათ შორის არსებული განსხვავება როგორც შინაარსის, ისე წარმოების თვალსაზრისით.

შენიშვნა:
ამ ეტაპზე ნუ მოსთხოვთ მოსწავლეებს ამ ფორმათა ერთბაშად, მყისიერად დაზეპირებასა და მათ აქტიურ გამოყენებას. მათი დაუფლებისათვის აუცილებელია სათანადო საკომუნიკაციო სიტუაციების შექმნა, რომლებშიც მოსწავლეებს ბუნებრივად მოუწევთ მათი გამოყენება, მით უფრო, რომ მოცემული ლექსიკა საკმაოდ აქტიური ხმარებისაა და თითქმის ყოველდღიურად გამოიყენება ნებისმიერი რამის აღწერა- დახასიათებისათვის (მაგ., მოწითალო ფერის კაბა, ჩანთა, ქუდი ... უკეთესი / უარესი...).

ამუშავეთ მოსწავლეები ამ ენობრივ კონსტრუქციაზე :...-ზე დიდი / პატარა; ...-ზე მაღალი / დაბალი. ამ ენობრივი კონსტრუქციის გამოყენებით:

- ✓ შეადარეთ ისინი ერთმანეთს ხან სწორად, ხან შეცდომით: – დიტო ნიკოზე მაღალია / დაბალია / შავთმიანია და ა. შ. მოსწავლეები უნდა მიხვდნენ შეცდომებს და გაასწორონ.
- ✓ საგნების შესადარებლად გამოიყენეთ კლასში არსებული რესურსები. მაგ., ეს წითელი ფანქარი ლურჯ ფანქარზე უფრო მოკლეა. მერხი მაგიდაზე უფრო დიდია. კარადა მერხზე უფრო მაღალია; კარადა მერხზე დაბალია და სხვა.

გამოიყენეთ წიგნის ნებისმიერი სურათი, რომელზეც ნაცნობი ცხოველებია გამოსახული და იკითხეთ, მაგ.: – ციყვი დათვზე პატარაა თუ დათვზე დიდია? და ა.შ.

...-სავით როგორი? – ჩემსავით, ნიკასავით, მზესავით...

გაახსენეთ ენობრივი კონსტრუქციები, რომლებიც გამოიყენება ორი ადამიანის ან ცხოველის / ნივთის ერთმანეთთან შედარებისას. ამის შემდეგ თვალსაჩინოებისათვის დაწერეთ წინადადებები დაფაზე და დააკვირვეთ მათზე. საჭიროებისამებრ, გამოიყენეთ მათი საკომუნიკაციო ენა.

ა) <u>ადამიანები შეიძლება იყვნენ ერთმანეთის მსგავსნი:</u>

- ✓ ზაზა ნიკასავით პატარაა (ისეთია, როგორიც – ნიკა. ე.ი. ორივე პატარები არიან).
- ✓ ნიკა ჩემსავით ცნობისმოყვარეა (ისეთია, როგორიც – მე. ე.ი. ორივე ცნობისმოყვარეები ვართ).

ბ) <u>ან შეიძლება იყვნენ ერთმანეთისაგან განსხვავებულნი</u> – ერთი მეორესთან შედარებით რაღაცით მეტია ან ნაკლები:

- ✓ ზაზა ნიკაზე (უფრო) მაღალია.
- ✓ ნიკა ჩემზე (უფრო) კარგად წერს.
- ✓ ჩემი ძმა ჩემზე პატარაა.
- ✓ ნიკა ჩემზე ცუდად წერს.

მოთხრობითბრუნვიან კონსტრუქციაზე დაკვირვება:

თქვა მან; უთხრა / უპასუხა მან მას;
თქვა ვინ? – დათვმა, აქლემმა...
უთხრა ვინ? ვის? – დათვმა ლომს, ზებრამ აქლემს...

მოცემული სავარჯიშოების მიზანია ამ სინტაქსური ყალიბის გათავისება. დამატებითი ვარჯიშისათვის კარგი იქნება, თუკი შესთავაზებთ ხალხურ ლექსს – "მოდი, ვნახოთ ვენახი" (იხ. დამატებითი რესურსი, გვ. 123).

მიზეზშედეგობრივი კავშირები: რატომ? – იმიტომ, რომ

გაახსენეთ (ან თუ საჭიროა, თავიდან დააკვირვეთ) მიზეზისა და შედეგის გამოხატვის ფორმულებზე:

რატომ?	– მიზეზი
იმიტომ, რომ ...	– შედეგი

დამატებითი გავარჯიშებისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ შეკითხვები სხვადასხვა მიმართულებით:

ა) ამინდზე დაკვირვება:

- ✓ რატომ ცხელა დღეს? – იმიტომ, რომ მზე ანათებს.
- ✓ რატომ ცივა? – იმიტომ, რომ ზამთარია/ ცივი ქარი უბერავს...

ბ) საკლასო აქტივობებისას და სხვა ნებისმიერი საჭიროებისას:

- ✓ რატომ არ წერ, სალომე? – იმიტომ, რომ კალამი არ მაქვს.
- ✓ რატომ გახურავს ქუდი, ერეკლე? – იმიტომ, რომ მცივა...

ორშაბათიდან ორშაბათამდე

კვირის დღეები და დღე-ღამის მონაკვეთები

რომელი საათია?

ერთი ჩვეულებრივი დღე

როდის რას ვაკეთებთ და რა სიხშირით?

„აბდაუბდა გადასკუპდა“

ძირითადი ენობრივი მიზნები

- ინტერაქცია ყოველდღიური საქმიანობის შესახებ;
- დროში ორიენტირება - დროის მითითება (საათის / დღის / კვირის / თვის); ქრონოლოგიური თანამიმდევრობა (გუშინ, დღეს, ხვალ; დილით, შუადღისას, საღამოს; ჯერ/ წინ/შემდეგ; გვიან / ადრე);
- სოციალური ურთიერთობების ენობრივი ფორმულების ფუნქციური გამოყენება (მისალმება, მოკითხვა, დამშვიდობება);
- მოქმედების სიხშირისა და ინტენსივობის გამოხატვა;
- მოვლენათა თანმიმდევრობის დადგენა და მისი გამოხატვა;
- ყოფითი დიალოგების მოსმენა-გაგება; შექმნა და გათამაშება;
- პრაგმატული ტექსტების გაგება-გააზრება (დღის განრიგი).

<u>გრამატიკული საკითხები:</u>

- ✓ დროში ორიენტაცია: რომელი საათია? როდის? რომელ საათზე? როდიდან როდემდე? რომელი საათიდან რომელ საათამდე?
- ✓ მოქმედების სიხშირე და ინტენსივობა: ყოველთვის, ხშირად, იშვიათად, არასოდეს
- ✓ მოქმედების, მოვლენის შედარება – ვინ როდის რას აკეთებს? სად როდის რა ხდება?
- ✓ მოქმედების თანმიმდევრობის გამოხატვა: ჯერ/შემდეგ; ...-ის წინ / ...-ის შემდეგ
- ✓ ზმნები: ა) ვსაუზმობ, ვსადილობ, ვვახშმობ ბ) ვიღვიძებ, ვიძინებ, ვიბანავ, ვალაგებ, ვსეირნობ, ვმეცადინეობ

დღის მონაკვეთები და მისალმება:

დაწერეთ დაფაზე ეს სქემა და ჰკითხეთ: როდის ვესალმებით ასე:



1. დააკვირვეთ მოსწავლეები ფორმებზე: შუა-დღე / შუა-ღამე.
2. გაავლეთ პარალელები სწავლების ენასთან.
3. სქემის გაანალიზების შემდეგ დაუსვით მოსწავლეებს ფრონტალური კითხვები: დღის რომელი მონაკვეთია ახლა? დღის რომელ მონაკვეთში: იწყება სწავლა? მთავრდება სწავლა?

ამის შემდეგ დაამუშავეთ მისალმება-დამშვიდობებისა და მოკითხვის ფორმულები:

1. პირველ რიგში, გაახსენეთ მოსწავლეებს ნასწავლი ფორმულები (გამარჯობა! დილა მშვიდობისა!)

2. წიგნის ილუსტრაციების გამოყენებით დააკვირვეთ ამ ფორმულებზე – როდის როგორ ვესალმებით (დილა მშვიდობისა! საღამო მშვიდობისა! ღამე მშვიდობისა!)

3. ასაუბრეთ მოსწავლეები მათ სასაუბრო ენაზე ამ ფორმულების მსგავსება-განსხვავებებზე.

4. ბოლოს შესთავაზეთ მათ ერთიანი სქემა, რომელსაც წინასწარ გააკეთებთ და მოსწავლეებთან ერთად გააანალიზეთ.



კონკრეტული გრამატიკული საკითხები:

დროში ორიენტაცია: გუშინ, დღეს, ხვალ:

პირველ რიგში, გაახსენეთ მოსწავლეებს კვირის დღეები – რამდენი დღეა კვირაში? რომელია ეს დღეები? კვირის რომელი დღეა დღეს (როდესაც ეს გაკვეთილი უტარდებათ)? კვირის რომელ დღეებში დადიან საკვირაო სკოლაში? რომელ დღეებში არ მიდიან სკოლაში? და ა.შ.

ჯერ იმუშავეთ გუშინ / დღეს ოპოზიციაზე:

გააკარით დაფაზე ან კედელზე ერთი კვირის კალენდარი და დასვით კითხვები: – რა დღეა დღეს? (შემოხაზეთ აღნიშნული დღე და დაასრულეთ: დღეს არის ...); რა დღე იყო გუშინ? (მიუთითეთ წინა დღეზე და კვლავ დაასრულეთ ფრაზა: გუშინ იყო ...); რა რიცხვია დღეს? რა რიცხვი იყო გუშინ?
ანალოგიურად შეგიძლიათ იმუშაოთ გაკვეთილების ცხრილის გამოყენებითაც: რამდენი გაკვეთილი გვაქვს დღეს? რამდენი გაკვეთილი გვქონდა გუშინ?

ასევე იკითხოთ სხვა ინფორმაციაც: ვინ არ არის დღეს სკოლაში? ვინ არ იყო გუშინ სკოლაში? როგორი ამინდია დღეს? / როგორი ამინდი იყო გუშინ? და ა.შ.
კარგად გავარჯიშების შემდეგ შემოიტანეთ – ხვალ და დაამუშავეთ ჯერ დღეს / ხვალ ოპოზიცია იმავე პრინციპით.

დამატებითი მუშაობა:

ამბობთ, რა დღეა დღეს (მაგ., დღეს არის სამშაბათი) და სვამთ კითხვას: – რა დღე იყო გუშინ? ჯერ სთავაზობთ არჩევით პასუხებს: ორშაბათი იყო თუ ოთხშაბათი? და ა.შ. შემდეგ დასვამთ მხოლოდ კითხვას: – რა დღე იყო გუშინ? და მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ. ასევე რიცხვებზეც.

დახაზეთ დაფაზე ცხრილი ქვემოთ მოცემული ნიმუშის მიხედვით და მოსწავლეებთან ერთად შეავსეთ რეალური მონაცემებით:

	გუშინ	**დღეს**	**ხვალ**
დღე	იყო ორშაბათი	არის სამშაბათი	იქნება ოთხშაბათი
რიცხვი	იყო 5	არის 6	იქნება 7
ამინდი	იყო წვიმა	არის მზე	იქნება ქარი

მიეცით ნაკლული ცხრილი შესავსებად, მაგალითად:

	გუშინ	**დღეს**	**ხვალ**
დღე	იყო ----------	--------- სამშაბათი	----------
რიცხვი	---------- 5	---------- 6	---------- 7
ამინდი	იყო ----------	----------	---------- ქარი

ცხრილში შესავსები ინფორმაცია შეგიძლიათ გაამარტივოთ ან გაართულოთ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ამინდთან დაკავშირებით შეგიძლიათ გამოიყენოთ სიმბოლოები.

მოცემული აქტივობების დახმარებით გააქტიურებთ ყოფნა ზმნასაც სამივე დროში: იყო – არის – იქნება.

დროში ორიენტაცია: რომელი საათია? როდის? რომელ საათზე? როდიდან როდემდე? რომელი საათიდან რომელ საათამდე?

პირველ რიგში, იმუშავეთ განსხვავებაზე – რომელი / რამდენი: რამდენი საათია? რომელი საათია? ამისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც წიგნში მოცემული საათები, ისე საკუთარი და/ან კლასში არსებული საათებიც (კედლის საათი, მოსწავლეების საათები).

> რამდენი საათია კლასში? – ითვლიან და ასახელებენ.
> რომელი საათია? – აკვირდებიან საათს და ასახელებენ დროს.

საათის ცნობა, ზოგადად, თუნდაც 6-7 წლის ასაკის ბავშვებისათვის პრობლემას უკვე აღარ წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, საუბარია ქართულად გადმოცემაზე.

რა უნდა გავითვალისწინოთ?

- ❖ ზუსტ დროსთან დაკავშირებით ერთადერთ განსხვავებას გვაძლევს **პირველი.** მასწავლებელი აკეთებს თვალსაჩინოებას დაფაზე:

ერთი	→	პირველი საათია
ორი	→	ორი საათია
სამი	→	სამი საათია და ა.შ.

❖ ნახევართან დაკავშირებით, მოსწავლეებს ყურადღება უნდა მივაქცევინოთ ფორმაზე:

პირველი საათია	→	პირველ-**ის** ნახევარია
ორი საათია	→	ორ-**ის** ნახევარია
სამი საათია	→	სამ-**ის** ნახევარია და ა.შ.

❖ დანარჩენ ორ შემთხვევაშიც აქცენტები კეთდება ფორმაზე:

პირველ-ის	ხუთი წუთია
პირველ-ს აკლია	ხუთი წუთი

❖ კარგი იქნება, თუკი წინასწარ მოამზადებთ დიდ ფორმატზე ამგვარ სქემას და გარკვეული დროით გამოფენთ თვალსაჩინო ადგილას:



❖ ასევე სასურველია, მოსწავლეებთან ერთად გაკეთდეს ეს ცხრილიც:

რომელი საათია?	**რომელ საათზე?**
ორი საათია	ორ საათზე
ორ-ის ნახევარია	ორ-ის ნახევარზე
ორ-ის ხუთი წუთია	ორ-ის ხუთ წუთზე
ორ-ს აკლია ხუთი წუთი	ორ-ს რომ აკლია ხუთი წუთი

გთავაზობთ სქემებს დამატებითი საჭიროებისათვის (**შენიშვნა:** სქემები წინასწარ გააკეთეთ იმისათვის, რომ მათზე არ დაიხარჯოს დამატებითი დრო გაკვეთილზე):



რომელ ...? = აკონკრეტებს დროის მონაკვეთს:



როდიდან? = მიუთითებს მოქმედების დაწყების საწყის დროს:



<u>დამატებითი ვარჯიშისათვის:</u>

1. გამოიყენეთ გაკვეთილების ცხრილი და ჰკითხეთ, რომელ საათზე იწყება / მთავრდება პირველი, მეორე, მესამე და ა. შ გაკვეთილები.
2. შეადგინეთ ერთი დღის სატელევიზიო პროგრამა და დაუსვით მის გარშემო შეკითხვები (რომელ საათზე იწყება ფილმი? რა იწყება ცხრას რომ აკლია 15 წუთი? და ა.შ.)

8.00 – მულტფილმები
8.45 – ცხოველთა სამყაროში
3.30 – ზოოპარკში
5.20 – სპორტი
6.00 – ფილმი და ა.შ.

ზმნები: ა) ვსაუზმობ, ვსადილობ, ვვახშმობ
ბ) ვიღვიძებ, ვიძინებ, ვიბანი, ვალაგებ, ვსეირნობ, ვმეცადინეობ

დაწერეთ დაფაზე წინადადებები:

1. დედა ამზადებს საჭმელს.
2. ბაბუა კითხულობს გაზეთს.
3. ბებია და მამა უყურებენ ტელევიზორს.
4. ბიჭი იძინებს.
5. გოგონა იბანს ხელებს.

ამის შემდეგ გააკეთეთ მარტივი ცხრილი მოსწავლეების თანამონაწილეობით და გადაა-ხარისხეთ წინადადებებში მოცემული ინფორმაცია ცხრილში სათანადო კითხვების ქვეშ.

ვინ?	რას?	აკეთებს?
დედა	საჭმელს	ამზადებს
მამა	ტელევიზორს	უყურებს
ბებია	ოთახს	ალაგებს
ბაბუა	გაზეთს	კითხულობს
და	ხელებს	იბანს
ძმა	----------	იძინებს

მუშაობა სხვადასხვა ტიპის ზმნებთან (ვინიანი / მანიანი)

გაახსენეთ (თუ საჭიროა, თავიდან აუხსენით) მოსწავლეებს მათი წარმოების წესი, კერძოდ, დააკვირვეთ:

- ❖ პირველი სუბიექტური პირის (მოქმედი პირის) ნიშანზე (მე ვარ, მე ვწერ // მე მაქვს, მე მიყვარს);
- ❖ მესამე სუბიექტური პირის (მოქმედი პირის) ნაცვალსახელის ბრუნვაზე (ის არის, ის წერს // მას აქვს, მას უყვარს).

ამ ორი განსხვავებული ზმნური სინტასური კონსტრუქციის გახსენება-გამოყენები-სათვის შესთავაზეთ მოსწავლეებს როგორც ენობრივი სავარჯიშოები, ისე სათანადო სიტუაციები, მაგალითად:

1. ენობრივი სავარჯიშოების ნიმუშები:

<u>გადაახარისხებინეთ მოცემული ზმნები:</u>

მყავს ვდგავარ ვიბან ვამზადებ ვხატავ მიყვარს მაინტერესებს ...

ვწერ (ვინიანი)	მქვია (მანიანი)

<u>სახელის ნაცვლად ჩაასმევინეთ შესაბამისი ნაცვალსახელი:</u>

- ✓ ბიჭი წერს -------
- ✓ ბიჭს აქვს -------
- ✓ თემურს მოსწონს --------
- ✓ თემური თამაშობს --------

<u>გადააყვანინეთ პირველი პირიდან მესამე პირში:</u>

- ✓ მე ვკითხულობ – ------ კითხულობს
- ✓ მე მიყვარს – ------- უყვარს
- ✓ მე მქვია – -------- ჰქვია
- ✓ მე მივდივარ – ------- მიდის

<u>დააკავშირებინეთ ერთმანეთთან ხაზებით:</u>

	ხატავს
	მოსწონს
ის	მიდის
	თამაშობს
მას	აქვს
	აგვიანდება
	ეშინია...

<u>ჩააწერეთ – ის თუ მას?</u>

-------- აინტერესებს.
-------- კითხულობს.
-------- ხატავს.
-------- ჰყავს.

<u>გადაახაზინეთ არასწორი ფორმა:</u>

ქალი/ქალს მოსწონს.
გოგოს/გოგო ჰყავს ძაღლი.
მოსწავლეს/მოსწავლე კითხულობს.
ლალი/ლალის თამაშობს.

<u>გაანაწილებინეთ ფორმები სწორად:</u>

ბიჭი / ბიჭს:

კითხულობს ---------- მოსწონს ----------

<u>მოაძებნინეთ წინადადებაში შეცდომა და გაასწორებინეთ:</u>

ა) ბიჭი აქვს ბურთი. ----------
ბ) ბიჭს წერს წერილს. ----------
გ) ლეილა ეშინია. ----------

მსგავსი დავალებების შედგენა შეაძლებელია ნებისმიერ ახალ ზმნებთან.

2. კომუნიკაციური სიტუაციები:

გაათამაშებინეთ დიალოგები ნაცნობ თემებზე — მაგალითად, სკოლის გარშემო: რომელ საგნებს სწავლობს? რამდენი გაკვეთილი აქვს დღეში? რომელი საგანი უყვარს / აინტერესებს? რა ჰქვია ამა თუ იმ საგნის მასწავლებელს? რას აკეთებს მათემატიკის გაკვეთილზე? სპორტის გაკვეთილზე? როდის / რომელ საათზე აქვს ქართული, მათემატიკა? და ა.შ.

მოქმედების სიხშირე და ინტენსივობა: ყოველთვის, ხშირად, იშვიათად, არასოდეს

წიგნში მოცემული თვალსაჩინოება საკმარისია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაიგონ, რას ნიშნავს: ყოველთვის, ხშირად, იშვიათად და არასოდეს.

მოცემული ლექსიკური ერთეულების განმტკიცება-დაუფლებისათვის ვარჯიშს ეთმობა მთელი რიგი სავარჯიშოები წიგნსა და რვეულში.

ენობრივი დაკვირვება: დგას / დგება:

1. პირველ რიგში იმუშავეთ მათ შორის არსებულ სემანტიკურ განსხვავებაზე. გამოიყენეთ თვალსაჩინოების მეთოდი, შეასრულეთ ეს მოქმედებები, პარალელურად დასვით შეკითხვები და უპასუხეთ (რას ვაკეთებ? – ვდგავარ; ახლა რას ვაკეთებ? – ვდგები). აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენეთ სწავლების ენა.

2. მათს სასაუბრო ენაზე განუმარტეთ, რა არის მოქმედების პროცესი (ვდგები) და რა – შედეგი (ვდგავარ).

3. გააკეთეთ სქემა:

უკვე შედეგი გვაქვს	**ჯერ პროცესია**
ვდგავარ	ვდგები
ვზივარ	ვჯდები
ვწევარ	ვწვები

4. დააკვირვეთ ამ ფორმებზე მოსწავლეები. დაწერეთ დაფაზე და შეადარეთ ისინი ერთმანეთს მოსწავლეებთან ერთად.

დგას	**დგება**
მე ვდგავარ	მე ვდგები
შენ დგახარ	შენ დგები
ის დგას	ის დგება

5. ამ ეტაპისთვის სხვა განსაკუთრებული მუშაობა საჭირო არ არის. მთავარია, მოსწავლეებმა დაინახონ ამ ზმნებ შორის შინაარსობრივი და ფორმობრივი განსხვავება.

მოქმედების თანმიმდევრობის გამოხატვა: ჯერ / შემდეგ / ...-ის წინ / ...-ის შემდეგ

დავალებების შესრულებამდე, დარწმუნდით, რომ მოსწავლეებს კარგად ესმით **ჯერ** / **შემდეგ** სიტყვების მნიშვნელობა და ისე შეასრულებინეთ წიგნსა და რვეულში მოცემული დავალებები თანამიმდევრულად.

მოსწავლის შეფასება და შეფასების რუბრიკები

მოსწავლეთა შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ სწავლის შედეგზე, არამედ სწავლის პროცესზე ორიენტირებასაც. ამიტომ მოსწავლის შეფასება, პირველ რიგში, უნდა ემსახურებოდეს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. შესაბამისად, მასწავლებელი მოსწავლეთა შეფასებისას ორიენტირებული უნდა იყოს უფრო მეტად უკეთესი შედეგების მიღწევაზე, ვიდრე უბრალოდ ცოდნის შემოწმებაზე. ცხადია, შეფასებაში არ იგულისხმება არც ნიშნებისა და არც ქულების დაწერა.

მაშ, რისთვის გვჭირდება მოსწავლეთა შეფასება?

თქვენმა შეფასებამ ხელი უნდა შეუწყოს, ერთი მხრივ, მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას და, მეორე მხრივ, განსხვავებული პოტენციალის მქონე ყველა მოსწავლისათვის თანაბარი პირობების შექმნას იმისათვის, რომ ყველამ შეძლოს საკუთარი შესაძლებლოებების გამოვლენა და განვითარება.

თქვენი შეფასების მიზანი სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა და სწავლების პროცესში თითოეული მოსწავლის განვითარებისათვის მაქსიმალურად ხელშეწყობა უნდა იყოს.
თქვენ გჭირდებათ მოსწავლეთა მიღწევის დონის შემოწმება არა ნიშნების დასაწერად, არამედ მათ დასახმარებლად. მნიშვნელოვანია, რომ სწავლის პროცესში დააკვირდეთ თითოეულ მოსწავლეს და შეისწავლოთ მათი საჭიროებები იმისათვის, რომ თითოეულ მათგანს მაქსიმალურად შეუწყოთ ხელი წინსვლაში და, მეორე მხრივ, ამ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით დაგეგმოთ საგაკვეთილო პროცესი.

ენობრივი ცოდნისა და უნარების შეფასებისას უნდა შეამოწმოთ მოსწავლის:

- ლექსიკური ცოდნა
- გრამატიკული ცოდნა
- ლექსიკური და გრამატიკული უნარ-ჩვევები (ანუ, როგორ შეუძლია მას ამ ცოდნის კონტექსტში გამოყენება)
- გამოთქმა
- მართლწერა

კომუნიკაციური უნარების შეფასებისას კი მოწმდება:

- კითხვა-გაგება
- ხმამაღალი კითხვა
- მოსმენა-გაგება
- ზეპირი კომუნიკაცია (ინტერაქცია, გაბმული ლაპარაკი)
- წერითი კომუნიკაცია

ენობრივი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება ხდება შემდეგი დავალებებით:

1. სხვადასხვა ტიპის გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოებით (მაგ., რამდენად ახერხებს მოსწავლე: სწორი ფორმის ამოცნობას; ფორმის/კონსტრუქციის შეცვლას ნიმუშის მიხედვით; შეცდომების ამოცნობა-გასწორებას; სინონიმებისა და ანტონიმების დაკავშირება/მოფიქრებას; ნაკლულ ტექსტში სიტყვების ჩასმასა და სხვა);

2. სხვადასხვა ტიპის <u>საკითხავი და მოსასმენი ამოცანების გადაჭრით</u> (მაგ., შემოხაზე სწორი ვარიანტი; მონიშნე, სწორია თუ არა; იპოვე სწორი თანამიმდევრობა, ამოიცანი უცნობი სიტყვები კონტექსტის მიხედვით და სხვა);

3. სხვადასხვა ტიპის <u>ზეპირი აქტივობის შესრულებით</u> როგორც დამოუკიდებლად, ისე მეწყვილესთან ერთად ან ჯგუფურად (მაგ., დიალოგის გათამაშება მეწყვილესთან ერთად; მინიინტერვიუები; აღწერა-დახასიათება; საკუთარი თავის ან სხვის შესახებ საუბარი; თანაკლასელების გამოკითხვის გზით კონკრეტული კითხვარების შევსება და შემდეგ ამ კითხვარებზე დაყრდნობით ინფორმაციის გადაცემა და სხვა);

<u>წერითი და ზეპირი</u> დავალებებისათვის მნიშვნელოვანია, შემოწმდეს:

- პირობასთან შესაბამისობა (იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს);
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები (მაგ., გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას; საუბრობს გარკვევით; აზრის გადმოცემისას იცავს თანმიმდევრულობას და ა.შ.)
- ენობრივი უნარ-ჩვევები (სწორად იყენებს ნასწავლ ზმნებს; ადეკვატურად იყენებს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებსა და შესაბამის ენობრივ ფორმებს; იყენებს ნასწავლ ლექსიკას და ა.შ.);
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევები (იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით; არ უფრთხის შეცდომებს და ა.შ.).

ხმამაღალი კითხვისთვის მნიშვნელოვანია, შემოწმდეს: კითხულობს თუ არა:

- უშეცდომოდ და შეუფერხებლად;
- გარკვევით და მკაფიოდ;
- გამომსახველობით — შესაბამისი ინტონაციით, სასვენ ნიშნების მართებული გამოყენებით და ა.შ.

ჩუმი კითხვისთვის მნიშვნელოვანია, რამდენად შეუძლია მარტივი საკითხავი ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა.

გთავაზობთ კონკრეტული შეფასების სქემებს, რომლებიც დაგეხმარებათ, რა შემთხვევაში, როდის და როგორ შექმნათ მსგავსი სქემები.

ნიმუში 1: (საანბანო პერიოდში)

პირველი თემა (ანბანი)	**ათვისებულია**	**ათვისების პროცესშია**	**ასათვისებელია**
კითხვა			
ასოების ცნობა და გახმოვანება			
კითხვის მოქნილობა (სავარჯიშო ტექსტების დამოუკიდებლად წაკითხვა)			
კითხვა-გაგება (სიტყვების, წინადადებების დაკავშირება შესაბამის სურათთან)			
წერა			
ოთხხაზოვან სისტემაში ასოს ჩაწერის წესების დაცვა (განლაგება, ზომა და მიმართულება)			
სიტყვების სწორად გამოწერა			
ცალკეული სიტყვებისა და წინადადებების გადაწერა			
ლექსიკა			
ძირითადი ფერები (რა ფერისაა?)			
თვლა 1-დან 10-მდე (რამდენია?)			
ყვავილები			
ცხოველები			
ნივთები			
ბუნების მოვლენები (მზე, ცისარტყელა, ღრუბელი)			
კითხვებზე პასუხი			
ვინ არის?			
რა ჰქვია?			
როგორია? – დიდი, პატარა, გამხდარი, მსუქანი...			

მოსწავლეთა შესაფასებლად შეგიძლიათ, გამოიყენოთ ის ტიპური სავარჯიშოები, რომელთაც სწავლების პროცესში იყენებდით.

ნიმუში 2: (ზეპირმეტყველების შეფასების სქემა — მონოლოგური საუბარი: <u>დავალება:</u> მოსწავლემ უნდა ისაუბროს წიგნში მოცემული სურათის შესახებ (თემა – ვინ ცხოვრობს ამ სახლში; გვ. 65)

ქულები: 0 = ვერ აკმაყოფილებს
1 = ნაწილობრივ აკმაყოფილებს
2 = სრულად აკმაყოფილებს

	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
• აღწერს, როგორია სახლი (რამდენსართულიანია, რა აქვს? რა ხდება პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე); • ასახელებს და აღწერს ოთახებს, ავეჯს, ნივთებს; • წარმოსახვით საუბრობს იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ამ სახლში ცხოვრობენ (რა ჰქვიათ, რამდენი წლისანი არიან, ვინ ჰყავთ ოჯახში, სადაურები არიან და ა.შ.).	0 – 1 – 2
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
• გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას; • საუბრობს სწორად და გარკვევით; • აზრის გადმოცემისას იცავს თანმიმდევრულობას.	0 – 1 – 2
ენობრივი უნარ-ჩვევები	
• სწორად იყენებს სახელისა და ზმნის ნასწავლ გრამატიკულ ფორმებს; • სწორად იყენებს ენობრივ კონსტრუქციებს; • იყენებს თემაში შესწავლილ ლექსიკას.	0 – 1 – 2
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
• იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით (ნასწავლი ლექსიკის ფარგლებში ხმარობს სინონიმებსა და ანტონიმებს; არ ერიდება შე-დარებით რთული ფორმებისა და კონსტრუქციების გამოყენებას); • არ უფრთხის შეცდომებს.	0 – 1

ნიმუში 3: ზეპირმეტყველების შეფასების სქემა — ინტერაქცია (დიალოგური საუბარი): <u>დავალება:</u> ერთმა მოსწავლემ მეორეს უნდა გააცნოს თავისი მეგობარი.

ქულები: 0 = ვერ აკმაყოფილებს
1 = ნაწილობრივ აკმაყოფილებს
2 = სრულად აკმაყოფილებს

	I მონაწილე	**II მონაწილე**
შეფასების კრიტერიუმები		
• სათანადოდ რეაგირებს კითხვა-პასუხზე (0 – 1 – 2)		
• რეპლიკები გასაგებია (0 – 1 – 2)		
• საუბრობს გარკვევით და ხმამღლა (ინტონაცია, ხმის ტონი, მიმიკა-ჟესტიკულაცია) (0 – 1 – 2)		
• იყენებს შესაბამის ფორმულებს (0 – 1)		
• სწორად იყენებს ნასწავლ გრამატიკულ საკითხებს (კუთვილებითობისა და სადაურობის გამოხატვა; აქვს/ჰყავს ზმნებს, ნაცვალსახელებს) (0 – 1 – 2)		
• ავლენს ფანტაზიას, ენობრივ გაბედულობას (0 – 1)		0 – 1

ნიმუში 4: (წერითმეტყველების შეფასების სქემა; დავალება: მოსწავლემ უნდა დაწეროს საკუთარი ქალაქის/სოფლის შესახებ;

ქულები: 0 = ვერ აკმაყოფილებს
1 = ნაწილობრივ აკმაყოფილებს
2 = სრულად აკმაყოფილებს

	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
• ასახელებს, სად ცხოვრობს და რა ჰქვია; რომელი ტრანსპორტი დადის იქ; რა არის ქალაქში/სოფელში; • აღწერს როგორი ქალაქია/სოფელია; როგორი ქუჩები და სახლებია იქ; • ასახელებს, სად ცხოვრობს იქ, როგორ უბანში/ქუჩაზე, როგორ სახლში.	0 – 1 – 2
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
• გასაგებად გადმოსცემს ინფორმაციას; • აზრის გადმოცემისას იცავს თანმიმდევრულობას.	0 – 1 – 2
ენობრივი უნარ-ჩვევები	
• სწორად იყენებს სახელისა და ზმნის ნასწავლ გრამატიკულ ფორმებს; • სწორად იყენებს ენობრივ კონსტრუქციებს; • იყენებს თემაში შესწავლილ ლექსიკას.	0 – 1 – 2
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
• იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით (ნასწავლი ლექსიკის ფარგლებში ხმარობს სინონიმებსა და ანტონიმებს; არ ერიდება შედარებით რთული ფორმებისა და კონსტრუქციების გამოყენებას);	0 – 1

მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად და სასწავლო პროცესში აქტიურად ჩასართავად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეფასების რუბრიკის შემუშავებაში მოსწავლეთა მონაწილეობას. ურთიერთთანამშრომლობის გარდა, ამ პროცესებში მოსწავლეთა თანამონაწილეობა აყალიბებს მათში თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარ-ჩვევებსაც.

დანართი

1. პროექტები

მარტივი ინსცენირებების მოწყობა საკითხავი ტექსტების მიხედვით.

1. სამი დათვის ზღაპარი
2. წითელქუდა
3. ჯანი როდარის გაცოცხლება
4. თეთრი ბელი და ფერადი ყინულოვანი ოკეანე

<u>მარტივი მინიპროექტები პატარა ასაკის მოსწავლეებისათვის:</u>

1. გავიცნოთ ერთმანეთი. მოსწავლეები ირჩევენ რამდენიმე კლასელს (მაგ., 3 გოგოს და 3 ბიჭს). ერთ ფურცელზე დააწებებს საკუთარ სურათს (ან დახატავს) და ასევე ხატავენ შერჩეულ კლასელებს. აფორმებენ და წარადგენენ კლასის წინაშე ზეპირად (მე ვარ ბიჭი, მე მქვია ...; ეს არის გოგო/ბიჭი, მას ჰქვია ...). საჭიროებისამებრ, მასწავლებელი ეხმარება მათ შეკითხვების დასმით.
2. საკუთარი გენეალოგიური ხის გაკეთება და წარდგენა კლასში.
3. მოსწავლეები აკეთებენ საკუთარი ოჯახის წევრების ალბომს. აფორმებენ და წარადგენენ კლასის წინაშე ზეპირად (ეს არის დედა, მას ჰქვია... ეს მამაა, მას ჰქვია... ის არის ჩემი ძმა...). საჭიროებისამებრ, მასწავლებელი ეხმარება მათ შეკითხვების დასმით.
4. დაბადების დღის იმიტირება (საჩუქრების / მისალოცი ბარათის დამზადება, სიმღერა, მილოცვა...)
5. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით აკეთებენ ყვავილების ჰერბარიუმს. მოსწავლეები აგროვებენ თითო-თითო ყვავილს (რაც იმ დროს იქნება შესაძლებელი), ახმობენ და აკრავენ ალბომში.
6. გაზაფხულის ბარათის შექმნა. მოსწავლეები ხატავენ (მზე, ფოთოლი, ია, ღრუბელი, სოკო, ჭიამაია...), აფერადებენ, შემდეგ ამოჭრიან და თეთრ ქაღალდზე ქმნიან კომპოზიციას. შემდეგ აფორმებენ, მასწავლებლის დახმარებით აწერენ საკუთარ სახელს და წარადგენენ კლასის წინაშე.
7. კომპოზიციების შექმნა. მოსწავლეები ჯერ ხატავენ, აფერადებენ, შემდეგ ამოჭრიან და თეთრ ქაღალდებზე ცალ-ცალკე აწებებენ – ხილს ცალკე ფურცელზე, ბოსტნეულს ცალკე. ქვემოთ, მასწავლებლის დახმარებით მიაწერენ, რა რა არის. შემდეგ აფორმებენ და წარადგენენ კლასის წინაშე.
8. ანბანური (ან თემატური) ლექსიკონის გაკეთება ნახატებით.
9. ჩემი საყვარელი ზღაპარი – აირჩევენ და ხატავენ ნასწავლი ზღაპრებიდან (ტექსტებიდან) მისთვის ყველაზე საინტერესო (ან საყვარელი) ზღაპრის ერთ-ერთ ეპიზოდს (ან ზღაპრის გმირებს, ან საყვარელ პერსონაჟს...). დასრულებულ ნახატზე მიაწერენ, რა დახატეს (მაგ., ეს არის დათვი... ის ცეკვავს, მირბის...). შემდეგ წარადგენენ კლასის წინაშე, აღწერენ. ბოლოს გამოფენენ კლასში.
10. ჩემი წიგნი – სხვადასხვა თემატიკითა და შინაარსით.

11. „მრგვალი მაგიდის მოწყობა“ თემებზე:

- ✓ პეპი უფრო მხიარულია თუ კარლსონი?
- ✓ სამი დათვის ზღაპარი უფრო საინტერესოა თუ წითელქუდა?
- ✓ რომელია ყველაზე სწრაფი ტრანსპორტი?

<u>მარტივი მინიპროექტები შედარებით უფროსი ასაკის მოსწავლეებისათვის (თუმცა, არ გამოირიცხება პატარების თანამონაწილეობაც):</u>

1. პანტომიმის თეატრი – (მოსწავლეები ასახიერებენ და სხვებმა უნდა გამოიცნონ. მაგ., ყოველდღიური აქტივობები თემისათვის "ორშაბათიდან ორშაბათამდე").
2. მინიინტერვიუების მოწყობა – რა გქვია, რამდენი წლის ხარ, რა გიყვარს, რა არ გიყვარს, ვინ გყავს / რა გყავს, რომელ საათზე რას აკეთებ...
3. ჩემი გამოფენა (ერთ დღეს ერთი ჯგუფი მოაწყობს თავისი ნახატების ან პლასტელინით გამოძერწილი ნაკეთობების გამოფენას, მეორე დღეს მეორე ჯგუფი...). ჯერ თავად წარადგენენ საკუთარ ნაშრომებს (აღწერენ...), საუბრობენ ჯგუფის სხვა წევრების ნამუშევრებზე. შესაძლებელია, სხვა ბავშვებმა მოამზადონ პატარ- პატარა ინტერვიუები მათთან და ა.შ.
4. ჩემი გაკვეთილების ცხრილი – მოსწავლეები ადგენენ სასურველი გაკვეთილების ცხრილს და აფორმებენ ნახატებით. ადარებენ ერთმანეთისას, ასახელებენ მსგავსება- განსხვავებას. შესაძლებელია, შევთავაზოთ ცხრილის შედგენა სხვა კრიტერიუმითაც, მაგ., ყველაზე ცუდი ცხრილი, ყველაზე სასაცილო და ა.შ.
5. წელიწადის დროებზე გასავარჯიშებლად:

   - ✓ ჯგუფებად იყოფა კლასი. თითო ჯგუფში 12 ბავშვია თვეების რაოდენობის შესაბამისად. თითო ბავშვი თითო თემას წარმოადგენს. შესაძლებელია, ინსცენირების მოწყობაც (შესაბამისი ტანსაცმელით, სიმბოლიკით, აქსესუარებით, შესაძლებელია დაიხატოს კიდეც სურათებზე (მაგ., ხილი, ყვავილები და ა.შ. რისი მოძიებაც გაჭირდება) და მიეკრას ტანსაცმელზე. მთავარია, რომ თითოეულმა უნდა წარმოადგინოს კონკრეტული თვე და დაახასიათოს. სხვა ჯგუფმა უნდა გამოიცნოს, რომელია. ჯგუფები შეიძლება შეეჯიბრონ იმის მიხედვითაც, რომელი ჯგუფი უფრო მეტ ლექსს/გამოცანას იტყვის. ვის რომელი თვე უყვარს და რატომ? ვის როდის აქვს დაბადების დღე.
   - ✓ <u>თამაში ბურთით:</u> მოსწავლეები სხდებიან წრეზე. თითო მოსწავლე თითო თვეა. მკერდზე მიკრული აქვთ ფურცლები, სადაც წერია თვის დასახელება. ვისაც გადაუგდებენ ბურთს, ის ამბობს რომელი დროა და რა არის/რა ხდება ამ თვეში (მაგ., იანვარი არის ზამთრის თვე. იანვარში მოდის თოვლის პაპა, ახალი წელი...; მაისი არის გაზაფხულის თვე. მაისში არის წვიმა და მზე, არის ცისარტყელა. მაისში არის ვარდი... და ა.შ.). თამაშს იწყებს მასწავლებელი. მთავარია, რომ მოსწავლემ დაასახელოს სეზონი და თუნდაც ერთი ნიშანი.

6. გამოფენის მოწყობა – ნახატები და ნაკეთობები სხვადასხვა თემაზე (წელიწადის დროები, ცხოველები, მწერები, საყვარელი სათამაშოები...).

7. ამინდზე სამუშაოდ – ყოველი კვირის ბოლოს (ჯგუფები ან წყვილები) ადგენენ მომდევნო კვირის ამინდის პროგნოზს და კიდებენ "განცხადებების დაფაზე". მორიგ შეხვედრაზე ადარებენ, ვისი პროგნოზი დაემთხვა და ვისი – არა.
8. თამაშები (სივრცეში საორიენტაციოდ):

   - ✓ დამალობანა – შემდეგ აღწერა, ვინ სად იყო (-ის მარჯვნივ/მარცხნივ/ წინ/ უკან, ზევით/ქვევით)
   - ✓ „წადი მარჯვნივ ...";
   - ✓ „გაშეშდი" – შემდეგ მასწავლებელი ირჩევს ერთს, რომელმაც უნდა თქვას, ვინ სად დგას.
   - ✓ თვალდახუჭული ორიენტირება კლასში მასწავლებლის ან კლასელის ინსტრუქციის მიხედვით.

9. ხატვა ინსტრუქციით – სახლის მარჯვნივ დგას ბიჭი. სახლის მარცხნივ დგას გოგონა. სახლის წინ არის ძაღლი. სახლის უკან არის ხე. ზემოთ არის ღრუბელი. ღრუბლის ქვემოთ არის მზე და სხვა.
10. ლოტო – ცალკეული სიტყვებით წინადადებების აწყობა (შესაძლებელია, შეჯიბრის მოწყობა: ვინ მეტ წინადადებას ააწყობს მოკლე დროში და სწორად)
11. თამაშები აღწერა/დახასიათებისათვის: „გამოიცანი, რა არის/ვინ არის" (ცხოველების, ფრინველების, საგნების, კლასელების აღწერა) სხვადასხვა ლექსიკური თუ ენობრივი კონსტრუქციების გასააქტიურებლად (-ზე დიდი/პატარა...; არის ...; ჰყავს/აქვს..., ცხოვრობს..., აცვია..., რას აკეთებს? როგორია? რა ფერია?); „აფრინდა, აფრინდა ..."
12. ალბომის გაკეთება (ცხოველებზე / ფრინველებზე / წელიწადის დროებზე და სხვა) და წარდგენა კლასში.
13. ანბანური (ან თემატური) ლექსიკონის გაკეთება ნახატებით.
14. ჩემი წიგნი
15. მხიარული თეატრი – ნასწავლი ზღაპრის გმირების იმიტირება/წარდგენა – (მაგ., მე პეპი ვარ. ესენი ჩემი მეგობრები არიან. ეს არის... ; მე კარლსონი ვარ. მიყვარს შოკოლადი ...); ნასწავლი ლექსებისა და სიმღერების თქმა.
16. ოცნების ქალაქი (ასევე უფრო საინტერესო და ნაყოფიერი იქნება ჯგუფებად მუშაობის შემთხვევაში):

   - ✓ ხატავენ ქალაქს (შესაძლებელია, ცალკეული სურათების გამოყენებაც. ასეთ შემთხვევაში ისინი ქმნიან ერთ კომპოზიციას საკუთარი ნახატისა და სურათის გამოყენებით).
   - ✓ შესაძლებელია, გამოვიყენოთ პლასტელინებიც.
   - ✓ შესაძლებელია, ამ პროცესში ჩაერთოს ხატვის მასწავლებელი, დაინტერესებული მშობელიც (თანამონაწილეობა სკოლისა ოჯახთან).
   - ✓ დასრულებული პროექტების გამოფენა/ წარდგენა კლასში.
   - ✓ შემდეგ მათი გამოყენება შემდგომი საჭიროებისამებრ.

17. მსგავსი პროექტის გაკეთება – „ჩემი მაღაზია".
18. სახალისო და სასაცილო ტესტების მომზადება ბავშვებისთვის – „როგორი ხარ?"

- ✓ ტესტები შედგენილია არჩევითი პასუხების პრინციპით (არასოდეს, იშვიათად, ხშირად, ყოველთვის; ჯერ რას აკეთებ და შემდეგ რას აკეთებ; როდის/რომელ საათზე რას აკეთებ; ძილის წინ/სადილის შემდეგ...).
- ✓ ბოლოს მასწავლებელი აჯამებს ქულებს და მოსწავლეები კითხულობენ შესაბამის აღწერილობას – ვინ როგორია (ამ აღწერილობებს, რა თქმა უნდა, ადგენს მასწავლებელი).

2. დამატებითი რესურსები

საკითხავი მასალა:

<u>გამოცანები და გასარითმები</u>

ვის შვილს რა ჰქვია?

თან დასდევენ ყოველგან,
აქ არის თუ იქ არის,
ცხვარსა – კრავი – ბატკანი,
თხას კი თავის... თიკანი.

მარჯვე ბავშვი იქნები,
თუკი უცებ იტყვი:
დიდი სპილოს ნაშიერს -
შვილს რა ჰქვია – ... სპლიყვი.

აბა, გამოიცანი,
ჩემო ოთარ, ოთია:
თხის შვილს ჰქვია თიკანი,
ხოლო ჯიხვის – ... ფოთრია.

ქორს სიმაღლე ზეცისა
არ აშინებს სრულებით,
ქორის ბარტყებს რა ჰქვიათ,
რა ჰქვიათ და... ქულები.

ბამბის ქულები ხართო,
– ყვავმა შვილებს ახარა.
შაშვის შვილი ბარტყია,
ყვავისა კი – ... ბახალა!

თუ შეეჭიდე, ნიადაგ
დიდი ჯახირი მოგელის,
ლომის და ვეფხვის ლეკვებსა
ორთავეს ჰქვია – ... ბოკვერი...

მწერი ნაზი, ფაქიზი,
უნდა მცირე კვება,
პირველ დღეს რომ იბადება,
მესამე დღეს კვდება (პეპელა)

ნათია ჯანაშია

***
როცა თოვს, ციდან რა ცვივა?
არ უნდა ბევრი ფიქრი,
ბამბის პატარა ფთილას ჰგავს,
გამოიცანით! (ფიფქი)

***
აღმართ-აღმართ დავატარებთ,
როცა ფიფქი ცვივა ციდან,
დაღმართებში არხეინად
დაგვაქროლებს. რაა? (ციგა)

***
თოვლისაგან გავაკეთე,
რა ახურავს თავზე? – ტაფა!
ცხვირი კურდღელს მოუპარავს,
თქვით, რა არის? (თოვლის პაპა)

***
ყინვისაგან როცა წვეთებს
ეყინება ბოლოები,
საწვეთურებს რა ჰკიდია?
გამჭვირვალე?.. (ლოლუები)

გივი ჭიჭინაძე

ჭარბად ტვირთს მიათრევს ველად,
გამრჯე მწერი ჭ... (ჭიანჭველა)

ილია სიხარულიძე

ნაწვიმარზე ამოვდივართ
და ცალ ფეხზე სწორად ვდგებით;
ქოლგა მუდამ მიტომ გვხურავს,
რომ სულ წვიმას ველოდებით! (სოკო)

ვასილ გულეური

***
დღისით წიგნებს კითხულობს,
არ შორდება ფუღუროს.
ღამით გარეთ დაფრინავს,
ვარსკვლავებს რომ უყუროს. (ბუ)

***
ქსელს ამზადებს იმისთანას,
ვერც ხერხი ჭრის და ვერც დანა...
ირგვლივ ისე შემოფინა,
ბუზიც ველარ შემოფრინდა! (ობობა)

<u>ასოებზე სამუშაოდ:</u>

გივი ჭიჭინაძე (ასოხატულა კუნწულები)

*
ჭინჭრებს შუა ჭივჭავები
ჭანჭურს ჭამენ ჭიანაჭამს,
ჭრიჭინები გაჭყეპილან,
ჭინჭილებით სვამენ მაჭარს.

*
ტატას ბატი ფარფატა
ტალახ-ტალახ ტანტალებს.

*
შარიშურა შინდიანში
შტოზე შეჯდა შვიდი შაშვი,
შეეხვეწა შაქრო შიოს:
– შვილო, შურდულს შეეშვიო.

*

ცივი ცვარი ცვივა ციდან,
სცივა, სცივა ციდა ცინდალს.
ცხიკ და ცხიკო! – აცემინებს,
ციცქნა ცხვირი გაუცივდა.

*

ზარი ზანზარებს უზარმაზარი,
ზარმაც ზაზუნებს დასცა თავზარი.

*

ქრის, ქრის, ქრის
ქარი სექტემბრის.
ფარფატელა ჭადრის ფოთოლს
მიაქანებს ძირს.

*

მელამ მოგაგნო მამალო,
მურას მოუხმე მალეო!
მანამ მშველელი მოგივა,
მაყვლნარში მიიმალეო.

*

ჩუმად გამცალა ყვინჩილამ
ჩარდახში არა დამრჩა რა...
ჩირი, ჩურჩხელა, ჩამიჩი
ჩანთით შინ წააჩანჩალა.

*

ბილიკ-ბილიკ ბურტყუნებს
ბრიყვი ბელი – ბელუკა:
- ბანით ვჯობნი ბულბულებს,
ბეჭებით კი – ბერმუხას.

*

გუგუ – გუგუ! –
გუგულმა
გულჭრელათა გვარისამ,
გამარჯობა გვისურვა,
გული გაგვიხალისა.

*

წვიმიანში გაწეწილი
წისქვილის წინ წუხს წიწილი,
- წია, წია! – მწარედ წივის,
წნორის წნელზე წაჰკრა წვივი.

*

ხევ-ხევ ხერხი მოცუხცუხებს
აცახცახებს ვერხვებს, მუხებს.

*

ფრთაფოფინა ფარშავანგი
ფანტავს ფერად ფერებსაო,
ფრინველეთის დედოფლობას
ფრიად შეიფერებსაო.

*

ყანჩა – ყუნტა აყლაყუდა,
რიყე-რიყე წალაყუნდა.
აყიყინდნენ ბაყაყები,
- გადაყლაპავს ბაყბაყდევი!

*

ღობის თავზე ვეღარ ვხედავ
ღუდღუდელა ღოღნაშოსა!-
ოღროჩოღრო ღელის გაღმა
შეღრუტუნა ღორმა ღორსა.

*

ძეძვის ძირს მიძინებულმა
ძლივს გაიღვიძა ენძელამ.

*

ჯანსუღმა და ჯმუხმა ჯარჯიმ
ჯადოქარზე გაიმარჯვეს,
ჯახი-ჯუხი აღარ გააქვს
ჯოხის ხმლებს და აბჯარ-ხანჯლებს.

*

ჟოლოს ჟვერიდან
ჟინჟღლი ჟონავს,
ჟანგისფერ ჟირაფს შეაჟრჟოლა.

*

ენაჭიკჭიკა ელენე
ექვს სტუმარს ერთად ელისო:
ეკუნას, ელგარს, ექვთიმეს,
ევას, ემზარს და ელისოს.

*

თეთრ თელასთან ფთილაა თუ
თეოს თეთრი თრითინა თვლემს.

*

ნამნაპკური ნანას ყანა
ტანს იმშვენებს თანდათანა.

მზია ჩხეტიანი

კვირტი

-ჭიტა, კვირტმა თვალი ჭყიტა,
მერე ცვარით გაიჭყიპა,
გაიბერა, გაიბურცა,
- ბუჰ!- გასკდა და გაიფურცლა.

<u>მარტივი საკითხავი ტექსტები 6-8 წლის მოსწავლეებისათვის:</u>

შეადგინა ნინო გორდელაძემ

კატო და ანბანი

კატო ანბანს სწავლობს და სიტყვებს ასახელებს: ა-ზე არის ატამი, შემდეგ მოდის ბუ, შემდეგია გოგრა, შემდეგ არის დათვი; ე-ზე არის ენძელა, შემდეგ მოდის ვარდი. შემდეგია ზარი, შემდეგ არის თაგვი. ი-ზე არის ია, შემდეგ მოდის კუ, შემდეგია ლომი. შემდეგ არის ... დაეხმარე კატოს!

უპასუხე შეკითხვებს:

1. დაითვალე, რამდენ სიტყვას ასახელებს კატო?
2. ჩამოთვალე ეს სიტყვები.
3. შენ რა სიტყვით დაეხმარე კატოს?

ლია და გია თამაშობენ

ლიას ჩანთაში აქვს სასკოლო ნივთები, გიას კი ჩანთაში სათამაშოები აქვს. გია სწორად ასახელებს, რა აქვს ლიას ჩანთაში – კალამი, წიგნი, რვეული, ფანქარი. ლია ვერ ასახელებს სათამაშოებს.

გიას ჩანთაში დიდი ბურთი აქვს, ლია კი ასახელებს კომბოსტოს. გიას ჩანთაში ყვითელი მანქანა აქვს, ლია კი ასახელებს სტაფილოს.

შემოხაზე სწორი პასუხი.

რას ასახელებს ლია? – ა) ყვავილს ბ) ბოსტნეულს გ) ხილს

რეზოს მენიუ

რეზო დილით რვა საათზე იღვიძებს, იბანს ხელ-პირს და საუზმობს. საუზმეზე ჭამს პურს, კარაქს, ყველს და სვამს ჩაის. ცხრა საათზე ბიჭი სკოლაში მიდის.

სამ საათზე რეზო ოჯახთან ერთად სადილობს. სადილზე პირველი საჭმელი არის წვნიანი. შემდეგ ჭამენ შემწვარ ხორცს და კარტოფილს. ბოლოს ჭამენ ვაშლის ნამცხვარს და შოკოლადს. რეზოს ძალიან უყვარს დიდ მაგიდასთან ჭამა.

რეზო საღამოს ცხრა საათზე ვახშმობს. ვახშამზე ის სვამს რძეს და ჭამს პურს, კარაქს და თაფლს.

იას შუადღე

პატარა ია ორ საათზე სადილობს. ის ჯერ წვნიანსა და შემწვარ კვერცხს ჭამს. შემდეგ კი სვამს ფორთოხლის წვენს და ჭამს ნამცხვარს.

სამ საათზე ია ტელევიზორში მულტფილმებს უყურებს, ოთხ საათზე კი თოჯინებთან თამაშობს.

– მე ვარ მასწავლებელი! – ამბობს პატარა ია.

– ეს სკოლაა. გადაშალეთ წიგნები! წაიკითხეთ! გამოდი დაფასთან!

ია ლაპარაკობს და ლაპარაკობს, თოჯინები კი იცინიან.

კლასელები

გია, ლია, რეზო და მზია კლასელები არიან. გია და რეზო სულ ერთად წერენ და ანგარიშობენ. მზია და ლია ერთად ცეკვავენ და მღერიან.

შუადღისას გია და რეზო ეზოში ბურთით თამაშობენ. მზიას და ლიას კი სახლში თოჯინებით თამაში უყვართ.

გიას და რეზოს ლურჯი ჩანთები აქვთ. მზიას და ლიას ჩანთები წითელია.

დილით ადრე კლასელები – ლია, რეზო, გია და მზია – სკოლაში ერთად მიდიან. ოთხივეს ძალიან უყვარს ხატვა, წიგნების კითხვა და ბუნება.

ბიჭი და გოგო

ლალი პატარა გოგოა. ლუკა პატარა ბიჭია. ლალის ძალიან უყვარს მუსიკა, ლუკას კი ბურთით თამაში უყვარს.

ორშაბათს სამ საათზე ლალის მუსიკის გაკვეთილი აქვს. გაკვეთილზე ლალი უკრავს და მღერის.

სამშაბათს ხუთ საათზე ლუკა ფეხბურთს თამაშობს. ლალის უყვარს ფეხბურთის ყურება. ის ლუკას თამაშს უყურებს. ლუკა კი ლალის მუსიკას უსმენს.

ლუკა და ლალი კლასელები არიან.

იას იები

გაზაფხულია. არ წვიმს. თბილა. ბავშვები ეზოში თამაშობენ. დღეს ხუთი მარტია. პატარა იას დაბადების დღე აქვს. იას უყვარს გაზაფხული იმიტომ, რომ წლის ამ დროს აქვს დაბადების დღე.

– რა კარგია გაზაფხული!

– რა კარგია მარტის თვე! – ამბობს ია.

ეზოში დიდი მხიარულებაა. მხიარული ბავშვები იცინიან. ბიჭები იას ბურთით თამაშობენ, გოგოები კი იას თოჯინებით. ერთ ლამაზ თოჯინასაც ია ჰქვია.

პატარა ია ცეკვავს და მღერის. ბავშვებიც მღერიან:

ია, ია, ია, ია
ლურჯია და ლამაზია,
გაზაფხულის ყვავილია,
რა პატარა, რა ნაზია...

აბა, გამოიცანი!

1. ლეილას ეზოში ხუთი შინაური ცხოველია: ერთი ცხოველი ღრუტუნებს, მეორე კნავის, მესამე ყეფს, მეოთხე ყროყინებს, მეხუთე ბღავის.

   რა ცხოველები ჰყავს ლეილას?

2. ერთ ტყეში ოთხი გარეული ცხოველია: დიდი ცხოველი დაბაჯბაჯებს, პატარა ცხოველი დახტის. ერთ ცხოველს გრძელი კუდი აქვს და დაცინცულებს. ერთი კი ყმუის და დაძუნძულებს.

   რომელი ცხოველები ბინადრობენ ამ ტყეში?

3. გურამის ეზოში სამი შინაური ფრინველია: ერთი ფრინველი ყივის, მეორე კაკანებს, მესამე სისინებს.

   რა ფრინველები ჰყავს გურამს?

4. ერთ ტყეში ოთხი გარეული ფრინველია: ერთი დიდი ფრინველი ღამით იღვიძებს და დილით იძინებს. ერთი პატარა ფრინველი სულ შავია! ერთ პატარა ფრინველს თავზე სავარცხელი აქვს! ერთი ფრინველი კი გრძელ ნისკარტს ხეს უკაკუნებს.

   რომელი ფრინველები ბინადრობენ ამ ტყეში?

რას რა ჰყავს?
ბატკანი ჰყავს ცხვარს,
ვირს ჩოჩორი ჰყავს,
ძაღლი ლეკვებს ზრდის,
ცხენი კვიცებს წვრთნის!

ხბოს პატრონობს ძროხა,
თხა კი თიკნებს უვლის,
რას აკეთებს ღორი?
თავის გოჭებს უვლის!

შეავსე, რას რა ჰყავს.

ცხვარს – ბატკანი
ვირს – ----------
ძაღლს – ----------
ცხენს – ----------

თხას – ----------
ძროხას – ----------
ღორს – ----------

საქართველოო ლამაზო!

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი
საქართველოო ლამაზო
„სხვა საქართველო სად არი?“

ცა ვარსკვლავებით ინთება,
ცა – არცა რისი სადარი
მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არი
დიდება, შენი დიდება
სხვა საქართველო სად არი?”

მინდვრები, ქართლის მინდვრები,
ქედები მხარგაშლილები
მთაში – ტყე დანაბინდები,
ტყეში – ქორბუდა ირმები
ბარად შრიალებს ჭადარი,
მზეს უმღერიან ჩიტები
მხარევ, მოსილო დიდებით,
„სხვა საქართველო სად არი?“

ანა კალანდაძე

მოდი, ვნახოთ ვენახი!
(ხალხური)

მოდი, ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი;
მიველ ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი.
მოდი, ვნახოთ თხა, რამ შეჭამა თხა;
მიველ ვნახე თხა, მგელმა ჭამა თხა.
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ მგელი, რამ შეჭამა მგელი;
მიველ ვნახე მგელი, თოფმა ჭამა მგელი.
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახოთ თოფი, რამ შეჭამა თოფი;
მიველ ვნახე თოფი, მიწამ ჭამა თოფი.
მიწამ თოფი, თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ მიწა, რამ შეჭამა მიწა;
მიველ ვნახე მიწა, თაგვმა ჭამა მიწა.
თაგვმა მიწა, მიწამ ჟანგი,
ჟანგმა თოფი, თოფმა მგელი,
მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახოთ თაგვი, რამ შეჭამა თაგვი;
მიველ ვნახე თაგვი, კატამ ჭამა თაგვი.
კატამ თაგვი, თაგვმა მიწა,
მიწამ ჟანგი, ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი, მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

ნაშიერებზე სამუშაოდ:



<u>დაშლილი რეგიონები:</u>




ხელვაჩაურები
ქობულეთი
ქედა
ანაგა
ზალეკი


ოლეგმინდი
ოლეგმინდი
ჩოხიჭალაური

ხონი
ტყიბული
ფოთი
ზესტაფონი
ხარაგაულიი
ბაღდათი
ვანი
საჩხერე
ქუთაისი
წყალტუბო
სამტრედია

ახმეტა
ყვარელი
თელავი
ლაგოდეხი
გურჯაანი
საგარეჯო
სიღნაღი
დედოფლისყარო

სტეფანწმინდა
ახალგორი
თიანეთი
დუშეთი
მცხეთა


წალკა
სიღნაღი
ყვარელი
ბოლნისი
მარნეული
გარდაბანი


ოსტინატოსანი
ცისფერი
ოქროსფერი
ვანი


ონდოლა
ბაზალეთი
ბოლნისი
ბაზალეთი
ბოლნისი
ონდოლა
ბაზალეთი
ონდოლა


ჯავა
ხაშურიქარულიგორიკასპი

მესტია
წალენჯიხა
ზუგდიდი
მარტვილი
სენაკი
ხობი
აბაშა

პირველი ნაწილი

გვ. 5, №7 (რვეულში):

	უ	თ	ო			ი	ა
		ხ	ე		თ	ე	ა
თ	ო	მ	ა				
				უ	ჩ	ა	

გვ. 7, №7 (რვეულში):

თ	უ	თ	ა				
	მ	ა	ი	მ	უ	ნ	ი
				მ	თ	ა	ა
თ	მ	ა		ნ	ა	ვ	ი
	თ	ა	ვ	ი			

გვ. 12, №4 (რვეულში):

ზებრა თმა ზარი ბუზი მაიმუნი მზე მთა

								მ	
								თ	
	მ	ა	ი	მ	უ	ნ	ი	ა	
	ზ			თ	ზ	ა	რ	ი	
ზ	ე	ბ	რ	ა					
						თ	მ	ა	

გვ. 19, №8 (რვეულში):

	მ	ა	მ	ა	ლ	ი			ლ
	ე	ნ	ძ	ე	ლ	ა		ვ	ო
	ლ		კ	ა	ლ	ა	თ	ა	ბ
	ი							რ	ი
ბ	ა	ლ	ი					დ	ო
			ბ	ე	ლ	ი		ი	

გვ. 35, №5 (რვეულში):

ო									ფ
ფ	ა	რ	შ	ა	ვ	ა	ნ	გ	ი
ო	ღ	რ	უ	ბ	ე	ლ	ი		ფ
ფ		დ	ე	ლ	ფ	ი	ნ	ი	ქ
ი					ხ	ე	რ	ხ	ი
		შ	ა	შ	ვ	ი			
ზ	ღ	ა	რ	ბ	ი				

გვ. 50, №1 (რვეულში):

ეს არის ბიჭი. ამ ბიჭს ლევანი ჰქვია. ეს გოგო ნატოა. ნატო ლევანის დაა. ნატოს გრძელი შავი თმა და მწვანე ფერის თვალები აქვს. ეს პატარა თეთრი ლეკვი ლევანისაა. მას ბიმი ჰქვია. ლევანს უყვარს ცხოველები, ნატოს კი ყვავილები უყვარს. განსაკუთრებით ენ-ძელები, იასამნები და წითელი ვარდები უყვარს. ლევანისა და ნატოს მამას შავი ფერის მანქანა ჰყავს, ლევანს კი ლურჯი ფერის ველოსიპედი ჰყავს.

მეორე ნაწილი

ვინ ცხოვრობს ამ სახლში?

გვ. 81, №3 (რვეულში):

შუა ოთახში (როგორი?) გრძელი მაგიდა დგას. (რასთან?) მაგიდასთან შვიდი (რის?) ხის სკამი დგას. (რაზე?) მაგიდაზე კი შვიდი (როგორი?) ხის თეფში, (რა?) კოვზი, დანა-ჩან-გალი და ჭიქა აწყვია. (რომელ?)ამ სახლში შვიდი (ვინ?) ჯუჯა ცხოვრობს.

გვ. 83, №5 (რვეულში):

ა) მეოთხე
ბ) პატარა მსუქანი გოგონაა.
გ) სამი
დ) კუთხის
ე) ახალგაზრდა ოჯახი
ვ) პატარა ბიჭთან ერთად

გვ. 88, №3 (რვეულში):

	პ	ი	რ	ს	ა	ბ	ა	ნ	ი
	კ		ტ						
ს	ა	ვ	ა	რ	ძ	ე	ლ	ი	ს
ა	რ		ხ						ა
წ	ა		ტ		თ	ა	რ	ო	ნ
ო	დ		ი						ა
ლ	ა	ა	ბ	ა	ზ	ა	ნ	ა	თ
ი		მ	ა	ც	ი	ვ	ა	რ	ი

ქალაქის ამბები

გვ. 71, №4 (წიგნში):

ანო და ვანო პატარა და ვიწრო ქუჩაზე ცხოვრობენ. ანოსა და ვანოს ქუჩაზე ცოტა მანქანა დადის. ანო ვანოს მეზობელია. ანოს სახლი ვანოს სახლის გვერდით დგას. ანოს სახლის პირველ სართულზე სურსათის მაღაზიაა. ვანოს სახლთან არის გადასასვლელი. იქვე დგას შუქნიშანიც. მეორე მხარეს ავტობუსების გაჩერებაა. ანო და ვანო სკოლაში ყოველთვის ერთად მიდიან. ისინი გადადიან გადასასვლელზე და ავტობუსით მიდიან სკოლაში.

გვ. 92, №1 (რვეულში):

		შ							მ		
		ა							ო		
გ	ა	დ	ა	ს	ა	ს	ვ	ლ	ე	ლ	ი
ა	ტ	რ	ო	ტ	უ	ა	რ	ი	დ		
ჩ		ე	შ	უ	ქ	ნ	ი	შ	ა	ნ	ი
ე		ვ			უ				ნ		
რ		ა			ჩ				ი		
ე		ნ		გ	ა	ზ	ო	ნ	ი		
ბ		ი									
ა											

გვ. 77, №5 (წიგნში):

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს
პოეტების ქალაქის მაცხოვრებლებს ძალიან უყვართ მცენარეები.	✓		
ამ ქალაქის ძველ უბანში მოხუცი პოეტები ცხოვრობენ.			✓
ქალაქს ერთი ლამაზი შადრევანი ამშვენებს.		✓	
თოკზე მოსიარულეთა ქალაქში მარტო ხუთსართულიანი სახლები დგას.		✓	
ამ ქალაქში ცნობილი ჯამბაზი – ალე ჰოპი ცხოვრობს.			✓
ასეთი უცნაური ქალაქი მეორე არ არსებობს.	✓		

გვ. 94, №2 (რვეულში):

ა) მე სკოლის გვერდით ვცხოვრობ.
ბ) ქუჩის კუთხეში დიდი ძაღლი წევს.
გ) ჩემს ქუჩაზე ტრანსპორტი არ დადის.
დ) მაღაზია აქვე ახლოსაა.
ე) ბებია სკოლის გვერდით ცხოვრობს.
ვ) ბიჭები მაიმუნის გალიასთან მიდიან.

გვ. 95, №3 (რვეულში):

ჩემს სახლს ქალაქის ცენტრში, პატარა და ვიწრო ქუჩაზე დგას. ქუჩის ორივე მხარეს ლამაზი ყვავილების გაზონებია. სახლი ვარდისფერი კედლები და ყავისფერი სახურავი აქვს. სახლს წინ პატარა ეზოა. სახლს უკან არის დიდი ბაღი. ბაღში ვაშლის, ატამისა და მსხალის მაღალი ხეებია. სახლს გვერდით საჩუქარების პატარა მაღაზიაა.

გვ. 96, №3 (რვეულში):

ჩემი სახლი ქალაქის გარეთ მდებარეობს. ქუჩასა და ჩემს სახლს შორის დიდი ტროტუარია. ტროტუარზე შუქნიშანი დგას. შუქნიშანთან გადასასვლელია. ჩემი სახლის გვერდით ეზოა. ეზოს ქვის ღობე აქვს. სახლის უკან დიდი ბაღია. ჩვენი ქუჩის მეორე მხარეს ავტობუსების გაჩერებაა. გაჩერებასთან დიდი მაღაზიაა. მაღაზიის თავზე ჩემი მეგობარი ცხოვრობს. ჩემს მეგობარს ორსართული სახლი აქვს.

ახალი წელია

გვ. 87, №3 (წიგნში):

1. ნამდვილი გაზაფხული იწყება 21 მარტიდან
2. ნამდვილი ზაფხული დგება 22 ივნისს
3. ნამდვილი შემოდგომის პირველი დღეა 23 სექტემბერი
4. ნამდვილი ზამთარი იწყება 22 დეკემბერს

გვ. 97, №8 (წიგნში):

რას აკეთებს ანოსა და ვანოს ოჯახი ახალ წელს?

ახალი წლის ღამეს მისაღებ ოთახში დიდ ნაძვის ხეს რთავენ. ბუხარს ანთებენ. ბავშვები ბუხართან სხდებიან და მოგიზგიზე ცეცხლს უყურებენ. ბებია და დედა სამზარეულოში გოზინაყს ამზადებენ, ანოს მამიდები საახალწლო სუფრას შლიან. მერე სუფრასთან სხდებიან და ერთმანეთს ახალი წლის მოსვლას ულოცავენ. ანო და ვანო ნაძვის ხის გარშემო ცეკვავენ და მღერიან. ანო და ვანო თოვლის პაპას, მათი მშობლები კი მეკვლეს ელოდებიან.

გვ. 98, №1 (წიგნში):

1. იტალიელები ახალი წლის ღამეს ფანჯრებიდან ძველ ნივთებს ყრიან და შემდებ ახალს ყიდულობენ.
2. ინგლისში შობის წინ ბავშვები სახლებში დადიან და საშობაო სიმღერებს მღერიან.
3. შოტლანდიაში ანთებენ ბუხარს, სხდებიან მის წინ და ახალი წლის მოსვლას ელოდებიან.
4. ესპანეთში ახალ წელს ყურძნით ხელში ხვდებიან. შემდეგ კი მეზობლები ერთმანეთთან სტუმრად დადიან.
5. ბერძნული ტრადიციით, ზუსტად 12 საათზე ოჯახის უფროსი ეზოში გადის და კედელს ბროწეულს ესვრის.
6. პოლონელები ახალ წელს ოჯახებში არ ხვდებიან. ისინი ქუჩებში გადიან და სახალხო ღონისძიებებს მართავენ.
7. ჰოლანდიაში ახალი წლის ღამეს ბავშვები სანტას ცხენისთვის ხის ფეხსაცმელებში სტაფილოსა და თივას დებენ.
8. ჩრდილოეთ ინდოეთში ახალ წელს სახლების სახურავებზე პატარა კოცონებს ანთებენ.
9. იაპონელები ახალ წელს სიცილით ხვდებიან. შემდეგ კი საზეიმოდ მორთულები ქუჩაში გამოდიან.
10. ბრაზილიელები ქვიშიან პლაჟზე უამრავ სანთელს ანთებენ.

გვ. 134, №2 (რვეულში):

მსოფლიოში ახალი წელი ყველა განსხვავებულად აღნიშნავს. ზოგი ძველ ნივთებს აგდებს ფანჯრებიდან, ზოგი კი წყალი ასხამს. შოტლანდიელები ბუხარზე ცეცხლი ანთებენ და მის წინ ჯდებიან. თოვლის პაპა მოდის და საჩუქარებს ნაძვის ხეს ქვეშ დებს.

გვ. 100, №3 (წიგნში):

	სწორია	**არ არის სწორი**	**არ ჩანს**
1. სანტა 31 დეკემბერს მიდის ბავშვებთან საჩუქრებით.		✓	
2. თეთრწვერა და წითელლოყება სანტას პატარა ჯუჯები ეხმარებიან.			✓
3. სანტა საჩუქრებს ყოველთვის ნაძვის ხის ქვეშ აწყობს.		✓	
4. ის ბუხრიდან ჩადის სახლში.	✓		
5. სანტას ირემს რუდოლფი ჰქვია.			✓

გვ. 134, №2 (რვეულში):

ჩინეთში ახალ წელს ყველა ოჯახთან ერთად ხვდება. სახლს წითელი ფერებით რთავენ. სახლებსა და ქუჩებში წითელ ფარნებს ანთებენ. აკეთებენ ქაღალდის დრაკონებს. ჩინელები ნაძვის ხეს იშვიათად რთავენ. იქ არც თოვლის პაპაა პოპულარული. ჩინეთში ახალ წელს ხმაურით ხვდებიან. მთელი ოჯახი ჩინურ დომინოს თამაშობს. შემდეგ ქუჩაში გადიან და მხიარულობენ. საახალწლო სუფრის აუცილებელი ატრიბუტია თევზი და ჩინური პელმენი. მიღებული არ არის საათების ჩუქება.

გვ. 135, №3 (რვეულში):

	სანტა და შავი პიტი	**პერ-ნოელი**	**ბეფანა**	**ნისსი**
სადაურობა	სანტა – ჰოლანდიელი შავი პიტი – ესპანელი	ფრანგი	იტალიელი	ნორვეგიელი
გარეგნობა / ჩაცმულობა	გრძელი თეთრი თმა და წვერი წითელი მოსასხამით	თეთრწვერა, აცვია ხის ფეხსაცმელი.	----------	პატარა გნომი

გადაადგილება	**ჯერ გემით, ქალაქში ცხენით**	**ვირით**	**ცოცხით**	**----------**
საჩუქრები	საჩუქრებს შავი პიტი არიგებს.	კალათაში უწყვია. ბუხართან დატოვებულ ფეხსაცმელებში აწყობს	საძინებელში, ბუხარში დაკიდებულ წინდებში აწყობს.	----------
დამატებითი ინფორმაცია	ყველა ბავშვის სახელი, მისამართები და საჩუქრები დიდ წიგნში უწერია. შავი პიტი სანტას დამხმარეა.	სახლში ჩადის საკვამურიდან	კარებს ოქროს გასაღებით აღებს და ისე შედის სახლში	სანტას დამხმარე. ცხოვრობს კარადაში. მეგობრობს ცხოველებთან. უყვარს გემრიელი საჭმელი და ტკბილეული.

ცხოველთა სამყაროში

გვ. 113, №7 (წიგნში):

	დიალოგში	**ლექსში**	**ორივეში**
1. ჭიამაია პატარა მწერია.	✓		
2. ჭიამაიას გარეშე ცაზე ღრუბლები არ მიდიან.		✓	
3. ჭიამაიამ იცის, როგორი ამინდი იქნება.			✓

გვ. 144, №2 (რვეულში):

ბუზი და ფუტკარი

ბუზსა და ფუტკარს გამჭვირვალე ფრთები აქვთ. ბუზს ორი ფრთა აქვს, ფუტკარს კი – ოთხი. ორივე პატარა მწერია. პირზე ორივეს აქვს პაწაწინა ხორთუმი. ფუტკარს ხორთუმზე პატარა ნესტარიც აქვს. ფუტკარი სულ შრომობს, ბუზს კი შრომა არ უყვარს. ბუზი სულ შავი ან მუქი ყავისფერია. ფუტკარს კი შავ ტანზე ყვითელი ზოლები აქვს.

გვ. 146, №2 (რვეულში):

თეთრი პეპლები
(თამარ ფხაკაძის მიხედვით)

ძალიან დიდი ხნის წინ ყველა პეპელა თეთრი იყო. ერთხელ კეთილი ფერია შუა მწვანე მინდორში დაჯდა და პეპლების გაფერადება დაიწყო... ზოგი პეპელა წითლად შეღება, ზოგი – ყვითლად, ზოგი კი ცისფრად. ყოველი მხრიდან მოფრინდნენ თეთრი პეპლები. ისინი თოვლის ქათქათა ფიფქებს ჰგავდნენ! ზოგი აფრიკიდან მოფრინდა, ზოგი – ამერიკიდან, ზოგი კი – ავსტრალიიდან... პეპლებს ძალიან უნდოდათ გაფერადება. მალე ფერად-ფერადმა პეპლებმა არემარე ერთი-ორად გაალამაზეს!

გვ. 153, №5 (რვეულში):

– როგორ ხარ, მაკა?
– ავად ვარ.
– რატომ, რა გაწუხებს?
– თავი მტკივა და სიცხე მაქვს.
– სურდოც გაქვს?
– არა, სურდო არ მაქვს.

ორშაბათიდან ორშაბათამდე

გვ. 125, №6 (წიგნში):

ა) თომა ჯერ სწავლობს გაკვეთილებს და შემდეგ თამაშობს.
ბ) თომა ვახშმის წინ უყურებს ტელევიზორს.
გ) თეა ჯერ სეირნობს ველოსიპედით და შემდეგ სწავლობს.
დ) თეა მეცადინეობის შემდეგ უყურებს ტელევიზორს.
ე) ანო სკოლის შემდეგ კითხულობს წიგნს.
ვ) ანო შუადღისას მეცადინეობს და საღამოს თამაშობს.
ზ) ვანო ჯერ უყურებს ტელევიზორს და შემდეგ იძინებს.
თ) ვანო ძილის წინ კითხულობს წიგნს.

გვ. 170, №3 (რვეულში):

ერეკლეს ერთი ჩვეულებრივი დღე

ერეკლე დილით შვიდის ნახევარზე იღვიძებს, საუზმობს და ცხრის თხუთმეტ წუთზე სკოლაში მიდის. პირველ საათზე სკოლიდან სახლში ავტობუსით მოდის. ორს რომ ათი წუთი აკლია, ის სახლშია. სადილობს და მეცადინეობს. შემდეგ ეზოში ბურთს თამაშობს.

ერეკლეს ყველაზე ძალიან სპორტი აინტერესებს. განსაკუთრებით ფეხბურთი უყვარს. მოსწონს კალათბურთიც. შვიდის ოც წუთზე ის თავის საყვარელ სპორტულ გადაცემას უყურებს. ცხრა საათზე ვახშმობს და ათის ნახევარზე იძინებს.

გვ. 127, №5 (წიგნში):

– როდის სწავლობ გაკვეთილებს?
– შუადღისას. ჯერ ვსადილობ და შემდეგ ვმეცადინეობ, შენ?
– მე საღამოს ვსწავლობ.
– ყოველთვის საღამოს სწავლობ?
– ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად.

– რას აკეთებ სკოლის შემდეგ?
– ჯერ ვმეცადინეობ, შემდეგ ვთამაშობ ან ვხატავ.
– საღამოს რას აკეთებ?
– საღამოს ტელევიზორს ვუყურებ.
– რომელ საათზე იძინებ?
– ათის ნახევარზე.

გვ. 131, №6 (წიგნში):

წითელქუდა
(შარლ პიერო)

იყო და არა იყო რა, ერთ სოფელში პატარა გოგონა ცხოვრობდა. დაბადების დღეზე გოგონას ბებიამ წითელი ქუდი აჩუქა. გოგონას ძალიან უყვარდა ეს ქუდი და ყველგან ამ ქუდით დადიოდა. ამიტომაც მეზობლებმა წითელქუდა შეარქვეს.

ერთხელ დედამ ღვეზელი გამოაცხო და შვილს უთხრა:

– წითელქუდა, წადი ბებიასთან, ეს ღვეზელი და ერბო წაუღე, თან გაიგე, როგორ არისო.

წითელქუდა წავიდა. ბებია სხვა სოფელში ცხოვრობდა. ბებიას სოფელი ტყის იქით იყო. მიდის გოგონა ტყეში. უცებ რუხი მგელი შეხვდა.

– ვინ ხარ და სად მიდიხარ? – ჰკითხა გოგონას მგელმა.

გოგონამ არ იცოდა, როგორი საშიში იყო მგელი, მიესალმა და უპასუხა:

– გამარჯობა, მგელო, მე წითელქუდა ვარ. ბებიასთან მივდივარ, ღვეზელი და ერბო მიმაქვს.

– შორს ცხოვრობს შენი ბებო? – ჰკითხა მგელმა.

– კი, აი, იმ სოფელში. ტყის პირას პირველი სახლი ბებიასია, – უპასუხა წითელქუდამ.

– კარგი. მეც მინდა ბებიაშენის ნახვა, – უთხრა მგელმა წითელქუდას. – მე ამ გზით წავალ, შენ კი იმ გზით წადი. ვნახოთ, ვინ უფრო მალე მივა, – თქვა მგელმა და ყველაზე მოკლე გზით მოკურცხლა.